

სოციალური დაჯები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2018, №10

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2018, №10

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2018, №10

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2018, №10

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 299 04 18; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

საკიეპელი

1. შრომითი დავები

საჯარო მოსამსახურის მიერ ქცევის ზოგადი წესების დაცვის ვალდებულება	4
სხვა თანამდებობაზე გადაყვანაზე მუშაკის თანხმობის აუცილებლობა; თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნის წინაპირობები	29
სამსახურიდან გათავისუფლება პირადი განცხადების საფუძველზე	61

2. პენსია

მიუღებელი პენსიის ანაზღაურება პირის გარდაცვალების შემთხვევაში	86
სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა მინდობილობის საფუძველზე	97
ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისათვის სახელმწიფო პენსიის აღდგენის საფუძველი	112
მიუღებელი პენსიის თანხის ანაზღაურების თაობაზე მიღებული აქტის კანონიერება	127
მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველი	137

3. სახელმწიფო კომპენსაცია

სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი	147
სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილის ოჯახის წევრისათვის ერთჯერადი კომპენსაციის თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობა	171
სამხედრო მოსამსახურისათვის შეზღუდული შესაძლებლობების გამო სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი	184

1. შრომითი დავები

საჯარო მოსამსახურის მიერ ქცევის ზოგადი ნესების დაცვის ვალდებულება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-883-875(3კ-16)

25 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა, მი-
უღებელი ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. რ-ემ 2014 წლის 19 დეკემბერს აღძრა სარჩელი თბილისის სა-
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მო-
პასუხე ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ,
რომლითაც „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამ-
გეობის ... განყოფილების უფროსის – მ. რ-ის გათავისუფლების შე-
სახებ“ დიდუბის რაიონის გამგეობის 2014 წლის 15 დეკემბრის №182
ბრძანებისა და 2014 წლის 24 ნოემბრის №135 ბრძანების ბათილად
ცნობა, მ. რ-ის თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის ... განყოფი-
ლების უფროსის თანამდებობაზე გათავისუფლებამდე არსებული
საჯარო შრომით-სამართლებრივი პირობებით დაუყოვნებლივ აღ-
დგენა; მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სამსახურში
მის მიერ დაკავებულ თანამდებობებზე იძულებითი არყოფნის
მთელი პერიოდისთვის, გათავისუფლების დღიდან კანონიერ ძა-
ლაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების
დღემდე განაცდური ხელფასის სრული ანაზღაურება და მ. რ-ის
მიერ 2012, 2013, და 2014 წლებში გამოუყენებელი კუთვნილი ანაზ-
ღაურებადი შვებულების თანამდებობრივი სარგოს ოდენობით ნა-
ტურით ანაზღაურება; 2014 წლის 15 სექტემბრიდან საქმეებზე მი-
საღები სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე თანამდე-
ობრივი სარგოს ყოველთვიური დანამატის – 400 ლარის ანაზღაუ-

რება მოითხოვა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა: სადავო აქტის ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის ნაწილში მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისაღები შემაჯამებელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა, მოპასუხისათვის პროცესის ხარჯის – სასამართლოს გარეშე ხარჯის სახით ადვოკატისა და სხვა წარმომადგენლის დახმარებისათვის 2 000 (ორი ათასი) ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურების დაკისრება; მოპასუხისათვის მოსარჩელე მ. რ-ის სასარგებლოდ პროცესის ხარჯის – სასამართლოს გარეშე ხარჯის სახით მოცემულ საქმეზე სარჩელის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას სასამართლოს სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო გაღებული სატრანსპორტო ხარჯის – 30.00 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურების დაკისრება; მოსარჩელის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით შედგენისას გაღებული პროცესის ხარჯის სახით – 12 ლარის მოპასუხისათვის მოსარჩელე მ. რ-ის სასარგებლოდ ანაზღაურების დაკისრება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მ. რ-ე 2004 წლიდან სხვადასხვა თანამდებობებზე იმყოფებოდა საჯარო შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან – ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობასთან. ბოლოს, ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგებლის ბრძანებით, საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, თბილისის დიდუბის რაიონის გამგებლის ბრძანებით, საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, კონკურსის შედეგად მ. რ-ე დაინიშნა თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის ... განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, განუსაზღვრელი ვადით.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ იგი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის პერიოდში წერილობითი ბრძანებებით სამსახურებრივი მოვალეობების მაღალ დონეზე კვალიფიციური და კეთილსინდისიერი შესრულებისათვის არაერთგზის არის ნახალისებული და ის არასოდეს ყოფილა მიცემული დისციპლინურ დევნასა და პასუხისგებაში. მიუხედავად აღნიშნულისა, ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 სექტემბრის №60 ბრძანებით, მოსარჩელე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე უკანონოდ გათავისუფლდა თანამდებობიდან, რაც დადასტურებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემ-

ბრის გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილებით მ. რ-ე აღდგენილ იქნა სამსახურში დაკავებულ თანამდებობაზე, აუნაზღაურდა განაცდური და აღდგენის ნაწილში გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, დიდუბის რაიონის გამგეობას დაევალა გამოეცა ბრძანება მ. რ-ის დაუყოვნებლივ სამსახურში აღდგენის შესახებ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით, 2014 წლის 12 დეკემბერს, პარასკევს დიდუბის რაიონის გამგებლის მიერ გამოცემულ იქნა №176 ბრძანება „მ. რ-ის სამსახურში აღდგენის შესახებ“, რაც იმავე დღეს, სამუშაო დღის დასრულების შემდეგ საცხოვრებელ მისამართზე მიტანით გააცნეს მ. რ-ეს. 2014 წლის 15 დეკემბერს, მ. რ-ის სამსახურში გამოცხადების დღეს, დილით მას გაცნობის მიზნით ჩააბარეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის ... განყოფილების უფროსის მ. რ-ის გათავისუფლების შესახებ“ დიდუბის რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 დეკემბრის №182 ბრძანება, ის არ დაუშვეს სამსახურში და დაატოვებინეს სამუშაო ადგილი.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოპასუხეს სადავო აქტის გამოცემისას არ გამოუკვლევია რეალურად არსებობდა თუ არა პირის სამსახურიდან გათავისუფლების წინაპირობები, რეალური ფაქტობრივი გარემოებები და საკითხის გადასაწყვეტად შეკრებილი მტკიცებულებები ქმნიდა თუ არა ხსენებული კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ შემადგენლობას, რაც სადავო აქტს კანონსაწინააღმდეგოდ აქცევს, ხოლო აღნიშნული მისი ბათილობის კანონით გათვალისწინებული საფუძველია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 18 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად №3/4917-14 ადმინისტრაციულ საქმეში ჩაბმულ იქნა ე. ბ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, №3/4917-14 ადმინისტრაციულ საქმეში ჩაბმულ იქნა თ. ნ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილებით მ. რ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლის 2014 წლის

15 დეკემბრის №182 ბრძანება მ. რ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას დაეველა, მ. რ-ე აღადგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის ... განყოფილების უფროსის თანამდებობაზე; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას მ. რ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება, 2014 წლის 15 დეკემბრიდან სამუშაოზე აღდგენის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდისთვის; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას მ. რ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2014 წელს გამოუყენებელი შვებულების (19 კალენდარული დღის) თანხის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. რ-ემ, თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობამ და თ. ნ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის მ. რ-ის სასარგებლოდ იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების, 2014 წლის 15 დეკემბრიდან სამუშაოზე აღდგენის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. რ-ის სარჩელი იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას მ. რ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სამსახურიდან განთავისუფლების დღიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე, სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება გაუქმდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისათვის მ. რ-ის სასარგებლოდ ადვოკატის ხარჯის 1 000 ლარის ოდენობით დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. რ-ეს უარი ეთქვა ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე; მ. რ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწი-

ლობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება შეიცვალა მონინალმდეგე მხარისათვის სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯი – 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება გაუქმდა მონინალმდეგე მხარისათვის 2013 წლის გამოუყენებელი შვებულების ნაწილში თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. რ-ის სარჩელი 2013 წლის გამოუყენებელი შვებულების თანხის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას დაეკისრა მ. რ-ის სასარგებლოს 2013 წლის გამოუყენებელი შვებულების თანხის ანაზღაურება; თ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება დარჩენილ ნაწილში დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. რ-ე სამსახურში აღდგენილ იქნა 2014 წლის 12 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ასევე დადგენილია, რომ მ. რ-ე სამსახურიდან გათავისუფლდა დიდუბის რაიონის გამგეობის 2014 წლის 15 დეკემბრის ბრძანებით, ანუ სამსახურში აღდგენიდან, მესამე კალენდარულ, მაგრამ მეორე სამუშაო დღესვე (2014 წლის 12 დეკემბერი იყო პარასკევი, ხოლო 2014 წლის 15 დეკემბერი – ორშაბათი). იმ პირობებში, როცა კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მ. რ-ეს სთხოვეს დაენერა განცხადება გამგეობაში ხელმძღვანელი პირების ცვლილების შემდეგ. ყველა ამ ფაქტის ერთობლიობა მყარ საფუძველს უქმნის სასამართლოს, დადგენილად მიიჩნიოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებები მიზანმიმართულადაა განხორციელებული მ. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლებისათვის. დიდუბის გამგეობამ ისე გაათავისუფლა მ. რ-ე თანამდებობიდან, რომ არ მისცა მას შესაძლებლობა, თავისი არგუმენტები და მოსაზრებები წარმოედგინა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც გამგეობის მოსაზრებით, წარმოადგენდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს. სწორედ ეს გარემოებები სააპელაციო სასამართლოს უქმნის საფუძველს, გაიზიაროს პირ-

ველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები მ. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე მიღებული ბრძანების უკანონობის შესახებ.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ასევე დაუსაბუთებელი და უკანონოა მ. რ-ისათვის იმ გადაწყვეტილების მიღების უკანონობაში ბრალეულად ცნობა, რომელიც მიღებულია კოლეგიურად. მ. რ-ის, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, სამსახურში აღდგენისთანავე მისი დაუყოვნებლივ სამსახურიდან გათავისუფლება კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის მის მიმართ დასჯის მექანიზმის ამოქმედება-გამოყენების ფაქტს. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავოა, განაცდურის რაობა და ოდენობა. სასამართლომ უნდა განმარტოს, რა მოიაზრება იძულებით განაცდურში, სრული ხელფასი თუ თანამდებობრივი სარგო, რომელიც ხელფასის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, არ დაემთხვეს ხელფასის ოდენობას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად (მოქმედი ნორმა), სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იმავე კანონის 37-ე მუხლით, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დანესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე და აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებაზე, რომლის თანახმად, (გადაწყვეტილება №2/2-630, 2015 წლის 31 ივლისის) საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან“. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ამ ნორმით გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური ხასიათის კონსტიტუციური გარანტიები. 42-ე

მუხლის მე-9 პუნქტი ყველას ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს და მიიღოს ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. გარდა ამისა, ყველასთვის არის უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის საშუალება – სასამართლოსათვის მიმართვა. ნათლად არის დადგენილი ანაზღაურების მასშტაბებიც – ზარალი სრულად უნდა ანაზღაურდეს. ამ სახით ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ნორმა კანონმდებელს უტოვებს თავისუფალი მოქმედების ვიწრო არეალს, რაც, უპირატესად, კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით პროცედურული საკითხების მონესრიგებას მოიცავს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის №2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2). საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიზანს წარმოადგენს დაზარალებული პირის ინტერესების დაცვა მიყენებული ზარალის ანაზღაურების გზით. სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობისა და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დანესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას. საჯარო მოხელის მიერ შრომითი გასამრჯელოს მიღება მჭიდროდ არის დაკავშირებული სამსახურებრივ უფლებამოსილებათა შესრულებასთან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს, შრომითი გასამრჯელო მიიღოს სამსახურში დანიშვნის დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე. გასამრჯელოს მიღება არ არის დამოკიდებული სამუშაოს შესრულების ხარისხზე, მის შედეგებსა თუ სხვა ფაქტორებზე. ეს შემოსავალი პირისთვის გარანტირებულია საჯარო მოხელის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, მისი მხრიდან, სამსახურებრივი ფუნქციების ბრალეული შეუსრულებლობის არარსებობისას. შესაბამისად, საჯარო მოხელეს სამსახურში დანიშნისას წარმოეშობა გონივრული მოლოდინი, რომ გარანტირებულად მიიღებს თანამდებობრივ სარგოს, გარდა მისი მართლზომიერად, კანონიერ საფუძველზე გათავისუფლების შემთხვევისა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგო არის გასაცემელი, რომელსაც სახელმწიფო გას-

ცემს საჯარო მოხელის ინდივიდუალური მახასიათებლების ან/და კვალიფიკაციის მიუხედავად. აღნიშნულისგან განსხვავებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ხელფასის შემადგენელი პრემიებისა და დანამატების ბუნება, რომლებიც მოხელეზე გაიცემა კანონით გათვალისწინებული პირობების და საფუძვლის არსებობის შემთხვევაში და მათი გაიცემა კონკრეტულ გარემოებებზე დამოკიდებული. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით, საჯარო მოხელეთათვის განსაზღვრული გარანტიის პირობებში წარმოიშობა გონივრული მოლოდინი, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოხელე უზრუნველყოფილია შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების სანაცვლო ანაზღაურებით. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობა დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იგი შესაძლებელია განსხვავებული იყოს პირის ფუნქციური დატვირთვიდან, კვალიფიკაციიდან, საქმიანობის სფეროდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე (იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება – საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს არა კონკრეტული სუბიექტის მიერ წინასწარ დადგენილი ზღვრული ოდენობით, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირისათვის რეალურად მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას. შესაბამისად, მ. რ-ეს იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო, კერძოდ, თანამდებობრივი სარგო, რომელიც ხელფასის შემადგენელი პრემიებისა და დანამატებისაგან განსხვავებით, გაიცემა მოხელის ინდივიდუალური მახასიათებლების ან/და კვალიფიკაციის მიუხედავად, უნდა აუნაზღაურდეს სრული მოცულობით, კერძოდ, სამსახურიდან განთავისუფლების პერიოდიდან სამსახურში აღდგენამდე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას მ. რ-ის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება; სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების უსაფუძვლობაზე და აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესა-

ხებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოხელის უფლება, ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით, არ არის დამოკიდებული სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების არსებობაზე, არც იმაზე, გამართლდება თუ არა განთავისუფლებული პირის ინტერესები სამსახურში უკანონო განთავისუფლების გამო აღდგენაზე, ასეთი მოთხოვნის საფუძვლიანობას არ აბათილებს ის ფაქტი, წარადგინა თუ არა განაცხადი განთავისუფლებულმა პირმა კუთვნილი შვებულებით სარგებლობისათვის მუშაობის პერიოდში. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით, მოსამსახურეთათვის დგინდება ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან შვებულების დროს ასანაზღაურებელი თანხა არ არის მოხელის ხელფასის შემადგენელი ნაწილი, შესაბამისად, მას უნდა აუნაზღაურდეს აღნიშნულ პერიოდში გამოუყენებელი კუთვნილი შვებულება.

პალატამ მიუთითა, რომ „ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენცია (რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით) კრძალავს მონაწილე სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი წესებისა და კანონების არსებობას, რომლითაც დასაქმებულმა შესაძლოა დაკარგოს ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება; პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლებას აღიარებს და განამტკიცებს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. ამდენად, დასახელებული სამართლებრივი რეგულაციებიდან გამომდინარე, დასაქმებულის უფლება, ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით, რეალიზდება დამსაქმებლის ვალდებულებით უზრუნველყოს დასაქმებულის ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა; სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის დარღვეული უფლება სახეზეა, ვინაიდან მან სამი წლის განმავლობაში ვერ ისარგებლა ანაზღაურებადი შვებულებით, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ეტაპზე ამ უფლების პირდაპირი აღდგენა შეუძლებელია, მოსარჩელის უფლების აღდგენა უნდა მოხდეს გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. რ.-ემ, თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობამ და თ. ნ.-ემ. კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო პალატის მიერ საქ-

მეზე ახალი გადანყვეტილების მიღება მოითხოვეს.

კასატორი ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობა საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ 2014 წლის 24 ნოემბერს გამგებელმა გამოსცა პრევენციული ხასიათის №135 ბრძანება საკრებულოს სარევიზიო კომისიის შემონმების მასალებში მითითებულ დარღვევებთან დაკავშირებით, სადაც დეტალურად აისახა გამგეობის ორი მოხელის, მათ შორის, მ. რ-ის მიერ ჩადენილი გადაცდომებიც. აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მსჯელობისა და შეფასების საგანი არ ყოფილა, მაშინ, როცა ამ ბრძანების გაუქმება მ. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2014 წლის 15 დეკემბრის №182 ბრძანებასთან ერთად მთავარი სასარჩელო მოთხოვნაა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მხრიდან მ. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებების მიზანმიმართულად განხორციელებად მიჩნევა დაუსაბუთებელია. მ. რ-ის მიერ ჩადენილია არაერთი კანონდარღვევა, სასამართლო ვალდებული იყო დეტალურად ემსჯელა და შეეფასებინა ზემოხსენებული ადმინისტრაციული აქტები, რაც საფუძვლად დაედო გამგებლის გადანყვეტილებას, შეეფასებინა მათი კანონიერება ყველა სხვა გარემოებასთან ერთობლიობაში, რასაც სასამართლომ აშკარად თავი აარიდა და პირიქით – საბოლოო ჯამში, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის ყალბი მოტივით, იმ საჯარო მოხელის დაცვა განახორციელა, რომელმაც პირადი გამორჩენის მიზნით, სამსახურებრივი საბუთების გაყალბების გზით, საბიუჯეტო თანხები მიითვისა. მ. რ-ე გამგებლისადმი დაწერილ ახსნა-განმარტებით ბარათში, რომელიც სამსახურში მისი აღდგენის შემდეგაა წარდგენილი, არ უარყოფს მისი ოჯახის წევრთა საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებას, მაგრამ ამასთან, თავისი ქმედებები ამ მიმართებით, კანონდარღვევად არ მიაჩნია. ამასთან, პირობას დებს, რომ ამიერიდან, ყურადღებას გაამახვილებს სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებაზე. ამავე დოკუმენტში, მ. რ-ე აღნიშნავს, რომ დაფინანსების შესახებ გადანყვეტილება მას ერთპიროვნულად არ მიუღია და მიიღო კოლეგიურმა ორგანომ – გამგეობამ, რასაც იმეორებს და ასკვნის სააპელაციო სასამართლოც. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სიმართლეს არ შეესაბამება სასამართლოს დასკვნა, რომ თითქოს, გამგეობამ ისე გაათავისუფლა მ. რ-ე სამსახურიდან, რომ მას არ მისცა თავისი არგუმენტებისა და მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა. ასეთი შესაძლებლობა რეალურად მიეცა მ. რ-ეს, მაგრამ გამგეობამ სრულიად სამართლიანად, იმის გათვალისწინებით, რომ მ.

რ-ის მხრიდან კანონების უხეშად დარღვევის ფაქტები აშკარა იყო, არასაკმარისად და უსაფუძვლოდ მიიჩნია მისი არგუმენტები აღნიშნულის თაობაზე და მიიღო გადაწყვეტილება მ. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

კასატორი მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში სწორედ კონკრეტული საჯარო მოსამსახურის კონკრეტულ, პირადი გამორჩენის მიზნით უკანონო ქმედებასთან გვაქვს საქმე მ. რ-ის მხრიდან და არა, ზოგადად, კოლექტიური ორგანოს ისეთ მორიგ სამსახურებრივ გადაწყვეტილებასთან, რომელიც პიროვნულად ვინმეს ინტერესებს არ ეხება. კერძოდ, დოკუმენტურად და სამართლებრივად – სათანადო მტკიცებულებებით დასაბუთებულია, რომ დიდუბის რაიონის გამგეობის ... განყოფილების ყოფილმა უფროსმა და გამგეობის იმჟამინდელმა წევრმა, იმავე დროს, სპეციალურად შექმნილი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – მ. რ-ემ, არაერთგზის, პირადად, ფაქტობრივ გარემოებათა დამახინჯებითა და გაყალბებით უკანონოდ მოამზადა, ხოლო შემდეგ, როგორც მომხსენებელმა, გამგეობის სხდომაზე განსახილველად გაიტანა უმწეო და გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად განკუთვნილი საბიუჯეტო თანხით თავისი შვილების სწავლისა და აგრეთვე, თავისი მეუღლის მკურნალობის დაფინანსების საკითხები, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. აღნიშნული ქმედებებით, მ. რ-ემ უხეშად დაარღვია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და სხვა კანონების მოთხოვნები, რაც შესაბამისად, შეფასდა და აისახა რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 დეკემბრის №182 ბრძანებაში მ. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

კასატორი უთითებს, რომ ქ. თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად, 2014 წლის 8 ოქტომბერს დაიდო დასკვნა, სადაც აისახა მთელი რიგი გამოვლენილი დარღვევები – საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვა და სხვა. დიდუბის გამგეობამ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება დასკვნაში მოცემული დარღვევების პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით და 2014 წლის 24 ნოემბერს გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი №135 შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მიზნით. კასატორის მითითებით აღნიშნული გადაწყვეტილებიდან ნათლად იკვეთება, რომ მ. რ-ის მიერ ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოება არ დაუსრულებია და საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, რაც გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებებით: მ. რ-ისათვის ცნობილი გახდა რა, მაკონტროლებელად

მინისტრაციულ ორგანოში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებისა და მისი სავარაუდო შედეგების თაობაზე, წარმოების მიმდინარეობის ეტაპზე, 2014 წლის 2 სექტემბერს, მან წარადგინა განცხადება 15 სექტემბრიდან სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნით, ხოლო 12 სექტემბერს წარადგინა განცხადება, რომლითაც უარყო ეს მოთხოვნა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2014 წლის 15 სექტემბერს გამოცემული გადაწყვეტილება მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, გახდა ახალი დავის დაწყების საფუძველი, რამაც გავლენა მოახდინა დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ დარღვევის ფაქტზე განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობაზე – შეაფერხა მისი დასრულება.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ცალმხრივად შემოიფარგლა დასაქმებულის ნების გამოხატვის შემონიშნებით და ყურადღება არ გაამახვილა იმ ფაქტორზე გარემოებებზე, რომლებიც მართალია, არ ყოფილა უშუალოდ დავის საგანი, მაგრამ ირიბად ახდენდა მნიშვნელოვან გავლენას განსახილველ საქმეზე. სასამართლო არ დაინტერესდა, თუ რატომ გამოხატა მხარემ ნება მაკონტროლებლის მიერ დარღვევების გამოვლენის მიმდინარეობის ეტაპზე, რომ საკუთარი სურვილით წასულიყო სამსახურიდან და რატომ გადაიფიქრა მან ეს, თუ რატომ ვერ უთითებდა მოსარჩელე, ვისი მხრიდან და რა სახის ზენოლას ჰქონდა ადგილი ან რა გარემოებამ მოახდინა ზეგავლენა მასზე, რომ დაეძლია ეს ზენოლა და უარი ეთქვა სამსახურიდან წასვლაზე, იმის გათვალისწინებით, რომ მხარის მხრიდან ზენოლის დამადასტურებელ ფაქტებზე ოდნავი მინიშნებაც ვერ გაკეთდა, მოსამართლეს ლოგიკურად უნდა გასჩენოდა კითხვა, დასაქმებულის მხრიდან ჩადენილი სერიოზული დარღვევების გამოვლენის შემდეგ, ხომ არ ჰქონდა ადგილი მისი მხრიდან ფაქტების გადაფარვას და პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობას. სასამართლომ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტორზე გარემოებებს, რომლებიც ადმინისტრაციულმა ორგანომ წარუდგინა მას და ადასტურებდა დასაქმებულის მხრიდან კეთილსინდისიერების პრინციპის შესაძლო დარღვევას. აღნიშნული პრინციპი ადმინისტრაციულ სამართალში მხარეს ავალდებულებს ბოროტად არ გამოიყენოს მისი უფლების დაცვის საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მას უფლების დაცვაზე.

კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლომ 2014 წლის 10 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება დასაქმებულის სამსახურში აღ-

დგენის თაობაზე, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს დაუდგინდა ვალდებულება – აღსრულებინა ეს გადაწყვეტილება და მისცა შესაძლებლობა, დაესრულებინა 2014 წლის 8 ოქტომბრის დასკვნით გამოვლენილ დარღვევასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

კასატორი განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 73²-ე მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგად წესებს. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ის მოთხოვნები, რომლებიც მას და მის თანამდებობას შეეხება. იგი თავის სამსახურებრივ მოვალეობას უნდა ასრულებდეს მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უნდა დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი. მან ბოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი სახსრებით, რათა არ გაიფლანგოს ისინი. 73⁴-ე მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს არა აქვს რაიმე სარგებლის შეთავაზების ან მიღების უფლება, რომელიც დაკავშირებულია საჯარო სამსახურში მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია: ყურადღება გაამახვილოს ნებისმიერ არსებულ თუ შესაძლო ინტერესთა შეუთავსებლობაზე; მიიღოს ზომები ნებისმიერი ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევის დაუშვებლობისათვის, განაცხადოს ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ შესაბამის თანამდებობაზე დანიშნვამდე (არჩევამდე) ან დანიშვნის (არჩევის) შემდეგ, როგორც კი ეს ფაქტი მისთვის ცნობილი გახდება.

მ. რ-ემ, როგორც საჯარო მოსამსახურემ და თანამდებობის პირმა ყველა ეს ზემოაღნიშნული პრინციპი დაარღვია, რაც გახდა მისი გათავისუფლების საფუძველი. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ გარდა იმისა, რომ არასათანადოდ შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში არსებული მტკიცებულებები, რამდენადაც სასამართლოებმა დადგინდეს გარემოებად მიიჩნიეს, რომ მ. რ-ის მიერ სოციალური დახმარების ფარგლებში განხორციელდა თავისი ოჯახის წევრებისათვის სხვადასხვა რაოდენობის თანხების გამოყოფა, რასაც სოციალური სახელმწიფოს პრინციპსა და შრომის თავისუფლებაზე მითითებით ამართლებს, მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს აშკარა კანონდარღვევების მთელი რიგი – საჯარო მოხელის, როგორც დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღებით დაწყებული, საჯარო სამსახურში დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებული პირადი სარგებლის მიღებით დამთავრებული. სასამართლოს, ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აქვს მიჩნეული, რომ ზემოაღნიშნული სო-

ციალური დახმარებების თაობაზე საკითხის განხილვისას, მომხსენებელი იყო თავად მ. რ-ე, ხოლო მისი ოჯახის წევრების სოციალური მდგომარეობის შესახებ მომზადებულ დასკვნებში, არსად საკუთარი თავი არ ჰყავდა მითითებული. მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა მ. რ-ის მხრიდან არაკეთილსინდისიერი და მიკერძოებული ქმედება, სამართლებრივი შეფასების ერთ ნაწილში, მოსამართლე ცდილობს აქცენტი გადაიტანოს დაწესებულების ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობას და მათ მიერ შექმნილ სამუშაო გარემოზე, განმარტავს რა, რომ მ. რ-ის მხრიდან მსგავსი გადაცდომების ჩადენა მხოლოდ სხვა პირთა მიერ ინფორმაციის ფლობის პირობებში იყო შესაძლებელი. კასატორისთვის გაუგებარია, რის საფუძველზე აკეთებს მოსამართლე მსგავს შეფასებას, როცა თავადვე აღნიშნავს, რომ საკითხის განხილვისას მომხსენებელს არც ერთ დოკუმენტში საკუთარი თავი, როგორც პრეტენდენტთა ოჯახის წევრი, მითითებული არ ჰყოლია. თუნდაც ყოფილიყო საქმის კურსში მ. რ-ის ოჯახის წევრების დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით დიდუბის რაიონის გამგეობის მაშინდელი ხელმძღვანელობა, კანონით ეს არც ერთ შემთხვევაში არ გამოორიცხავს თავად მ. რ-ის პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება მოსამართლის დასკვნას იმის შესახებ, რომ „გაუმართლებელია შეცვლილი ხელმძღვანელის მხრიდან პასუხისმგებლობის ყველაზე მკაცრი ღონისძიების გამოყენება, მაშინ არ არსებობს მოხელესთან უშუალო მუშაობის პრაქტიკა“, კასატორი მიუთითებს, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება, კერძოდ, დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა ზომის გამოუყენებლად მოხელის სამსახურიდან პირდაპირი გათავისუფლების შესაძლებლობა დადგენილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის გამოყენებისთვის არსებობს მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევის ფაქტი. აშკარაა, რომ მ. რ-ემ, ჩაიდინა საჯარო მოხელისათვის შეუფერებელი საქციელი, დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის არაერთი ნორმა. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ დიდუბის რაიონის გამგეობის შეცვლილი ხელმძღვანელობის მხრიდან, უშუალო მუშაობის პრაქტიკის ხანგრძლივობის მიუხედავად, სწორად მოხდა რ-ის საქციელის სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევად მიჩნევა, რაც მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ ასევე არ გამოიკვლია მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ქ. თბილისის მერიის სათანადო სამსახურის მიერ, სამართალდამცავ ორგანო-

ებში იქნა შეტანილი განცხადება/საჩივარი მ. რ-ის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჩადენილი დარღვევის შესახებ, რაზედაც სასამართლო პროცესის მსვლელობისას მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება მ. რ-ის მიმართ, ხოლო ამჟამად კი აღნიშნულ საქმეზე დიდუბის რაიონის გამგეობა დაზარალებულად არის უკვე ცნობილი, რაც ასევე ადასტურებს იმ ზიანის მომტან გარემოებას და მძიმე გადაცდომებს რომელიც მ. რ-ის მიერ იქნა ჩადენილი მისი მუშაობის პერიოდში, როგორც საჯარო მოხელის მიერ.

კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლომ არ შეაფასა მ. რ-ის მიერ ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე და მისი ქმედებით ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიყენებული ზიანი და ფაქტობრივად შელახული რეპუტაცია, მაშინ როდესაც სასამართლოს მთელი გადაწყვეტილება ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ იმის განმარტებას, თუ როგორ უნდა დავიცვათ დასაქმებულთა უფლებები, ხოლო გადაწყვეტილება არ მოიცავს იმ მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობას და შეფასებებს იყო თუ არა ვალდებული მ. რ-ე, როგორც საჯარო მოხელე დაეცვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონითა და გამგეობის შიდა დებულებებით დადგენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შესახებ მკაცრად დადგენილი წესები და მისი, როგორც საჯარო მოხელის ქმედებით რა მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანა როგორც გამგეობას, ისე სხვა საზოგადოების წევრებსა და მესამე პირებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინებით თ. ნ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინებით მ. რ-ისა და თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივრები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის განჩინებით მ. რ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; მ. რ-ის მიერ გასაჩივრებულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება; თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აგვისტოს გადან-

ყვეტილებაზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილვა ჩაინიშნა ზუპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემონმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. რ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კა-

სატორმა – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობამ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის ... განყოფილების უფროსის – მ. რ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 დეკემბრის №182 ბრძანების კანონიერება წარმოადგენს. სადავო ბრძანების თანახმად, მ. რ-ის გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ქ. თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2013 წლის 1 მარტიდან 2014 წლის 1 ივლისამდე პერიოდის გამგეობის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობის შესწავლის შესახებ დასკვნა და ამ დასკვნის საფუძველზე გამოცემული „თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 2013 წლის 1 მარტიდან 2014 წლის 1 ივლისამდე პერიოდის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის თაობაზე ქ. თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის შემოწმება-ანალიზის შედეგად გამოვლენილი დარღვევებისა და გამგეობის შემდგომ საქმიანობაში მათი აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით, დამატებით ღონისძიებათა გატარების შესახებ“ დიდუბის რაიონის გამგებლის 2014 წლის 14 ნოემბრის №135 ბრძანება, რომლებითაც დადგინდა, რომ ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის ... განყოფილების უფროსის – მ. რ-ის წარდგინებით გამგეობამ, სხვა ... ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან მის შვილებს – ნ. და მ. ე-ებს 2013 და 2014 სასწავლო წელს სწავლის დასაფინანსებლად გადაურიცხა 6080 ლარი (2013 წელს თითოეულს 1480-1480 ლარი, ხოლო 2014 წელს ნ. ე-ეს 2500 ლარი, მ. ე-ეს კი – 620 ლარი). ჩატარებული წარმოებით დადგენილია, რომ მ. რ-ემ, როგორც გამგეობის ... განყოფილების უფროსმა და სხვა ... ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ეფექტიანად და მიზნობრივად ხარჯვის მიზნით გამგეობაში შექმნილი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ოთხჯერ: 2013 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში და 2014 წლის თებერვალსა და მარტში, შესაბამისი დასკვნის გარეშე მოამზადა და მომხსენებლის რანგში, რაიონის გამგეობის სხდომაზე განსახილველად წარადგინა თავისი შვილების სწავლის დაფინანსების საკითხი, რომელიც საკრებულოს სარევიზიო კომისიისათვის შემოწმებისას შემთხვევით გახდა ცნობილი. აღნიშნულ პერიოდში მ. რ-ის სამსახურებრივმა ანაზღაურებამ 2013 წელს და 2014 წლის 9 თვეში შეადგინა 48000 (ორმოცდარვა ათასი) ლარი და როდესაც რეალურად შეჭირვებული, ცუდი სოციალური მდგომარეობის გამო, სწავლის საფასურის გადაუხდელობის საფუძველ-

ზე, დიდუბის რაიონს ათეულობით სტატუს შეჩერებული სტუდენტი ჰყავდა, მ. რ-ემ იმოქმედა არაკეთილსინდისიერად, მიკროძოგებით და თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის მეშვეობით საბიუჯეტო სახსრები პირადი სარგებლის მისაღებად გამოიყენა, როდესაც მას ინტერესთა შეუთავსებლობის გამო არ ჰქონდა ასეთი სარგებლის მიღების უფლება, რადგან ეს დაკავშირებული იყო საჯარო სამსახურში მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან, რითაც დაზარალდნენ დახმარების საჭიროების მქონე სხვა პირები და ზიანი მიადგა დიდუბის რაიონის გამგეობის და საერთოდ საჯარო სამსახურის რეპუტაციას.

საქმეზე დადგენილია, რომ ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის ... განყოფილების უფროსი – მ. რ-ე დიდუბის რაიონის გამგებლის 2013 წლის 25 მარტის №8 განკარგულებით, 2014 წლის 3 იანვრის №1 განკარგულებითა და 2014 წლის 17 მარტის №18 განკარგულებით „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებების (პროგრამული კოდი – 6.2.18)“ ფარგლებში მოქალაქეთათვის დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 26 დეკემბრის №35.21.12.1283 დადგენილების მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად შექმნილი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იყო. „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებების (პროგრამული კოდი – 6.2.18) ფარგლებში მოქალაქეთათვის დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 26 დეკემბრის №35.21.1283 დადგენილების მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად შექმნილი კომისიის დასკვნების საფუძველზე, დიდუბის რაიონის გამგეობის 2013 წლის 10 ივნისის №14/1-122 დადგენილებით, 2013 წლის 11 სექტემბრის №34/1-421 დადგენილებით, 2013 წლის 1 ოქტომბრის №37/1-492 დადგენილებით, 2014 წლის 6 თებერვლის №4/1-22 დადგენილებითა და 2014 წლის 6 მარტის №7/1-28 დადგენილებით დაკმაყოფილდა მოთხოვნები მ. რ-ის მეუღლის – გ. ე-ის მკურნალობის დასაფინანსებლად – 531,50 ლარის გამოყოფის, მ. რ-ის შვილის – ნ. ე-ის სწავლის დასაფინანსებლად – 1480 ლარის გამოყოფის, მ. რ-ის შვილის – მ. ე-ის სწავლის დასაფინანსებლად – 2000 ლარის გამოყოფის, მ. რ-ის შვილის – ნ. ე-ის სწავლის დასაფინანსებლად – 2500 ლარის გამოყოფისა და მ. რ-ის შვილის – მ. ე-ის სწავლის დასაფინანსებლად – 620 ლარის გამოყოფის თაობაზე. გამგეობის სხდომებზე სოციალური დახმარების თაობაზე საკითხის განხილვისას მომხსენებელი მ. რ-ე იყო. სოციალური მდგომარეობის შესახებ სოციალური განყოფილების დასკვნების შესაბამისად, არ იყო მითითებული, რომ იხილებოდა მ. რ-ის ოჯახის წევრებისათვის ფულადი დახმა-

რების გამოყოფის საკითხი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს. მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სოციალური დახმარება არის ნებისმიერი სახის, ფულადი ან არაფულადი ხასიათის სარგებელი, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირისათვის, ლტაკი ოჯახისათვის ან უსახლკარო პირისათვის.

„ქ. თბილისის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2012 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად პროგრამული კოდი – 6.2.18 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებების მიზანია რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო მოქალაქეების საარსებო პირობების გაუმჯობესება, რითაც ხორციელდებოდა რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების შემწეობები და დახმარებები, შემოსული განცხადებების საფუძველზე სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობლემების შესაძლებლობების ფარგლებში დაფინანსება. დადგენილია, რომ მ. რ-ეს ჰქონდა სოლიდური სამსახურებრივი ანაზღაურება ხელფასის, პრემიისა და დანამატის სახით, რამაც 2013 – 2014 წლებში – 9 თვეში შეადგინა თითქმის 48000 (ორმოცდარვა ათასი) ლარი, რის გამოც მისი ოჯახის წევრები არ წარმოადგენდნენ დიდუბის ტერიტორიაზე მცხოვრებ უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა მკურნალობისა და სხვა სოციალური დახმარებების გამოყოფის საჭიროების მქონე პირებს.

სადავო პერიოდში მოქმედი ქ. თბილისის მერის 2013 წლის 28 თებერვლის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის დებულების“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობა (შემდგომში – გამგეობა) არის თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანო, რომელიც „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1 გადაწყვეტილებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას და ადმინისტრაციული ერთეულის – რაიონის

მართვას. ამავე დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გამგეობა შედგება: ქ. თბილისის რაიონის გამგებლის, მისი მოადგილეების, რაიონული სამსახურების (განყოფილებების) ხელმძღვანელებისგან. მე-12 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამგეობის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია ... განყოფილება. 31-ე მუხლის პირველი პუნქტით „გამგეობის ... განყოფილება (შემდგომში – განყოფილება), არის ... საკითხებში გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით შექმნილი გამგეობის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც „საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით და ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის „ქ.თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ №1-1 გადაწყვეტილებით გამგეობისთვის გადაცემული უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავენს ... პროგრამათა პროექტებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას.

საკაცაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ ქ. თბილისის დიდუბის რაიონის 2013 წლის 27 მარტის №1 ბრძანებით დამტკიცებული „დიდუბის რაიონის გამგეობის რეგლამენტის“ პირველი მუხლის შესაბამისად, დიდუბის რაიონის გამგეობის მუშაობის დაგეგმვას, მერის, მთავრობის, გამგეობისა და გამგებლის სამართლებრივი აქტების მომზადებას, გაფორმებასა და გამოცემას, გამგეობის სხდომების და თათბირების მომზადებისა და ჩატარების წესს, პროცედურასა და ვადებს განსაზღვრავს დიდუბის რაიონის გამგეობის რეგლამენტი (შემდგომში რეგლამენტი). რეგლამენტის მე-6 მუხლის შესაბამისად, გამგეობის სხდომაზე განსახილველი საკითხები წარმოდგენილ უნდა იქნეს გამგეობის დადგენილების პროექტის ფორმით. საკითხის შემომტან პირს ეკისრება პასუხისმგებლობა გამგეობის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი პროექტის ხარისხის, თანდართული მასალების უტყუარობისა და სისრულისათვის. რეგლამენტის მე-9 მუხლით დადგენილია გამგეობის სხდომის წევრთა უფლებები და მოხსენების პროცედურა გამგეობის სხდომაზე, რომლის თანახმად, სხდომის მსვლელობისას გამგეობის სხდომის წევრებს უფლება აქვთ: წამოაყენონ შენიშვნები დღის წესრიგისა და მუშაობის წესთან დაკავშირებით; მიიღონ მომხსენებლისგან დამატებითი განმარტებანი განსახილველ საკითხებზე; მიიღონ მონაწილეობა კამათში, ნებისმიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვან და დაიცვან საკუთარი მოსაზრება; წარმოადგინონ წინადადება საკითხის დამატებით შესწავლის თაობაზე; მიიღონ ან არ მიიღონ კენჭისყრაში მონაწილეობა; წერილობითი ფორმით დააფიქსირონ საკუთარი განსხვავებუ-

ლი აზრი. გამგეობის სხდომაზე განსახილველ საკითხს მოხსენებლის სახით წარადგენენ გამგეობის წევრები, მოხსენება უნდა შეიცავდეს: საკითხის განხილვის აუცილებლობის მოკლე დასაბუთებას; განმარტებას საკითხის არსის თაობაზე; საკითხის გადწყვეტის კონკრეტულ ღონისძიებებს; განსახილველ საკითხზე გამგეობის დადგენილების პროექტს. დადგენილების პროექტი ხელმოწერილ უნდა იყოს საკითხის შემომტანის მიერ, საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს იმ განყოფილებებთან, რომელთაც შეეხებათ ეს დადგენილება. შეთანხმება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი განყოფილების სამსახურის ხელმძღვანელის (მოადგილე, განყოფილების უფროსი) ხელმოწერით. პროექტს თან უნდა ერთვოდეს იმ სამსახურების ჩამონათვალი, რომელთაც უნდა დაეგზავნოს დადგენილების ასლები. გამგეობის სხდომაზე განსახილველი ყველა დადგენილების პროექტი უნდა იყოს ვიზირებული გამგეობის იურისტის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს გამგეობის პროექტის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან. რეგლამენტის მე-14 მუხლის შესაბამისად, გამგეობის სამართლებრივი აქტების პროექტების შინაარსისა და შესრულების ხარისხისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის შემომტანს (ინიციატორს), ხოლო პროექტის სტილისტურ შესწორებასა და სამართლებრივ შესაბამისობას უზრუნველყოფს გამგეობის აპარატი. 21-ე მუხლის თანახმად, კი გამგეობაში მოქალაქეთა წერილობით მომართვებზე (განცხადება, საჩივარი და ა.შ.) მუშაობას და შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფს გამგეობის შესაბამისი განყოფილებები და გამგეობის აპარატი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში მ. რ-ე წარმოადგენდა გამგეობის წევრს – ... განყოფილების უფროსს, რის გამოც მას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არ გააჩნდა მისი ოჯახის წევრებთან მიმართებაში არსებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლებამოსილება, რამდენადაც მას ჰქონდა პირადი ინტერესი, რომელიც ზეგავლენას ახდენდა საქმის გადანყვეტაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თანამდებობის პირი ვალდებულია ზემდგომ თანამდებობის პირს აცნობოს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული გარე-

მოებისა და თვითაცილების შესახებ. განცხადება თვითაცილების თაობაზე განიხილება ამ კოდექსის 93-ე მუხლით დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში მ. რ-ე მისი შვილების სწავლისა და მეუღლის მკურნალობის დაფინანსების საკითხის განხილვისას წარმოადგენდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სუბიექტს, რაც აღნიშნული კოდექსის 92-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებას აკისრებდა მას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის VI¹ თავით დადგენილია „ქცევის ზოგადი წესები საჯარო მოსამსახურეთათვის“, კანონის 73¹-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქცევის ზოგადი წესების მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას ქცევის მომწესრიგებელი ზოგადი პრინციპების დამკვიდრება, ხოლო მე-4 პუნქტის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს ქცევის ზოგადი წესები. 73²-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საჯარო მოსამსახურემ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ქცევის ზოგადი წესების შესაბამისად. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ის მოთხოვნები, რომლებიც მას და მის თანამდებობას შეეხება. საჯარო მოსამსახურე თავის სამსახურებრივ მოვალეობას უნდა ასრულებდეს მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად. ამასთან, მე-4 პუნქტით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საჯარო მოსამსახურემ უნდა დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი. მან ბოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი სახსრებით, რათა არ გაიფლანგოს ისინი. 73⁴-ე მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს არა აქვს რაიმე სარგებლის შეთავაზების ან მიღების უფლება, რომელიც დაკავშირებულია საჯარო სამსახურში მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა; საჯარო მოსამსახურე ვალდებულია: ა) ყურადღება გაამახვილოს ნებისმიერ არსებულ თუ შესაძლო ინტერესთა შეუთავსებლობაზე; ბ) მიიღოს ზომები ნებისმიერი ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევის დაუშვებლობისათვის; გ) განაცხადოს ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნამდე (არჩევამდე) ან დანიშვნის (არჩევის) შემდეგ, როგორც კი ეს ფაქტი მისთვის ცნობილი გახდება. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამ თავის მიზნებისათვის საჯარო მოსამსახურესთან „დაკავშირებულ პირში“ იგულისხმება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებუ-

ლი „ოჯახის წევრი“ და „ახლო ნათესავი“, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელთანაც საჯარო მოსამსახურეს აქვს ერთიანი საოჯახო (შინა) მეურნეობა, ანუ ისეთი განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. „საჯარო დანესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, „ოჯახის წევრში“ იგულისხმება პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირები.

მოცემულ შემთხვევაში ქ. თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად 2014 წლის 8 ოქტომბერს დაიდო დასკვნა, რომელშიც ასახულია მ. რ-ის მიერ ჩადენილი მნიშვნელოვანი დარღვევები – საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვის სახით. დიდუბის გამგეობამ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება დასკვნაში მოცემული დარღვევების პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით და გამოსცა 2014 წლის 24 ნოემბრის №135 ბრძანება „ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 2013 წლის 1 მარტიდან 2014 წლის 1 ივლისამდე პერიოდის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის თაობაზე, ქ. თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის შემოწმება-ანალიზის შედეგად გამოვლენილი დარღვევებისა და გამგეობის შემდგომ საქმიანობაში მათი აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით, დამატებით ღონისძიებათა გატარების შესახებ“. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოება არ დაუსრულებია და საბოლოო გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული იმის გამო, რომ დიდუბის რაიონის გამგეობის მიმართ ... განყოფილების ყოფილი უფროსის, მ. რ-ის სარჩელი მისი პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით იხილებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. აღნიშნულ დავაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მ. რ-ის სამსახურში აღდგენის თაობაზე, რომლითაც, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო აღესრულებინა სასამართლოს გადაწყვეტილება. ამასთან, ადმინისტრაციულ ორგანოს მიეცა შესაძლებლობა, დაესრულებინა ქ. თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 8 ოქტომბრის დასკვნით გამოვლენილ დარღვევასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

აღნიშნულ შედეგს არ ცვლის ის გარემოება, რომ მოსარჩელე აღდგენილ იქნა სამსახურში თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რამდენადაც აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად მ. რ-ის განცხადების საფუძველზე გათავისუფლების შესახებ 2014 წლის 15 სექტემბრის №60 ბრძანების კანონიერება და სასამართლოს არ შეუფასებია მ. რ-ის მიერ ჩადენილი გადაცდომები, რაც მოცემულ საქმეზე გასაჩივრებელი ადმინისტრაციული აქტის – დიდუბის რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 დეკემბრის №182 ბრძანების გამოცემის საფუძველია. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე, რამდენადაც ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო ვალდებული იყო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად და საფუძვლიანად შეემოწმებინა დიდუბის რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 დეკემბრის №182 ბრძანების კანონიერება. საკასაციო პალატის მოსაზრებით მხოლოდ სადავო აქტის საფუძველზე, მ. რ-ის გათავისუფლებისათვის საკმარისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის შემთხვევაში, იქნებოდა შესაძლებელი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე დასკვნის გაკეთება (აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16¹ მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაც).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ დასტურდება აგრეთვე სააპელაციო პალატის მოსაზრება სადავო აქტის დაუსაბუთებლობის შესახებ. უდავოა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია მის მიერ გამოცემული აქტის დასაბუთების ვალდებულება, რომელიც თვითკონტროლის ფუნქციას ასრულებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის, ხოლო აქტის ადრესატს აძლევს მისი კანონიერების შეფასების, აქტის გასაჩივრების შესაძლებლობას. აქტში მოყვანილი დასაბუთება აძლევს მას შესაძლებლობას გაიგოს რა ფაქტებზე და სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულმა ორგანომ, აღნიშნული თავის მხრივ აძლევს პირს შესაძლებლობას დაუპირისპიროს აქტში მოყვანილ არგუმენტებს თავისი მოსაზრებები. ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ გამგეობამ ისე გაათავისუფლა მ. რ-ე სამსახური-

დან, რომ მას არ მისცა თავისი არგუმენტებისა და მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილია მ. რ-ის ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც იგი დიდუბის რაიონის გამგებლის 2014 წლის 24 ნოემბრის №135 ბრძანებასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ 2013 და 2014 წლებში დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ დაფინანსებული იყო სტუდენტთა გარკვეული რაოდენობის სწავლის საფასური, მათ შორის იყვნენ მისი შვილები. მიუხედავად იმისა, რომ ახსნა-განმარტების ავტორი აღნიშნულ ფაქტში ვერ ხედავს კანონმდებლობის დარღვევას, მაინც მიუთითებს რომ შემდგომში მისი მხრიდან იქნებოდა გამახვილებული ყურადღება, სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებაზე. ამდენად, მოცემულ დავაზე დადგენილია მ. რ-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის არაერთი ფაქტი, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველს წარმოადგენდა.

ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადანაცვლების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ამ მოხელეს აღადგენს სამსახურში. მოცემულ შემთხვევაში მ. რ-ის სასარჩელო მოთხოვნაზე – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობაზე უარის თქმის გამო, ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების თანამდებობრივი სარგოს ოდენობით ნატურით ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეო-

ბის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება;

3. მ. რ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სსსპ თანამდებობაზე გადაყვანაზე მუშაკის
თანხმობის აუცილებლობა**

**თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნის
წინაპირობები**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-250-248(2კ-16)

3 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

06.11.2013წ. ი. პ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიმართ მოპასუხის 03.10.2013წ. ბრძანების ბათილად ცნობის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის სხვა თანამდებობაზე გადაყვანამდე არსებულ ხელფასსა და ახალ თანამდებობაზე არსებულ ხელფასს შორის სხვაობის ანაზღაურების (2013 წლის 09 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე) დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს კონტროლის პალატა

ტის 22.03.2010წ. №34/25 ბრძანებით დაინიშნა საქართველოს კონსტიტუციის პალატის ... დეპარტამენტის ... ვაკანტურ თანამდებობაზე, განუსაზღვრელი ვადით. იგი არაერთხელ იქნა წახალისებული სამსახურებრივი მოვალეობის მაღალ დონეზე შესრულებისათვის, ხოლო დისციპლინური საქმისწარმოება მის მიმართ არასდროს დაწყებულა, გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები, არაერთხელ აქვს გამოცდები ჩაბარებული სახელმწიფოს მიერ რეგულირებად იურიდიულ პროფესიებში (მოსამართლის, ადვოკატის და სხვ.). 09.10.2013 წ. ოფიციალური გაცნობის მიზნით მოსარჩელეს გადაეცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 03.10.2013წ. № 1/428 ბრძანება ი. პ-ის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ, რომლითაც ფაქტობრივად მოხდა მისი ჩამოქვეითება ... დეპარტამენტის ... თანამდებობიდან ... დეპარტამენტის ... აუდიტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლად. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ბრძანება ზაკ-ის 53-ე და 96-ე მუხლების უგულებელყოფით არ შეიცავს დასაბუთებას თუ რა გადაუდებელი სამსახურებრივი აუცილებლობა არსებობდა მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანისათვის. გარდა აღნიშნულისა, ი. პ-ი გადაყვანილ იქნა იმ თანამდებობაზე, რომელსაც იგი არ შეესაბამებოდა პროფესიისა და კვალიფიკაციის თვალსაზრისით, მისთვის აუდიტორის კვალიფიკაცია რომელიმე აკადემიურ უწყებას არ მიუნიჭებია, „აუდიტი“ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისწავლება სამართალმცოდნეობისგან განსხვავებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამით, რის შედეგადაც პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია. მოსარჩელე თვლის, რომ უნდა შეფასდეს აუდიტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლად გადაყვანის წინაპირობები, მოხელის გადაყვანისათვის არსებულ საკანონმდებლო წესრიგთან თავსებადობა. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე, სკ-ის 992-ე, 1005-ე მუხლებზე მითითებით მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ახალ თანამდებობაზე გადაყვანით მას მიადგა ზიანი, რადგან შეუმცირდა თანამდებობრივი სარგო. ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ვინაიდან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა არამართლობრივია და პოლიტიკური მოტივით იყო განპირობებული, მოპასუხეს უნდა დაეკისროს 2013 წლის 09 ოქტომბრიდან გადანყვეტილების აღსრულების დღემდე მიღებულ და მისაღებ ხელფასებს შორის არსებული სხვაობის ანაზღაურება.

20.12.2013წ. განცხადებით ი. პ-მა გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და დამატებით მოითხოვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ... დეპარტამენტის ... თანამდებობაზე აღდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.01.2014 წ. განჩინებით სასკ-ის 16.1 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ლ. უ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 04.02.2014 წ. გადაწყვეტილებით ი. პ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 04.02.2014 გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. პ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. ი. პ-მა გაასაჩივრა აგრეთვე საქმის განხილვის გადადების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.01.2014 წ. საოქმო განჩინება და მოსამართლის აცილებაზე უარის თქმის შესახებ 14.01.2014 წ. განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.05.2014 წ. გადაწყვეტილებით ი. პ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 04.02.2014 წ. გადაწყვეტილება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 03.10.2013 წ. №1/428 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი. პ-ის სარჩელი აღნიშნულ ნაწილში დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 03.10.2013 წ. №1/428 ბრძანება ი. პ-ის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ, დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 04.02.2014 წ. გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 22.03.2010 წ. №34/25 ბრძანების გამოცემის მომენტში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის მოქმედ რედაქციაზე, რომლის მიხედვით პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს კონკურსის შედეგების გათვალისწინებით. სასამართლომ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლი პირვანდელი რედაქციით ადგენდა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების ორ ალტერნატიულ გზას – კონკურსით და კონკურსის გარეშე. როგორც კონკურსის შედეგების მიხედვით, ისე – პირდაპირი წესით პირების თანამდებობებზე გამწესება წარმოადგენდა იდენტური შინაარსისა და მნიშვნელობის მქონე იურიდიულ ფაქტებს, კანონი კონკურსით და კონ-

კურსის გარეშე დანიშნულ მოხელეებს აყენებდა თანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში იმ თვალსაზრისით, რომ არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების პირობებში ურთიერთობის მონაწილე არცერთი მხარე არ განიხილავდა და ექვექვეშ არ აყენებდა პირდაპირი წესით (ანუ, კონკურსის გარეშე) დანიშნული მოხელის თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივობას, კომპეტენციას, კვალიფიკაციას, საჯარო სამსახურის ფარგლებში მოხელის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და შეძენილი უფლებების მოცულობას, ლეგალურობას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 29.06.2012 წ. №6611 კანონის საფუძველზე შეიცვალა კანონის 29-ე მუხლის შინაარსი: დადგინდა, რომ პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტი ი. პ-ი, თავის დროზე, საქართველოს კონტროლის პალატის ... დეპარტამენტის ... თანამდებობაზე დაინიშნა პირდაპირი წესით (ანუ, კონკურსის გარეშე), განუსაზღვრელი ვადით და იმის გათვალისწინებით, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის (პირვანდელი რედაქციით) მოქმედების პირობებში როგორც კონკურსის შედეგების მიხედვით, ისე – პირდაპირი წესით პირების თანამდებობებზე გამწესება წარმოადგენდა იდენტური მნიშვნელობის მქონე იურიდიულ ფაქტებს, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს აუდიტის სამსახურის ერთი სტრუქტურული ერთეულიდან (... დეპარტამენტიდან) მეორე სტრუქტურულ ერთეულში (... დეპარტამენტში) გადაყვანისას ი. პ-ის მიმართ უნდა გავრცელებულიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მოქმედება ისე, რომ იგი, როგორც ძველ თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით დანიშნული პირი, ახალ თანამდებობაზე უნდა დაენიშნათ არა დროებით მოვალეობის შემსრულებლად, კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე ვადით, არამედ ასევე განუსაზღვრელი ვადით. სასამართლოს მოსაზრებით, ი. პ-ის ახალ თანამდებობაზე დროებით, კონკურსის ჩატარებამდე ვადით დანიშვნა იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული და კანონიერი, თუკი მანამდე მისი ... დეპარტამენტის ... თანამდებობაზე გამწესება მოხდებოდა ასევე დროებით, მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით, კონკურსის გავლის პირობით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ იგი არ უნდა გადაეყვანათ ... დეპარტამენტში ... აუდიტორის თანამდებობაზე სათანადო კვალიფიკაციის არარსებობის გა-

მო, რადგან არა მხოლოდ ფინანსისტებს და ეკონომისტებს, არამედ იურიდიული განათლების მქონე პირებსაც აქვთ შესაძლებლობა დაიკავონ ... სამსახურში ... აუდიტორის თანამდებობა გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ იურიდიული განათლების მქონე პირი ფლობს იმ ცოდნას და გააჩნია ის კვალიფიკაცია, რაც აუცილებელია ... აუდიტორისთვის კანონით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია ი. პ-ის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ და აღნიშნა, რომ გენერალური აუდიტორის 03.10.2013 წ. №1/428 ბრძანების გამოცემის შემდეგ ი. პ-მა 04.12.2013 წ. განცხადებით მიმართა გენერალურ აუდიტორს და მოითხოვა ... აუდიტორის თანამდებობიდან განთავისუფლება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 04.12.2013 წ. №456 ბრძანებით ი. პ-ი 2013 წლის 4 დეკემბრიდან გათავისუფლდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ... დეპარტამენტის ... აუდიტორის თანამდებობიდან, რითაც დასრულდა, შეწყდა ი. პ-სა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის მანამდე არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა. ამასთანავე, აპელანტს 04.12.2013 წ. №456 ბრძანება არ გაუსაჩივრებია, რითაც გამოხატა თავისი პოზიტიური დამოკიდებულება მასსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობის დასრულების იურიდიული ფაქტის მიმართ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მხარეები აღარ იმყოფებიან ერთმანეთთან სამსახურებრივ ურთიერთობაში, ი. პ-ის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა ვერ გამოიწვევს მის პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენას და ამით მხარეებს შორის სხვა სამართლებრივი აქტით – 04.12.2013 წ. №456 ბრძანებით შეწყვეტილი სამსახურებრივი ურთიერთობების განახლება.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე არ გაიზიარა მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ, მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში, სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება და აღნიშნა, რომ განაცდურის ანაზღაურების უფლების განხორციელება დამოკიდებულია მოხელის სამსახურში აღდგენაზე, შესაბამისად, აპელანტს უარი ეთქვა რა სამსახურში აღდგენაზე, არ არსებობს განაცდურის ანაზღაურების საფუძველიც.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ი. პ-მა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლი და ამავე კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, რამდენადაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის თანახმად (29.06.2012 წ. ცვლილების შეტანამდე მოქმედი რედაქცია), პირი შეიძლებოდა თანამდებობაზე დანიშნულიყო როგორც კონკურსის წესით, ასევე კონკურსის გარეშე. ცვლილების შემდეგ და ამჟამად მოქმედი რედაქციის თანახმად, თანამდებობაზე დანიშვნა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონკურსის წესით, გარდა ამავე კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოხელეები იმავე დანესებულების სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანისას შეიძლება უკონკურსოდ დაინიშნონ, თუ მათ მიერ კონკურსის წესით დაკავებული თანამდებობისა და დასაკავებელი თანამდებობისათვის ერთი და იგივე საკონკურსო მოთხოვნებია წაყენებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.04.2015წ. განჩინებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ი. პ-ის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.05.2014წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 03.10.2013 წ. №1/428 ბრძანების ბათილად ცნობას ითხოვდა იმ საფუძვლით, რომ მას გააჩნდა იურისტის და არა აუდიტორის კვალიფიკაცია, რის გამოც არ აკმაყოფილებდა აუდიტორის თანამდებობაზე გამწესებისათვის გათვალისწინებულ პირობებს, ხოლო სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია იმ საფუძვლით, რომ ი. პ-ის ახალ თანამდებობაზე გადაყვანა მოხდა განსაზღვრული ვადით, დროებით მოვალეობის შემსრულებლად, კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე, თუმცა მოსარჩელის ძირითადი არგუმენტი, რომ მისი კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა აუდიტორის თანამდებობას, უარყო. სააპელაციო სასამართლო დავის გადაწყვეტისას ძირითად ყურადღებას ამახვილებს იმაზე თუ

რამდენად იყო შესაძლებელი ი. პ-ის განსაზღვრული ვადით გადაყვანა ახალ თანამდებობაზე, მაშინ, როცა იგი პირადი განცხადებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მისი გათავისუფლების მიზეზი არ ყოფილა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის ვადის გასვლა ან საკონკურსო პირობების შეუსრულებლობა.

დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ ი. პ-მა 03.10.2013 წ. განცხადებით თანხმობა განაცხადა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ... დეპარტამენტში ... აუდიტორის თანამდებობაზე გადაყვანაზე. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ი. პ-ის მიერ ნების გამოვლენა არ წარმოადგენდა იძულების, მუქარის ან შეცდომის შედეგს. ამდენად, მიუხედავად მოსარჩელის მიერ მითითებული არგუმენტებისა, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო გადაყვანილი ... აუდიტორის თანამდებობაზე, რამდენადაც მას არ გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია აღნიშნულ თანამდებობაზე გამწესებისათვის, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ თანხმობის გაცხადებით მან გამოხატა ნება გადაყვანაზე. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არათანმიმდევრულია მოსარჩელის არგუმენტაცია გადაყვანის არაკანონიერებასთან დაკავშირებით იმ ვითარებაში, როდესაც ნების გამოხატვის გამომრიცხავ გარემოებებზე მისი მხრიდან მითითებული არ ყოფილა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით არ გაიზიარა კასატორის – ი. პ-ის მოსაზრება, რომ მისი ნების გამოვლენა უკავშირდებოდა მხოლოდ ... აუდიტორის თანამდებობიდან გათავისუფლებას, რის გამოც იგი აღდგენილ უნდა იქნეს პირვანდელ თანამდებობაზე.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე უნდა დაბრუნდეს ხელახალი განხილვისათვის, რამდენადაც უნდა აღმოიფხვრას ის წინააღმდეგობა, რაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი გადაწყვეტილებით შეიქმნა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები, გამოიკვლია მტკიცებულებები, რის შედეგადაც მიიჩნია, რომ ი. პ-ი, რომელსაც იურისტის კვალიფიკაცია გააჩნია, აკმაყოფილებს ... აუდიტის თანამდებობისათვის დაწესებულ მოთხოვნებს, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი გადაყვანა ახალ თანამდებობაზე კანონიერად მიიჩნია, თუმცა გადაყვანის აქტი ცნო ბათილად, ფაქტობრივად, იმ საფუძველით, რაზეც მოსარჩელე არ აპელირებდა, მით უფრო, რომ ი. პ-ი პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა ... აუდიტორის თანამდებობიდან, სასამართლოს არ დაუსაბუთებია რა პირდაპირი და უშუალო ზიანი მიაყენა გან-

საზღვრული ვადით ... აუდიტორის თანამდებობაზე გადაყვანამ მოსარჩელეს.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის გაზიარების შემთხვევაშიც წინააღმდეგობრივია გადაწყვეტილება, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ არ იქონია მსჯელობა, თუ რატომ არ არსებობდა ... დეპარტამენტის ... თანამდებობასა და ... აუდიტორის თანამდებობისათვის დადგენილ თანამდებობრივ სარგოებს შორის სხვაობის ანაზღაურების საფუძველი გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის პირობებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.10.2015წ. გადაწყვეტილებით ი. პ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 04.02.2014 წ. გადაწყვეტილება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 03.10.2013 წ. № 1/428 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი. პ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ი. პ-ის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 03.10.2013 წ. № 1/428 ბრძანება. დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 04.02.2014წ. გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ი. პ-ის სააპელაციო საჩივრის ხელახლა განხილვისას შეამოწმა სარჩელის დასაშვებობების წინაპირობები სასკ-ის 22-ე მუხლით დადგენილი სამივე კრიტერიუმის მიხედვით და დაადგინა, რომ სარჩელი დასაშვებია. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გენერალური აუდიტორის 03.10.2013 წ. № 1/428 ბრძანება კანონსაწინააღმდეგო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია შემდეგ გარემოებათა გამო: „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლი (პირვანდელ რედაქციით) ადგენდა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების ორ ალტერნატიულ გზას – კონკურსით და კონკურსის გარეშე. კანონი კონკურსით და კონკურსის გარეშე დანიშნულ მოხელეებს ამყოფებდა თანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში იმ თვალსაზრისით, რომ არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების პირობებში ურთიერთობის მონაწილე არცერთი მხარე ეჭვქვეშ არ აყენებდა პირდაპირი წესით კონკურსის გარეშე დანიშნული მოხელის თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივობას, კომპეტენციას, კვალიფიკაციას, საჯარო სამსახურის ფარგლებში მოხელის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და შეძენილი

უფლებების მოცულობას, ლეგალურობას. 29.06.2012წ. №6611 კანონის საფუძველზე შეიცვალა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის შინაარსი, 1-ლი პუნქტით დადგინდა, რომ პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთანავე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის (თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა) სადავო აქტის გამოცემის მომენტში მოქმედი რედაქციის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ მოხელეები – იმავე დაწესებულების სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანისას, თუ მათ მიერ კონკურსის წესით დაკავებული თანამდებობისა და დასაკავებელი თანამდებობისათვის ერთი და იგივე საკონკურსო მოთხოვნებია წაყენებული. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გენერალური აუდიტორის 03.10.2013 წ. №1/428 ბრძანების გამოცემის, ანუ, ერთი და იგივე დაწესებულების შიგნით ი. პ-ის ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანის პირობებში აპელანტი გვევლინებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის სუბიექტად. იმის გათვალისწინებით, რომ ი. პ-ი, თავის დროზე, საქართველოს კონტროლის პალატის ... დეპარტამენტის ... თანამდებობაზე დაინიშნა პირდაპირი წესით და განუსაზღვრელი ვადით და იმის გათვალისწინებით, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის (პირვანდელი რედაქციით) მოქმედების პირობებში როგორც კონკურსის შედეგების მიხედვით, ისე – პირდაპირი წესით პირების თანამდებობებზე განმწესება წარმოადგენდა იდენტური მნიშვნელობის მქონე იურიდიულ ფაქტებს, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს აუდიტის სამსახურის ერთი სტრუქტურული ერთეულიდან (... დეპარტამენტიდან) მეორე სტრუქტურულ ერთეულში (... დეპარტამენტში) ... აუდიტორის თანამდებობაზე გადაყვანისას ი. პ-ის მიმართ უნდა გავრცელებულიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მოქმედება ისე, რომ იგი, როგორც ძველ თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით დანიშნული პირი, ახალ თანამდებობაზე უნდა დაენიშნათ არა დროებით მოვალეობის შემსრულებლად, კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე ვადით, არამედ ასევე განუსაზღვრელი ვადით. ი. პ-ის ახალ თანამდებობაზე დროებით, კონკურსის ჩატარებამდე ვადით დანიშვნა იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული და კანონიერი, თუკი მანამდე მისი ... დეპარტამენტის ... თანამდებობაზე განმწესება მოხდებოდა ასევე დროებით,

მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით, კონკურსის გავლის პირობით. მოწინააღმდეგე მხარე ვერ უთითებს შიდა აუდიტის სამსახურში ... აუდიტორის თანამდებობაზე დასაქმებული იურიდიული განათლების მქონე პირის მიერ შესასრულებელ ისეთ შრომით საქმიანობაზე, ისეთ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც ესაჭიროება ისეთი განსხვავებული საკვალიფიკაციო, საკონკურსო წინაპირობები (ანუ, განსხვავებული განათლება, კვალიფიკაცია, უნარები, შრომის სტაჟი, განსხვავებული დისციპლინების, საგნების და საკითხების ცოდნა), რომლებიც არ გააჩნია უფრო მაღალ თანამდებობაზე – ... დეპარტამენტის ... თანამდებობაზე მყოფ, ასევე იურიდიული განათლების მქონე პირს. აღნიშნულის გამო კასატორმა არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ... დეპარტამენტის ... და ... დეპარტამენტის ... აუდიტორის თანამდებობის დასაკავებლად განსხვავებული საკონკურსო პირობებია დადგენილი. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ შეუძლებლად მიიჩნია გენერალური აუდიტორის 15.11.13წ. №245/37 ბრძანებით დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გამოყენება იმის გამო, რომ სადავო ბრძანების გამოცემის მომენტში ჯერ კიდევ არ არსებობდა ხსენებული ნორმატიული აქტი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის პირვანდელი რედაქციის მოქმედების დროს საჯარო სამსახურში კონკრეტულ თანამდებობაზე კონკურსის გარეშე, პირდაპირი წესით და განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოხელე თავისი სტატუსით, სამართლებრივი მდგომარეობით და ნაკისრი უფლება-მოვალეობების მოცულობით სრულად უთანაბრდებოდა საჯარო სამსახურში ასევე კონკრეტულ თანამდებობაზე, მაგრამ კონკურსის წესით და განუსაზღვრელი ვადით დანიშნულ საჯარო მოხელეს. 29-ე მუხლის ახლებურად ჩამოყალიბებული რედაქციით არ შეცვლილა, შენარჩუნდა მანამდე საჯარო სამსახურში კონკრეტულ თანამდებობებზე კონკურსის გარეშე, პირდაპირი წესით და განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოხელეების სამართლებრივი მდგომარეობა იმ თვალსაზრისით, რომ მათ მიერ დაკავებული თანამდებობები არ ითვლება ვაკანტურ თანამდებობებად, ისინი აგრძელებენ თანამდებობებზე ყოფნას და შრომით საქმიანობას. საჯარო სამსახურში კონკრეტულ თანამდებობაზე კონკურსის გარეშე, პირდაპირი წესით და განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოხელის ერთი თანამდებობიდან მეორე თანამდებობაზე (ანუ, იმავე დაწესებულების ერთი სტრუქტურული ერთეულიდან მეორეში) გადაყვანის დროს ადმინისტრაციულმა ორგანომ ასეთი გადაყვანის საკითხი აუცილებლად უნდა განიხილოს

და გადაწყვეტოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის ქრილში. რაც შეეხება საკონკურსო მოთხოვნების იგივეობის/განსხვავებულობის თემას, სასამართლომ მიუთითა, რომ უკეთეს შემთხვევაში ეს საკითხი ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გაარკვიოს კანონით/კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოში საშტატო ნუსხით გათვალისწინებული კონკრეტული თანამდებობებისთვის პირდაპირ დადგენილი საკონკურსო მოთხოვნების ურთიერთშედარების და ანალიზის გზით. საქართველოს აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 03.10.2013 წ. №1/428 ბრძანების გამოცემის მომენტში ჯერ კიდევ არ არსებობდა ნორმატიული აქტი (მათ შორის, 15.11.2013 წლის №245/37 ბრძანება), რომელიც დაადგენდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ამა თუ იმ თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისთვის წარსადგენ საკონკურსო მოთხოვნებს, თუმცა, ამგვარი ნორმების უქონლობა ადმინისტრაციულ ორგანოს არ უკარგავდა საკითხის სწორად, კვალიფიციურად გადაწყვეტის შესაძლებლობას, რადგან სახელმწიფო აუდიტის სამსახური შესაგებელში იმ მოსაზრებას ანვითარებს, რომ ... სამსახურში ... აუდიტორის თანამდებობის დაკავება შეეძლო იურიდიული განათლების მქონე პირს, მათ შორის – ი. პ-ს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება მასზედ, რომ იგი არ უნდა გადაეყვანათ ... დეპარტამენტში ... აუდიტორის თანამდებობაზე თუნდაც იმიტომ, რომ მას, როგორც იურიდიული განათლების მქონე პირს, არ გააჩნდა ამ თანამდებობაზე საქმიანობისთვის აუცილებელი განათლება და კვალიფიკაცია, კერძოდ, ფინანსისტის, ეკონომისტის განათლება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ არამარტო ფინანსისტებს, ეკონომისტებს, არამედ იურიდიული განათლების მქონე პირებსაც აქვთ შესაძლებლობა დაიკავონ ... სამსახურში ... აუდიტორის თანამდებობა, რადგანაც იურიდიული განათლების მქონე პირი ფლობს ... აუდიტორისთვის კანონით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საჭირო ცოდნას და კვალიფიკაციას. გენაუდიტორის 01.02.13წ. №4/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ თანახმად, ... დეპარტამენტი, სხვა სტრუქტურული ერთეულებისგან (... დეპარტამენტებისგან) განსხვავებით შექმნილია იმ მიზნით, რომ სწორედ ამ სტრუქტურულმა ერთეულმა აკონტროლოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დანარჩენი სტრუქტურული ერთეულების, ამ ერთეულებში დასაქმებული საჯარო მოხელეების შრომითი საქმიანობა როგორც ფინანსური ინტერესების, ისე – სამართლებრივი ნორმების ქრილში. რიგ შემთხვევებში აუდიტო-

რული საქმიანობა შესაძლოა გულისხმობდეს არა მაინც და მაინც ფინანსურ კონტროლს, ფინანსური საკითხების შემოწმებას, არამედ წმინდა სამართლებრივი საკითხების შესწავლა-შემოწმებისა და ანალიზის, სამართლებრივი დასკვნების შედგენის პროცესებს და მათ თანმხლებ შედეგებს (რეგლამენტის მე-6 მუხ.). ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში არ შეაფასა საქმეზე დართული მტკიცებულებები – სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ 16.12.2013 წ. №601016 წერილი, ასევე 24.01.2014 წ. №31244 წერილი, სააპელაციო პალატის აზრით არ ახდენს გავლენას სადავო საკითხის გამორკვევის შედეგებზე, რადგან სადავო საკითხის „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ ქრილში კვლევამ ცხადყო, რომ შიდა აუდიტის დეპარტამენტში შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე პირის შესარჩევად და თანამდებობაზე დასანიშნად მნიშვნელოვანია არა თანამდებობის დასახელება, არამედ იმ ფუნქციათა შინაარსი, რომელთა შესრულებაც პირს უწევს კონკრეტულ თანამდებობაზე ყოფნის დროს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ 03.10.2013 წ. №1/428 ბრძანების გამოცემისას ორგანოს არ დაურღვევია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-13, მე-15 და 43-ე მუხლების მოთხოვნები – მოპასუხემ ... აუდიტორის თანამდებობაზე ი. პ-ის სახით გადაიყვანა სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირი, მოპასუხეს სადავო შემთხვევაში არ უარყვია საჯარო სამსახურში პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის პრინციპები, ასევე, სასამართლოს ეჭვქვეშ არ დაუყენებია ახალ თანამდებობაზე გადაყვანასთან დაკავშირებით აპელანტის მხრიდან გაცხადებული თანხმობის (ნების) ნამდვილობა, რადგან ი.პ-მა ვერ შეძლო იმის მტკიცება, რომ მისი თანხმობა წარმოადგენდა იძულების, მუქარის, შეცდომის შედეგს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს ი. პ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 04.02.2014 წ. გადაწყვეტილების იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია, რომ სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი

უარს ამბობს აღდგენაზე. მოცემულ შემთხვევაზე აღნიშნული ნორმის მოქმედება არ უნდა გავრცელდეს, რადგან გასათვალისწინებელია, რომ გენერალური აუდიტორის 03.10.2013 წ. № 1/428 ბრძანების გამოცემის შემდეგ ი. პ-მა 04.12.2013 წ. განცხადებით მიმართა გენერალურ აუდიტორს და მოითხოვა ... აუდიტორის თანამდებობიდან განთავისუფლება. განცხადების პასუხად სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოსცა 04.12.2013 წ. № 456 ბრძანება, რომლითაც ი. პ-ი გაანთავისუფლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ... დეპარტამენტის ... აუდიტორის თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანების გამოცემის გზით დასრულდა ი. პ-სა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის მანამდე არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა. ი. პ-ს 04.12.2013 წ. № 456 ბრძანება არ გაუსაჩივრებია, აღნიშნულით მან გამოხატა თავისი პოზიტიური დამოკიდებულება შრომითი ურთიერთობის დასრულების იურიდიული ფაქტის მიმართ. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ დღეის მდგომარეობით, როდესაც დავის მხარეები აღარ იმყოფებიან ერთმანეთთან სამსახურებრივ ურთიერთობაში, ი. პ-ის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა ვერ გამოიწვევს ი. პ-ის პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენას და ამით მხარეებს შორის სხვა სამართლებრივი აქტით – 04.12.2013 წ. № 456 ბრძანებით შეწყვეტილი სამსახურებრივი ურთიერთობების განახლება.

რაც შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.01.2014 წ. საოქმო განჩინებას, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი და ის სრულად შეესაბამება სსკ-ის 9.1, 207.1, 70.1, 74-ე, 216-ე მუხლების მოთხოვნებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალების მიხედვით მხარეებს არ მოუთხოვიათ საქმეზე სასკ-ის 27-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ინსტიტუტის გამოყენება – გამართივებული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მოსარჩელე ი. პ-ის ადმინისტრაციული საქმე უნდა განეხილა და გადაეწყვიტა ღია სასამართლო სხდომაზე საქმის ზეპირი განხილვის გზით. თავის მხრივ, სასამართლო სხდომის ჩატარების აუცილებლობა სასამართლოს აკისრებს ასეთი სხდომის მომზადების, სწორად ორგანიზების ვალდებულებას ისე, რომ წინასწარ დაგეგმილი სასამართლო სხდომის დრო და ადგილი ყველა მხარეს (მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს) ან მათ წარმომადგენლებს უნდა ეცნობოთ სასამართლო უწყებით იმ ვარაუდით, რომ მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოემზადონ ზეპირი შეჯიბრებისათვის. საქმის მასალებით დგინდება, რომ საქა-

ლაქო სასამართლომ ვერ უზრუნველყო 08.01.2014 წ. სასამართლო სხდომაზე მოპასუხის – საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოწვევა კანონით დადგენილი წესების დაცვით, მოპასუხემ არ იცოდა, რომ ი. პ-ის საქმეზე 08.01.2014 წ. უნდა ჩატარებულიყო სასამართლო სხდომა. ასეთ პირობებში სასამართლო არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებული იყო გადაედო საქმის განხილვა სხვა დროისათვის, რადგან სასამართლო სხდომაზე მოპასუხის მოწვევის, მისი სათანადოდ გაფრთხილების გარეშე საქმის განხილვა წარმოადგენს უხემ საპროცესო დარღვევას, სსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველთაგან ერთ-ერთს.

სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ი. პ-ის მოთხოვნა აცილებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.01.2014 წ. საოქმო განჩინების გაუქმების შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების შესახებ შუამდგომლობა დააფუძნა სსკ-ის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რაც შეეხება შუამდგომლობის ფაქტობრივ საფუძვლებს, ასეთებად ი. პ-მა დაასახელა სამი გარემოება, კერძოდ, პირველი ის, რომ მისი შრომითი დავა თავდაპირველად განსახილველად გადაეცა მოსამართლე ხ.არდაზიშვილს, ხოლო მოგვიანებით – მეორე მოსამართლეს მ. ერემადეს, მოსამართლე ხ. არდაზიშვილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე; მეორე ის, რომ სასამართლომ მის საქმესთან მიმართებაში დაარღვია სსკ-ის 59.3. მუხლით დადგენილი შრომითი დავის განხილვის ერთთვიანი საპროცესო ვადა და მესამე ის, რომ სასამართლომ ვერ უზრუნველყო 08.01.2014 წ. სასამართლო სხდომის შესახებ მოპასუხის დადგენილი წესის დაცვით გაფრთხილება. სსკ-ის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. პალატამ მიიჩნია, რომ ი. პ-ის მიერ დასახელებული გარემოებები არ ქმნის იმის მტკიცების საფუძველს, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებული იყო საქმის შედეგით ან/და იყო მიკერძოებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.10.2015 წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ი. პ-ისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ.

კასატორმა ი. პ-მა აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის მიხედვით სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. პ-ი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ... დეპარტამენტის ... თანამდებობიდან გადაყვანა ... აუდიტორად არამართლზომიერად განხორციელდა, თუმცა სასამართლო ვერ ასაბუთებს რატომ არ ქმნიდა აღნიშნული გარემოება მოხელის სამსახურში აღდგენის და განაცდურის ანაზღაურების საფუძველს. კასატორი აღნიშნავს, რომ მას არასდროს არ მოუთხოვია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ... დეპარტამენტის ... თანამდებობიდან გათავისუფლება. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებაში აისახა მხოლოდ ნება ... აუდიტორის პოზიციიდან გათავისუფლების შესახებ იმ საფუძველით, რომ მოხელეს არ გააჩნდა ამ თანამდებობისათვის საკმარისი ცოდნა და სათანადო კვალიფიკაცია. სამსახურიდან გათავისუფლების თხოვნა შეეხებოდა მხოლოდ კონკრეტული თანამდებობიდან გათავისუფლებას და არ იყო ზოგადი ხასიათის. ამდენად, გაურკვეველია რატომ იყო შეუძლებელი ი. პ-ის აღდგენა გადაყვანამდე არსებულ იმ თანამდებობაზე, საიდანაც მას არ მოუთხოვია გათავისუფლება, სადავო ბრძანების ბათილად ცნობას უნდა გამოენვია მის გაუქმებამდე არსებული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

კასატორი ყველა ინსტანციის სასამართლოში აღიარებდა, რომ ის არ ფლობდა ... აუდიტორის საქმიანობისათვის საჭირო ცოდნასა და კვალიფიკაციას. სასამართლომ მხოლოდ ზედაპირულად იმსჯელა აღნიშნულ გარემოებაზე და მიუთითა, რომ ზოგადად იურისტს შეუძლია განახორციელოს აუდიტორის უფლებამოსილებები, თუმცა არ შეუფასებია საქმის გარემოებები და კონკრეტული მოხელის შესაძლებლობები. საქმეში არსებული სისპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 16.12.2013წ. წერილის თანახმად, იურისტისა და აუდიტორის კვალიფიკაცია არ არის ერთი და იგივე, ეს ორი კვალიფიკაცია განათლების სხვადასხვა მიმართულებებს მიეკუთვნება და შესაბამისად სწავლის სხვადასხვა შედეგზე გადის. სასამართლოს არ გააჩნდა სპეციალური ცოდნა აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. კასატორის მოსაზრებით, გამოკვლევას საჭიროებდა ის გარემოება, რამდენად არსებობდა განუსაზღვრელი ვადით განმწესებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ... დეპარტამენტის ... დროებით მოვალეობის შემსრულებლად გადაყვანის საჭიროება უფრო ქვემდგომ – ... აუდიტორის თანამდებობაზე. სასამართლოს უნდა გამოერკვია აღნიშნულმა ხომ არ გამოიწვია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-13 მუხ-

ლით განმტკიცებული პროფესიონალიზმისა და კადრების სტაბილურობის პრინციპის დარღვევა.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის საფინანსო-ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საქმიანობის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და შიდა კონტროლის პროცედურების შემომწების შედეგების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე კასატორი აღნიშნავს, რომ 2013 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში მუდმივად მიმდინარეობდა პერმანენტული შიდა გადაადგილებები, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმპულსური, არასტრატეგიული გადაწყვეტილებების ერთობლიობად, რომელიც ორიენტირებული იყო ვიზუალურ ეფექტებზე. ამავე დასკვნით დგინდება, რომ სახელმწიფო აუდიტის ... დეპარტამენტის საქმიანობა შეუსაბამოა „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში არ არსებობს თანამდებობის სამუშაოთა აღწერილობები, რითაც განისაზღვრებოდა მათი კომპეტენციები, არ არის გაწერილი საქმიანობის პარამეტრები და პასუხისმგებლობის სფერო. კასატორი მიიჩნევს, რომ ასეთი დასკვნის არსებობების პირობებში საფუძველს მოკლებულია სააპელაციო პალატის მიერ დაპირისპირებულ თანამდებობათა უფლება-მოვალეობების შედარება. სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ მოხელის თანხმობის არსებობის შემთხვევაშიც, დამსაქმებელი არ თავისუფლდება ვალდებულებისგან გამოიკვლიოს შესაბამისი გარემოებები.

კასატორი თვლის, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ... დეპარტამენტის ... თანამდებობიდან მოსარჩელის გათავისუფლებით გაუარესდა ... დეპარტამენტის მდგომარეობა, რადგან ... თანამდებობაზე დაინიშნა მკვეთრად დაბალკვალიფიციური პირი. კასატორი მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლოში საქმე განიხილა არაუფლებამოსილმა შემადგენლობამ, რადგან საქმე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გადაენერა სხვა მოსამართლეს, „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისთვის დაკისრების შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს სხვა მოსამართლისათვის საქმის გადაცემას განტვირთვის მიზნით, ამასთანავე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.03.2014წ. №3-0133/462703 წერილით დასტურდება, რომ მოსამართლე მ. ერემაძე დადგენილ იქნა სამშენებლო, მიწის, პრივატიზაციის და ქონებრივი დავების განსახილველად, შესაბამისად მას არ ჰქონდა უფლებამოსილება განეხილა და გადაეწყვიტა შრომითი დავა. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის სხდომაზე არ იყო მიწვეული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წე-

სით, რაც დამოუკიდებლად ქმნის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა, აგრეთვე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომელმაც საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, რამაც გამოიწვია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორი მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს სათანადო მითითებების მიუხედავად სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საკასაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებზე, არ გაითვალისწინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვით აღნიშნული ნორმის გავრცელება შესაძლებელია მხოლოდ კონკურსის წესით დანიშნულ მოხელეზე. სააპელაციო სასამართლო კვლავ შეეხო მოხელის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შემთხვევაში საკონკურსო მოთხოვნათა თემატიკას, რაც საერთოდ არ ყოფილა აღნიშნული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჩივარში.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია, რადგან ერთი მხრივ, იგი აქცენტს აკეთებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის პირვანდელ რედაქციაზე და ამავე დროს უგულებელყოფს 29-ე მუხლის პირვანდელი რედაქციის დროს მოქმედი 30-ე მუხლის რედაქციას, რომელსაც „თ“ ქვეპუნქტი არ ჰქონდა და მსგავსი შინაარსის დათქმასაც არ ითვალისწინებდა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30.1 მუხლს „თ“ ქვეპუნქტი დაემატა 29-ე მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებასთან ერთად, რაც განპირობებული იყო საქართველოში კორუფციასთან და ნეპოტიზმთან ბრძოლით და მიზნად ისახავდა პირის კონკურსის გარეშე დანიშვნის გამორიცხვას. მართალია, აღნიშნულ ცვლილებებამდე დანიშნულ მოხელეთა სამართლებრივი მდგომარეობა უცვლელი დარჩა, თუმცა მხოლოდ იმ მომენტამდე, ვიდრე მოხდებოდა მათი სხვა თანამდებობაზე გადაყვანა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი, აღნიშნული ნორმის გამოყენებისათვის აუცილებელია არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: გადაყვანამდე დაკავებულ თანამდებობაზე მოხელე დანიშნული უნდა იყოს კონკურსის წესით და დაკავებული თანამდებობისა და დასაკავებელი თა-

ნამდებობისათვის ერთი და იგივე საკონკურსო მოთხოვნები უნდა არსებობდეს, განსახილველი ნორმა ალტერნატივას არ ითვალისწინებს, შესაბამისად იგი გამოყენებული შეიძლება იქნეს მხოლოდ იმპერატიულად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, იგი ვერ გავრცელდება კონკურსის გარეშე დანიშნული მოხელის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შემთხვევაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ი. პ-ი სხვა თანამდებობაზე გადაყვანილ იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. პ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საკასაციო საჩივარი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 22.03.2010 წ. №34/25 ბრძანებით ი. პ-ი, რომელსაც მინიჭებული აქვს იურისტის კვალიფიკაცია, დაინიშნა საქართველოს კონტროლის პალატის ... დეპარტამენტის ... თანამდებობაზე კონკურსის გავლის გარეშე. 03.10.2013 წ. ი. პ-მა თანხმობა განაცხადა იმავე უწყებაში ... დეპარტამენტში ... აუდიტორის თანამდებობაზე გადაყვანაზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 03.10.2013 წ. №1/428 ბრძანებით ი. პ-ი გადაყვანილ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ... დეპარტამენტის ... თანამდებობიდან ... დეპარტამენტის ... აუდიტორის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად, კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 02.12.2013 წ. №1/443 ბრძანებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ... დეპარტამენტის ... თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ლ. უ-ი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 04.12.2013 წ. №456 ბრძანებით ი. პ-ი პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ... დეპარტამენტის ... აუდიტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2013 წლის 4 დეკემბრიდან. აღნიშნული ბრძანება ი. პ-ის მიერ არ გასაჩივრებულა და ძალაშია.

მოსარჩელე ი. პ-ი სადავოდ ხდის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 03.10.2013 წ. №1/428 ბრძანებას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ... დეპარტამენტის ... თანამდე-

ბობიდან ... დეპარტამენტის ... აუდიტორის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად გადაყვანის შესახებ იმ საფუძველებით, რომ ი. პ-ი ... დეპარტამენტის ... თანამდებობაზე დანიშნული იყო განუსაზღვრელი ვადით, შესაბამისად, მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დროებით მოვალეობის შემსრულებლად, კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის დანიშვნამდე არ არის მართლზომიერი, ამასთანავე, კასატორი თვლის, რომ იურისტის კვალიფიკაცია, ცოდნითა და გამოცდილებით არ შეესაბამება აუდიტორის თანამდებობას.

სააპელაციო პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე და 30-ე მუხლების ძველი და სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი რედაქციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლი პირვანდელი რედაქციით ადგენდა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების ორ ალტერნატიულ გზას – კონკურსით და კონკურსის გარეშე. როგორც კონკურსის შედეგების მიხედვით, ისე – პირდაპირი წესით პირების თანამდებობებზე განმწესება იყო იდენტური შინაარსისა და მნიშვნელობის მქონე იურიდიული ფაქტი. მართალია ახალმა კანონმა უარყო პირდაპირ, კონკურსის გავლის გარეშე თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა, თუმცა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამონაკლის შემთხვევებში თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ მოხელეები – იმავე დაწესებულების სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანისას, თუ მათ მიერ კონკურსის წესით დაკავებული თანამდებობისა და დასაკავებელი თანამდებობისათვის ერთი და იგივე საკონკურსო მოთხოვნები ნაყენებული. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ერთი და იგივე დაწესებულების შიგნით ი. პ-ის ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანის პირობებში იგი გვევლინებოდა სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის სუბიექტად, შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემოქმედა იმის გათვალისწინებით, რომ ი. პ-ი, საქართველოს კონტროლის პალატის ... დეპარტამენტის ... თანამდებობაზე დაინიშნა განუსაზღვრელი ვადით პირდაპირი წესით. პირდაპირი წესით პირების თანამდებობებზე განმწესება და კონკურსის შედეგების მიხედვით თანამდებობაზე დანიშვნა იდენტური მნიშვნელობის მქონე იურიდიული ფაქტებია. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატა ასკვნის, რომ საქართველოს აუდიტის სამსახურის ერთი სტრუქტურული ერთეუ-

ლიდან (... დეპარტამენტიდან) მეორე სტრუქტურულ ერთეულში (... დეპარტამენტი) გადაყვანისას ი. პ-ის მიმართ უნდა გავრცელდებულიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მოქმედება: ძველ თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით დანიშნული პირი, ახალ თანამდებობაზე უნდა დაენიშნათ არა დროებით მოვალეობის შემსრულებლად, კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე ვადით, არამედ ასევე განუსაზღვრელი ვადით. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ხსენებულ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ საჯარო სამსახურში თანამშრომელთა მიღების პროცესის საკანონმდებლო მონესრიგება ემსახურება სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაცვას, უზრუნველყოფს ვაკანტურ თანამდებობათა თანაბარ ხელმისაწვდომობას. სამსახურში მიღებისას სუბიექტური ფაქტორების გამოსარიცხად აუცილებელია როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნების, ისე მიღების პროცედურების ზუსტი რეგლამენტირება. იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა დროებით მოვალეობის შემსრულებელი პირის დანიშვნას (30-ე მუხ.). 29.06.2012წ. კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად 29-ე მუხლის განახლებული რედაქციით დადგინდა მხოლოდ კონკურსის წესით თანამდებობაზე დანიშვნის წესი, 30-ე მუხლს დაემატა მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად კონკურსის წესით შევსებულ თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება არა უმეტეს სამი თვის ვადით. 22.03.13წ. კანონით გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომელთა თანამდებობაზე დანიშვნა შესაძლებელი იყო კონკურსის ჩატარების გარეშე, კერძოდ 30.1 მუხლს დაემატა „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები და განისაზღვრა, რომ მოხელეები სამსახურებრივი დანიშნულების შემთხვევაში და მოხელეები იმავე დაწესებულების სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანისას, თუ მათ მიერ კონკურსის წესით დაკავებული თანამდებობისა და დასაკავებელი თანამდებობისათვის ერთი და იგივე საკონკურსო მოთხოვნები იყო წაყენებული, არ საჭიროებდნენ კონკურსის წესით დანიშვნას. ამდენად, სადავო აქტის გამოცემის დროისათვის (03.10.2013წ.) თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა იყო საერთო წესიდან გამონაკლისი და გამოიყენებოდა მხოლოდ კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში (30-ე მუხ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირის საჯარო სამსახურში მიღება ემყარება ხელმისაწვდომობის, თანასწორობისა და პრო-

ფესიონალიზმის პრინციპებს. საჯარო სამსახურის კვალიფიციური კადრებით შევსების საუკეთესო საშუალება და მოქმედი სამართლებრივი მექანიზმი არის კონკურსი, რომელიც ერთი მხრივ უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული პრინციპების პრაქტიკულ რეალიზებას, ხელს უწყობს სახელმწიფო აპარატის გამართულ ფუნქციონირებას, ხოლო მეორე მხრივ უქმნის მოქალაქეებს იმის რწმენას, რომ სახელმწიფო უწყებები კომპლექტდება პროფესიონალი და მიუკერძოებელი კადრებით. ქართულ კანონმდებლობაში თანამდებობაზე მხოლოდ კონკურსით დანიშვნის წესის დამკვიდრება ხელს უწყობს საჯარო სამსახურის მუშაობის გამჭვირვალობას, მისი კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტებას და საჯარო დაწესებულებების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას. ამდენად, მნიშვნელოვანია იმ სამართლებრივი საფუძვლების სწორი განმარტება, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია პირის თანამდებობაზე დანიშვნა კონკურსის გარეშე. სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ მოხელეები – იმავე დაწესებულების სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანისას, თუ მათ მიერ კონკურსის წესით დაკავებული თანამდებობისა და დასაკავებელი თანამდებობისათვის ერთი და იგივე საკონკურსო მოთხოვნება წაყენებული. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნორმის დისპოზიცია შედგება ფაქტობრივი შემადგენლობისა და იურიდიული შედეგისგან. ნორმით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი შესაძლოა დადგეს მხოლოდ ნორმითვე გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას. განსახილველ შემთხვევაში 30-ე მუხლით დადგენილია კონკურსის გარეშე თანამდებობაზე დანიშვნის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის საჭიროა დადგინდეს ნორმით განსაზღვრული კუმულატიური წინაპირობების ერთობლივი არსებობა, კერძოდ, პირის გადაყვანა უნდა ხდებოდეს იმავე დაწესებულების სხვა სტრუქტურულ ერთეულში, ძველ და ახალ თანამდებობებს ერთი და იგივე საკონკურსო პირობები უნდა ჰქონდეთ დაწესებული, ამასთანავე, პირს პირვანდელი თანამდებობა დაკავებული უნდა ჰქონდეს კონკურსის წესით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმის მოქმედება უნდა გავრცელდეს ი. პ-ზეც, თუმცა საქმეზე უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ი. პ-ი საქართველოს კონტროლის პალატის ... დეპარტამენტის ... თანამდებობაზე დანიშნული იყო პირდაპირი წესით, კონკურსის გავლის გარეშე. ამდენად, სააპელაციო პალატის სამართლებრივი დას-

კვნა არ გამომდინარეობს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან. ვითარებას არ ცვლის ის გარემოება, რომ ი. პ-ის თანამდებობაზე დანიშვნის მომენტი სათვის (22.03.2010წ.), პირის საჯარო სამსახურში მიღება შესაძლებელი იყო როგორც კონკურსით, ისე კონკურსის გარეშე. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 30-ე მუხლის 1-ელ პუნქტს „თ“ ქვეპუნქტი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონს დაემატა 22.03.2013 №386 კანონით შეტანილი ცვლილების შედეგად, ანუ მას შემდეგ, რაც 29-ე მუხლში 29.06.2012. №6611 კანონით შეტანილი ცვლილების შედეგად, იმპერატიულად დადგინდა საჯარო სამსახურში მხოლოდ კონკურსის წესით დანიშვნის შესაძლებლობა. კონკურსის გარეშე პირის საჯარო სამსახურში დანიშვნის აკრძალვის შემდეგ ამოქმედებული კანონის 30.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის დანაწესი დანესებულების სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანისას უკონკურსოდ დანიშვნის შესახებ, ვრცელდება მხოლოდ კონკურსგავლილ პირებზე, ნორმა ვერ გავრცელდება იმ პირებზე, რომლებიც დანიშნულნი იყვნენ კონკურსის გავლის გარეშე.

სააპელაციო პალატის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის პირვანდელი რედაქციის მოქმედების დროს საჯარო სამსახურში კონკრეტულ თანამდებობაზე კონკურსის გარეშე, პირდაპირი წესით და განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოხელე თავისი სტატუსით, სამართლებრივი მდგომარეობით და ნაკისრი უფლება-მოვალეობების მოცულობით სრულად უთანაბრდებოდა საჯარო სამსახურში ასევე კონკრეტულ თანამდებობაზე, მაგრამ კონკურსის წესით და განუსაზღვრელი ვადით დანიშნულ საჯარო მოხელეს, არ ადასტურებს სადავო ბრძანების უკანონობას. ის გარემოება, რომ 29-ე მუხლის განახლებულმა რედაქციამ მანამდე კონკურსის გარეშე დანიშნული პირების მიერ დაკავებული თანამდებობები არ ჩათვალა ვაკანტურ თანამდებობად, უკონკურსოდ დანიშნული პირები აგრძელებდნენ თანამდებობაზე ყოფნას და შრომით საქმიანობას, არ ადასტურებს შემდგომში სხვა თანამდებობების უკონკურსოდ დაკავების შესაძლებლობას. 29-ე მუხლის განახლებული რედაქცია იმპერატიულად ადგენს თანამდებობაზე მხოლოდ კონკურსის შედეგების მიხედვით დანიშვნის წესს, ამ დანაწესს არ ჰქონდა უკუქცევითი, რეტროაქტიული ძალა, თუმცა აღნიშნული არ გამოორიცხავდა სამომავლოდ ამ რეგულაციის გამოყენებას იმ პირების მიმართ, რომლებსაც უკონკურსოდ ჰქონდათ დაკავებული თანამდებობა. ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას საჯარო სამსახურში კონკრეტულ თანამდე-

ბოზაზე კონკურსის გარეშე, პირდაპირი წესით და განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოხელის ერთი თანამდებობიდან მეორე თანამდებობაზე გადაყვანის საკითხის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადაწყვეტის შესაძლებლობის შესახებ. მართალია, კონკურსის წესით და კონკურსის გარეშე დანიშნული პირების დიფერენცირებას და რომელიმეს უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებას „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი არ იცნობდა, თუმცა ეს არ ანიჭებს კონკურსის გარეშე დანიშნულ საჯარო მოხელეს უფლებას იმავე სამსახურის სტრუქტურულ ერთეულში დაიკავოს სხვა, კონკურსით დასაკავებელი თანამდებობა უვადოდ, ასეთ შესაძლებლობას სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობდა, ამასთანავე, ადმინისტრაციულ ორგანოს სზაკ-ის მე-5 მუხლის თანახმად ეკისრება მხოლოდ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე და მის ფარგლებში მოქმედების ვალდებულება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის არამხოლოდ სისტემური, ისტორიული, ლოგიკური, არამედ აგრეთვე სიტყვა-სიტყვითი განმარტებითაც დგინდება, რომ ნორმის სუბიექტი მხოლოდ კონკურსის გავლის შედეგად დანიშნული პირია. აღნიშნულში არ იგულისხმება პირი, რომელიც დანიშვნის მომენტში უტოლდებოდა კონკურსის წესით დანიშნულ მოხელეს, რადგან ნორმა არ ახდენს მსგავს მითითებას, ამასთანავე „თ“ ქვეპუნქტი 30.1 მუხლს დაემატა მხოლოდ მას შემდეგ, რაც კანონში ერთმნიშვნელოვანი, იმპერატიული დათქმა გაკეთდა თანამდებობის მხოლოდ კონკურსის წესით დაკავების შესახებ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსამარტივო ნორმა განხილულ უნდა იქნეს სხვა ნორმებთან ერთობლიობაში, სისტემურად, არსებული სამართლებრივი რეალობის გათვალისწინებით. ამდენად, საფუძველს მოკლებულია სააპელაციო პალატის მიერ სადავო აქტის გამოცემისას ი. პ-ის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის სუბიექტად მიჩნევა, რადგან აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობა იყო პირის მიერ თანამდებობის რეალურად გავლილი კონკურსის შედეგების გათვალისწინებით დაკავება. 30-ე მუხლში აღნიშნული დამატების შეტანის შესახებ კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტის მიღების მიზანი იყო სამართლიანი წესის დამკვიდრება მუშაკის საჯარო სამსახურში მიღებისას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ნორმა ერთგვარ შეღავათს აწესებდა მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებსაც ერთხელ უკვე წარმატებით ჰქონდათ გავლილი კონკურ-

სი, ასეთ პირებს ნორმა აღარ ავალდებულებდა იგივე პროცედურების გავლას იმ პირობით, რომ დაკავებულ თანამდებობასა და დასაკავებელ თანამდებობას ერთი და იგივე საკონკურსო მოთხოვნები ჰქონდა დაწესებული, რადგან მოხელის მიერ ერთხელ უკვე გავლილი კონკურსის შედეგების გათვალისწინებით დგინდება მისი შესაბამისობა დასაკავებელი თანამდებობისადმი წაყენებულ საკონკურსო მოთხოვნებთან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკურსის მიზანია ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, წინასწარ დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე, შესაბამისი კანდიდატის შერჩევა. კონკურსის გზით ხდება კონკურსში მონაწილე კანდიდატების კვალიფიკაციის, პროფესიული ცოდნის დონის, პიროვნული თვისებების, მოტივაციისა და უნარ-ჩვევების შეფასება და თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა. ამდენად, კონკურსის გავლა საჭირო არ არის, როდესაც პირს ერთხელ უკვე გავლილი აქვს კონკურსი იგივე მოთხოვნებით და ამ კონკურსის შედეგების საფუძველზე დანიშნულია შესაბამის თანამდებობაზე. განსახილველ შემთხვევაში, ი. პ.-ს კონკურსი გავლილი არ ჰქონია, ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ი. პ.-ის მიმართ უნდა გავრცელებულიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მოქმედება. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა 30.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი და არასწორად გამოიყენა იგი. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაში მოყვანილი მოტივაციის გაზიარების შემთხვევაშიც, მოყვანილი არგუმენტაცია ქმნიდა სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ სადავო ბრძანების არა მთლიანად, არამედ მხოლოდ დროებით მოვალეობის შემსრულებლად, კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე გაუქმების საფუძველს.

ი. პ.-ი სადავო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 03.10.2013 წ. № 1/428 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველად უთითებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ მისი კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება არ შეესაბამება ... დეპარტამენტის ... აუდიტორის თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 01.02.2013 წ. № 14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ საფუძველზე მიიჩნია, რომ არა მარტო ფინანსისტებს და ეკონომისტებს, არამედ იურიდიული განათლების მქონე პირებსაც აქვთ შესაძლებლობა დაიკავონ ... სამ-

სახურში ... აუდიტორის თანამდებობა, ვინაიდან იურიდიული განათლების მქონე პირი ფლობს ... აუდიტორისთვის კანონით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საჭირო ცოდნასა და კვალიფიკაციას. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ დასაკავებელი თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის შეფასება მხოლოდ კონკურსის გზით ხორციელდება, რომლის ამოცანაა კანდიდატის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრა (სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 05.02.2009წ. №46 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ 1.1, 2.2 მუხ.). სწორედ კონკურსის პროცედურული წესების, სათანადო ფორმალური მოთხოვნების დაცვის, კონკურსანტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და გასაუბრების შედეგად ორგანო ადგენს კონკურსანტის კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამისობას დასაკავებელი თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან. სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერება, თუმცა ეს არ გულისხმობს სასამართლოს შესაძლებლობას თავად მოაწესრიგოს ორგანოს დისკრეციის სფეროს მიკუთვნებული სადავო საკითხი. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო სასამართლომ თავად დაადგინა, რომ ი. პ-ი შეესაბამება ... აუდიტორის თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მაშინ როდესაც სასამართლოს უნდა ემსჯელა მხოლოდ იმაზე თუ რამდენად შეძლებდა ი. პ-ი ... აუდიტორის მოვალეობების დროებით შესრულებას. პირის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნისას ორგანოს არ ეკისრება მოვალეობის შემსრულებლად დასანიშნი პირის თანამდებობისათვის წაყენებულ საკონკურსო მოთხოვნებისადმი შესაბამისობის დადგენის ვალდებულება. მოვალეობის შემსრულებელი თანამდებობას იკავებს დროებით, კონკურსის შედეგების გათვალისწინებით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე. ამდენად, საკმარისია კონკურსის წესით მოხელის შერჩევამდე, მოვალეობის შემსრულებლის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების დროებით შესრულების შესაძლებლობის გონივრული ვარაუდის არსებობა. სახელმწიფო აუდიტის გენერალური აუდიტორის 01.02.13წ. №14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის

6.8 მუხლი განსაზღვრავდა ... დეპარტამენტის ისეთ ფუნქციებსაც, რომელთა შესრულება საჭიროებდა იურიდიულ განათლებას (კერძოდ, დისციპლინის და კანონიერების დაცვის კონტროლი, დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა, სამსახურებრივ გადაცდომასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების განხილვა, სამსახურის საქმიანობის კოორდინაცია სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოებთან, თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოქმედებათა ამკრძალავი ნორმების დაცვა და პრევენცია და სხვ (რეგლამენტის 6.8 მუხ. „ბ“, „გ“, „დ“, „ვ“ ქვეპუნქტები). „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ (6.8. მუხ.) თანახმად, ... დეპარტამენტი, აუდიტის სამსახურის სხვა სტრუქტურული ერთეულებისაგან განსხვავებით, შექმნილია სამსახურის სხვა სტრუქტურული ერთეულების, ამ ერთეულებში დასაქმებული საჯარო მოხელეების საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით წარმართვის კონტროლის მიზნით. „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონის თანახმად ... ობიექტი არის დანესებულების ქვედანაყოფები (მე-2 მუხ. „გ“ ქვეპუნქტი), ... განხორციელების ერთ-ერთი მიმართულებაა დანესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება (18.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). ამდენად, ი. პ-ის ... სამსახურში გადაყვანისას არსებობდა გონივრული მოლოდინი, რომ იგი დროებით, კონკურსის წესით მოხელის დანიშვნამდე შეძლებდა ... აუდიტორის ფუნქციების შესრულებას. კვალიფიკაციის თავსებადობის ჩარჩო მოცემულ შემთხვევაში განსაზღვრულია ნორმატიული აქტით, რომელსაც არ ცვლის დროებითი საპარლამენტო კომისიის 10.06.2014წ. №6313 დასკვნა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილები. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 16.12.13წ. №601016 წერილის თანახმად ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში აუდიტორის კვალიფიკაცია არ არსებობს, „სამართლის“ და „აუდიტის“ კვალიფიკაცია განათლების სხვადასხვა მიმართულებას მიეკუთვნება. ამასთანავე, საქმიანობის კომპლექსური ხასიათი შესაძლებელს ხდის სხვადასხვა განათლების მქონე პირების (ფინანსისტების, ეკონომისტების, იურისტების) მიერ მის განხორციელებას. აუდიტორულ საქმიანობაში იურისტის, სამართალმცოდნის კვალიფიკაცია უთუოდ გამოყენებადი და შედეგის მომცემია. საქმეში დაცული ... დეპარტამენტის დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ ... დეპარტამენტის აუდიტორები დასკვნის შედგენისას იყენებენ სხვადასხვა დარგის კანონმდებლობას, სახელშეკრულებო სამართალს,

სამართლებრივი ანალიზი აუდიტორული დასკვნის უმნიშვნელო-ვანესი ნაწილია. ამასთანავე, მოსარჩელის დიპლომის დანართის 4.2 პუნქტის მიხედვით, კვალიფიკაციის დაუფლების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო აპარატში სამუშაოდ – ინსპექტორად ჩამოყალიბება. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ გენერალური აუდიტორის 15.11.2013წ. №245/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ცალკეულ მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნის სახით ადგენდა უმაღლეს განათლებას ეკონომიკის, ფინანსების, ბიზნეს ადმინისტრირების ან იურიდიული მიმართულებით. მართალია, საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცებულ იქნა სადავო აქტის გამოცემის შემდეგ, თუმცა საგულისხმოა, რომ სადავო აქტით სხვა თანამდებობაზე ი. პ-ის გადაყვანა მოხდა კონკურსის შედეგების მიხედვით თანამდებობაზე დანიშნამდე, ხოლო კონკურსის ჩასატარებლად დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკურსში მონაწილეობის პირობად ითვალისწინებდა უმაღლეს იურიდიულ განათლებას, ამასთანავე ხსენებული საკონკურსო პირობები ი. პ-ის სამსახურიდან დათხოვნის მომენტში უკვე დამტკიცებული იყო. ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს ი. პ-ის მოსაზრებას, რომ გადაყვანით მოხდა საჯარო სამსახურში პროფესიონალიზმის და კომპეტენტურობის პრინციპების უარყოფა. ვინაიდან მოსარჩელე არ არის 30.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის სუბიექტი, ხოლო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის წესის გავლის მოთხოვნას იმპერატიული ხასიათი აქვს, ამასთანავე ი. პ-ი თანამდებობაზე პირდაპირ, კონკურსის გარეშე იყო დანიშნული, საკასაციო სასამართლო არ მსჯელობს ... დეპარტამენტის ... და ... დეპარტამენტის ... აუდიტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის პირობების სხვაობა/იდენტურობის საკითხზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა მხოლოდ გენაუდიტორის 03.10.13წ. №1/428 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნა, მოსარჩელის დანარჩენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, დანარჩენი მოთხოვნების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია, რომ სარჩელი დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს ახალ თანამდებობაზე გადაყვანასთან

დაკავშირებით ი. პ-ის მიერ გაცხადებული თანხმობის (ნების) ნამდვილობას. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ახალ თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ ბრძანება უკანონოა. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას ი. პ-ის მიერ გადაყვანაზე თანხმობის ნამდვილობის შესახებ, საქმეში არ მოიპოვება ახალ თანამდებობაზე გადაყვანასთან დაკავშირებით გამოთქმული თანხმობის იძულების, მუქარის, შეცდომის შედეგად მიღების რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება, მოსარჩელე ვერ უარყოფს ნების (თანხმობის) ნამდვილობას, მოსარჩელე საერთოდ არ ახსენებს მას სასარჩელო განცხადებაში. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 43-ე მუხლის თანახმად, სხვა თანამდებობაზე მოხელის გადაყვანა, აგრეთვე მისთვის დაკავებული თანამდებობით გაუთვალისწინებელი დავალების დაკისრება დასაშვებია მხოლოდ მოხელის თანხმობით, გარდა ამავე კანონის 53-ე, 54-ე და 57-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომელთა არსებობა განსახილველ დავაში არ დასტურდება. 22.03.136. კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლზე დამატებული მე-3 პუნქტის მიხედვით, ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადაყვანის აუცილებელი პირობა იყო მოხელის წერილობითი თანხმობა. საკასაციო პალატა თვლის, რომ თანხმობის განცხადებით ი. პ-მა გამოხატა ნება გადაყვანაზე, რაც გამორიცხავს სხვა სტრუქტურულ ერთეულში მის გადაყვანასთან დაკავშირებით მოსარჩელის პრეტენზიების საფუძვლიანობას. გადაყვანა გადაადგილებისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ გადაყვანის შემთხვევაში იცვლება შრომის პირობები, მოთხოვნები შესასრულებელი სამუშაოს მიმართ, ანაზღაურება. სწორედ ამის გამო გადაყვანა საჭიროებს მუშაკის თანხმობას. სზაკ-ის 53.7 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს აქტი. საქმეში დაცულია ... დეპარტამენტის ... ი. პ-ის 03.10.136. განცხადება, რომლის ტექსტის მიხედვით განმცხადებელი თანახმაა ... დეპარტამენტში ... აუდიტორის თანამდებობაზე გადაყვანაზე. ამდენად წერილობითი თანხმობა არ არის ზოგადი ხასიათის, თანხმობა შეიცავს მითითებას კონკრეტულ თანამდებობაზე, რომელზედაც განმცხადებელს ჰქონდა გადასვლის სურვილი. ვინაიდან სახეზე იყო მოსარჩელის თანხმობა გადაყვანაზე და ი. პ-ისათვის ცნობილი იყო თუ სად, რომელ სტრუქ-

ტურულ ერთეულში და რა თანამდებობაზე გადაყვანაზე აცხადებ-
და თანხმობას, შესაბამისად მისთვის ცნობილი იყო იმ გარემოების
შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო სადავო აქტის გამოცემას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძველს არის მოკლებუ-
ლი აგრეთვე მოსარჩელის მოსაზრებები გარემოებების გამოკვლე-
ვის გარეშე აქტის გამოცემის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანით
მის მიერ გადაყვანამდე დაკავებული თანამდებობის განზრახ ვა-
კანტურად გადაქცევის შესახებ, აქტის დაუსაბუთებლობის გამო
გასაჩივრების უფლების სრულყოფილი რეალიზაციის შეუძლებლო-
ბის, სზაკ-ის 53-ე და 96-ე მუხლების მოთხოვნების დარღვევის შე-
სახებ.

საქმეზე დადგენილია, რომ ი. პ-ი სხვა თანამდებობაზე გადაყ-
ვანილ იქნა მისი თანხმობით, საქმეზე დადგენილია აგრეთვე, რომ
03.10.13წ. ნების გამოვლენა არ წარმოადგენდა იძულების, მუქა-
რის ან შეცდომის შედეგს, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების
მიმართ ი. პ-ს სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად არ
წარმოუდგენია დამატებითი საკასაციო პრეტენზია, კასატორი არ
უთითებს ნების გამოხატვის გამომრიცხავ გარემოებაზე. ნების გა-
მოხატვას (თანხმობას) არ გამორიცხავს მოსარჩელის მოსაზრება
იმასთან დაკავშირებით, რომ წერილობითი თანხმობა ეხებოდა მხო-
ლოდ ... დეპარტამენტის ... აუდიტორის თანამდებობაზე გადაყვა-
ნას, ხოლო სადავო ბრძანებით ის დროებითი მოვალეობის შემსრუ-
ლებლად დაინიშნა. უკვე აღინიშნა, რომ თანამდებობაზე კონკურ-
სის წესით დასანიშნი მოხელის მოვალეობის შემსრულებელი სამ-
სახურში დროებით, განსაზღვრული ვადით – კონკურსის შედეგე-
ბის მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშნამდე მიიღება. სა-
ხელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის
01.02.03წ. № 14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუ-
დიტის სამსახურის რეგლამენტის“ თანახმად გენერალური აუდი-
ტორი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამსახურის მო-
სამსახურეებს, იღებს გადაწყვეტილებას მოსამსახურეთა დანიშ-
ნაზე, დაქვეითების, გადაყვანისა და სხვა საკადრო საკითხებ-
თან დაკავშირებით. მისთვის დაკისრებული მოვალეობების შეს-
რულების და მინიჭებული უფლებების განხორციელების მიზნით
გამოსცემს შესასრულებლად სავალდებულო ბრძანებებს. ამდე-
ნად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ... დეპარტამენტის ... თა-
ნამდებობიდან ... დეპარტამენტის ... აუდიტორის თანამდებობაზე
გადაყვანის უფლებამოსილება გენერალურ აუდიტორს გააჩნდა,
ბრძანება გამოცემულია უფლებამოსილების ფარგლებში, დაცუ-
ლია ადმინისტრაციული აქტის ფორმალური და მატერიალური კა-

ნონიერების მოთხოვნები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძველს არის მოკლებული გადაყვანის შესახებ სადავო ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნა.

მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ გენერალური აუდიტორის 03.10.13წ. №1/428 ბრძანების გამოცემის შემდეგ ი. პ-მა 04.12.13წ. მიმართა განცხადებით გენერალურ აუდიტორს და მოითხოვა ... აუდიტორის თანამდებობიდან მისი გათავისუფლება. ი. პ-ი ... აუდიტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად, პირადი განცხადების საფუძველზე. 04.12.13წ. №456 ბრძანება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ი. პ-ს არ გაუსაჩივრებია, ის დაეთანხმა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადანაცვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადების შეტანამდე ი. პ-ს არ მოუთხოვია სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ აქტის გაუქმება, საქმის მასალები არ შეიცავს აღნიშნულის დამადასტურებელ რაიმე მტკიცებულებას. სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე ორი თვით ადრე გამოცემული გადაყვანის აქტის გასაჩივრება სამსახურიდან გათავისუფლების აქტის გამოცემის შემდეგ, უკანასკნელის ძალაში ყოფნის პირობებში, ვერ გამოიწვევს პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენას. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებაში აისახა მხოლოდ ... აუდიტორის პოზიციიდან გათავისუფლების ნება. იმის გათვალისწინებით, რომ ნება (თანხმობა) გადაყვანაზე ი. პ-ის მიერ უკვე გამოხატული იყო, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებით მიმართვამდე მას სადავოდ არ გაუხდია გადაყვანის აქტი, ი. პ-ის განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ არ შეიცავს მოთხოვნას გადაყვანის აქტის გაუქმების და გადაყვანამდე დაკავებულ თანამდებობაზე მისი აღდგენის შესახებ, შესაბამისად არ დასტურდება გადაყვანამდე არსებულ თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

დაუსაბუთებელია აგრეთვე ი. პ-ის მოსაზრება სააპელაციო პალატის სხდომაზე მისი არ მოწვევის გამო კასაციის აბსოლუტური საფუძვლის არსებობის შესახებ. სასამართლოს სხდომის შესახებ ი. პ-ს უწყება გაეგზავნა საქმეში მითითებულ მისამართზე და პი-

რადად ჩაბარდა მას, მიუხედავად ამისა ი. პ-ი სასამართლო სხდო-
მაზე არ გამოცხადდა. 10.09.2015წ. საოქმო განჩინებით სასამარ-
თლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება
გადაიდო 24.09.2015წ.. სააპელაციო პალატის 11.09.2015წ. მიმარ-
თვით მხარეებს ეცნობათ, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო
ნაწილის გამოცხადება 24.09.2015წ. ნაცვლად მოხდებოდა
01.10.2015წ. 15:55 სთ-ზე. სასამართლო უწყება, 10.09.2015წ. სხდო-
მის ოქმის ასლთან და სხდომის აუდიო/ვიდეო ჩანაწერებთან ერ-
თად ი. პ-ს გაეგზავნა საქმეში მითითებულ მისამართზე და ჩაბარ-
და აღწერილ მისამართზე არსებული ორგანიზაციის წარმომადგე-
ნელს, რომელმაც დაადასტურა, რომ ი. პ-ი მიუშაობს ამ ორგანიზა-
ციაში. 01.10.2015წ. გამართულ სასამართლო სხდომაზე ი. პ-ი არ
გამოცხადდა, რაც არ გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს
გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შესაძ-
ლებლობას, რადგან მხარეს საპროცესო კანონმდებლობით (სსკ-
ის 70-78-ე მუხ.) დადგენილი წესით გაეგზავნა შეტყობინება სხდო-
მის თარიღის შესახებ.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორ ი. პ-ის მოსაზრებას
თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის არაუფლებამოსილი შე-
მადგენლობის მიერ განხილვის შესახებ. საქმეთა რაოდენობის
ზრდის, სასამართლოს გადატვირთულობის პირობებში განტვირ-
თვის მიზნით საქმის იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლისათ-
ვის გადაცემა არ ადასტურებს საქმის განმხილველი სასამართლოს
უკანონო შემადგენლობას. მოსამართლეთა დატვირთვის გათვა-
ლისწინებით საქმეების გადანაწილებას ითვალისწინებს „საერთო
სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების
სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ კანონის მე-
9 მუხლი. ამდენად, სახეზე არ არის გადაწყვეტილების გაუქმების
სსკ-ის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსო-
ლუტური საფუძველი, კერძოდ სასამართლოს არაკანონიერი შე-
მადგენლობის მიერ საქმის განხილვა. სასამართლოს არაკანონიე-
რი შემადგენლობა ესაა მისი შინაგანი მახასიათებელი, რომელიც
ასეთად რჩება ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად პერსონალუ-
რი განსჯადობისა. განტვირთვის მიზნით საქმის სხვა მოსამართლი-
სათვის გადაცემას ადგილი აქვს დატვირთვის გათანაბრების, საქ-
მის განხილვის დაჩქარების მიზნით, აღნიშნული არ ქმნის გადან-
ყვეტილების გაუქმების საფუძველს. შიდაორგანიზაციული აქტით
მოსამართლის სპეციალიზაციის განსაზღვრა არ ართმევს საერთო
სასამართლოს მოსამართლეს უფლებას განიხილოს სასამართლოს
განსჯადი სხვა კატეგორიის საქმეებიც.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხეს – საქართველოს აუდიტის სამსახურს საქალაქო სასამართლოს უწყება კურიერის მეშვეობით გაეგზავნა ორჯერ (03.01.2014წ.; 06.01.2014წ.), სასამართლო უწყება მოპასუხეს ვერ ჩაბარდა, შესაბამისად მართებულია საქალაქო სასამართლოს 08.01.14წ. განჩინებით სხდომის გადადება, ვინაიდან მოპასუხისათვის არ იყო ცნობილი სხდომის დღის შესახებ, ხოლო სსკ-ის 394-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, ქმნის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.01.14წ. საოქმო განჩინების კანონიერების შესახებ და თვლის, რომ არ არსებობდა სსკ-ის 31-ე მუხლით გათვალისწინებული აცილების რაიმე საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ი. პ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, ხოლო აუდიტის სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

სასკ-ის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კასატორი ი. პ-ი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ბ ა:

1. ი. პ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.10.2015წ. გადაწყვეტილება ი. პ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, კერძოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 03.10.2013წ. №1/428 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ი. პ-ის სარჩელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 03.10.2013წ. №1/428 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.10.2015წ. გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება პირადი განცხადების საფუძველზე

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-663-659(კ-17)

11 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი გაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 27 სექტემბერს ზ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წელს დაინიშნა დუშეთის რაიონის ქვეშეთის თემის რწმუნებულის თანამდებობაზე, მოგვიანებით კი კონკურსის წესით საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში. ის მასზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა მაქსიმალური პასუხისმგებლობით. მასსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს შორის

ურთიერთობა დაიძაბა მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ მისი პოზიცია დააფიქსირა საგარეჯოში ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე და აღნიშნა, რომ არასახელისუფლებო კანდიდატს არჩევნები გაუყალბეს.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სწორედ აქედან დაიწყო ზენოლა და ხელისშეშლა მის საქმიანობაში, რამაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებისას უფრო აგრესიული ხასიათი მიიღო.

მოსარჩელის განმარტებით, 2016 წლის აგვისტოს ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა – ვ. ჩ-მა დაიბარა თავის სამუშაო ოთახში და მოსთხოვა სამსახურიდან წასვლა საკუთარი განცხადების საფუძველზე, მიზეზად კი დაასახელა სხვა პოლიტიკური შეხედულებები და მოსარჩელის ორ თანამემნესთან დაულაგებელი ურთიერთობები. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მათთან ურთიერთობის გაფუჭება დროში ემთხვევა სწორედ გამგებელთან ურთიერთობის მაქსიმალურ დაძაბვას. მან ყოველივე აღნიშნულზე უარი განაცხადა და უთხრა, რომ ბრძანების საფუძველზე თავად გაეთავისუფლებინა სამსახურიდან, რაზეც პასუხად მიიღო, რომ მას სამსახურიდან გააგდებდა და პრობლემებსაც შეუქმნიდა. მოსარჩელის განმარტებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს გადანყვეტილი ჰქონდა სამსახურიდან გაეთავისუფლებინა არასაიმედო პოლიტიკური შეხედულების მქონე პირები, მათ შორის, მოსარჩელის ორი კოლეგა, რომლებსაც ანალოგიური მოთხოვნა წაუყენეს. მოსარჩელე აცხადებს, რომ ვინაიდან მისთვის უკვე ცნობილი იყო რა მოთხოვნა ექნებოდა მის მიმართ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მან განახორციელა მათი საუბრის აუდიოჩანერა, რაც მტკიცებულების სახითაა წარმოდგენილი.

აღნიშნული აუდიოჩანაწერი გაასაჯაროვა ტელეკომპანია ობიექტივის საშუალებით, რის შემდგომაც, მოსარჩელის განმარტებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა უკვე ველარ გაბედა მისი სამსახურიდან განთავისუფლება, თუმცა მოსარჩელის მიმართ დაიწყო ზენოლა და ხელის შეშლა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში. ის უკვე ველარ ახორციელებდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით დაკისრებულ მოვალეობებს. ასევე, მის გამო ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეებს ექმნებოდათ ხელოვნური პრობლემები, რაც არაერთი ფორმით გამოვლინდა. რის გამოც, იძულებული გახდა მიეღო გადანყვეტილება სამსახურის დატოვების თაობაზე.

ზემოსხენებულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ზ.

ბ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 25 აგვისტოს №1165 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დღიდან გათავისუფლებისა გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მოსარჩელეს მოსთხოვა სამსახური დაეტოვებინა. 2016 წლის 23 აგვისტოს მოსარჩელემ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიმართა განცხადებით, რომლითაც მოითხოვა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის – ვ. ჩ-ის 2016 წლის 25 აგვისტოს №1165 ბრძანებით ზ. ბ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, დავის არსებითად სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს, რეალურად, სახეზეა თუ არა დისკრიმინაციის ფაქტი, რაც გულისხმობს ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ძალის ცალკეული წარმომადგენლის მიერ ისეთ მიდგომას, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებული მოხელეების მიმართ იწვევს უთანასწორობას და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას, მათი შრომითი უფლებების შელახვასა და სამსახურიდან გათავისუფლებას პოლიტიკური გემოვნებისა თუ კუთვნილების გამო. შესაბამისად, სასამართლომ მიზანშეწონილად და აუცილებლად მიიჩნია ემსჯელა და დაედგინა ფაქტი იმის თაობაზე, ნამდვილად განხორციელდა თუ არა მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა პოლიტიკური ნიშნით. აღნიშნული ფაქტის დადგენა კი ავტომატურად გადაწყვეტდა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივ ბედს.

სასამართლოს მითითებით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური

კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია; პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დანსებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც შეესაბამება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს.

საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაცია დ ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგი-

ურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაშია მოხსენიებული და განსაკუთრებით მიუთითებს „დამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-14 მუხლზე, რომლის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა. ზემოაღნიშნული მე-14 მუხლისგან განსხვავებით, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას მხოლოდ კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებით, კონვენციის მე-12 ოქმის პირველი მუხლის თანახმად, კანონით დადგენილი, ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების ან სხვა ნიშნისა; დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია პირველ პუნქტში აღნიშნული რომელიმე საფუძვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონული სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები კრძალავს ყველა სახის განსხვავებულ მოპყრობას. მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფომ, მოხელის სახით, ვინმეს მიმართ განახორციელა განსხვავებული მოპყრობა, მაშინ ამ განსხვავებულ მოპყრობას თან უნდა სდევდეს „ობიექტური და გონივრული გამართლება“. ხოლო, იმისათვის, რომ განსხვავებული მოპყრობა გამართლებულად ჩაითვალოს პირველ რიგში იგი უნდა ემსახურებოდეს კანონიერი მიზნის მიღწევის ინტერესებს და დაცული უნდა იყოს გონივრული პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის, ანუ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს აუცილებელი და შესაფერისი (დისკრიმინაციის ტესტი).

რაიონული სასამართლო აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს

პარლამენტის წინააღმდეგ დაადგინა დისკრიმინაციის შეფასების კრიტერიუმები და განმარტა: „კანონის წინაშე თანასწორობის უფლების ბუნებიდან გამომდინარე, მასში ჩარევისას, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები განსხვავებულია, განსაკუთრებით იმის მიხედვით, რა ნიშნით ან საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროში ახდენს ის პირთა დიფერენციაციას. შესაბამისად, განსხვავებული მოპყრობის გონივრულობის შეფასების მასშტაბიც განსხვავებულია: ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება გულისხმობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზნების არსებობის დასაბუთების აუცილებლობას (როგორებიცაა, სახელმწიფო უშიშროება, საზოგადოებრივი წესრიგი, კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციითვე დასახელებული კონკრეტული საჯარო ინტერესები); სხვა შემთხვევებში ხელშესახები უნდა იყოს შეზღუდვის საჭიროება თუ აუცილებლობა; ზოგჯერ შესაძლოა საკმარისი იყოს დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, მათ შორის, მაგალითად, კონკრეტული გარემოებების რეალურად თავიდან აცილების შეუძლებლობის მიზეზით გამონეგული დიფერენციაცია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დისკრიმინაციაზე საუბარი არ შეიძლება, თუ არათანასწორი მიდგომა ექვემდებარება გონივრულ ახსნას, გამართლებას, რაციონალიზაციას“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსხვავებულია სასამართლოს კრიტერიუმებიც დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასებისთვის.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ დადასტურებულად იქნეს მიჩნეული მოსარჩელის მიმართ მისი პოლიტიკური კუთვნილების გამო დისკრიმინაციული მოპყრობა ან ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მას კონსტიტუციით და კანონით მინიჭებული შრომის თავისუფლების უფლებით სარგებლობისას, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, უნდა დადგინდეს – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი პირის კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით განმტკიცებულ შრომის უფლებაში ჩარევას.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ აუდიომასალის სახით წარდგენილ მტკიცებულებასთან მიმართებაში განმარტავს, რომ ფარული ჩანერა თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოებულ“ ფარგლებში ჩადენილ მოქმედებად შეიძლება შეფასდეს იმ შემთხვევაში, თუ ფარული ჩანანერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, რადგან სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების რეალური საშიშროება. ასეთ ვი-

თარებაში ფარული ჩანანერის გზით მტკიცებულების შექმნა და-საშვებია. ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზენოლა, მუქარა, შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი ანონ-დანონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა თვითდახმარებას კი არა, მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუ-ხისმგებლობის დაკისრებას ემსახურება. პირად სფეროში ჩარევა კი, საჭირო გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ უფლება-მოვალეობათა კრედიტორმა თავის დროზე არ იზრუნა შესაბამისი მტკიცებულე-ბის (ხელშეკრულების, ხელნერილის და ა.შ) შექმნაზე. ასეთ ვითა-რებაში, როდესაც გაუმართლებელია ჩარევა პირად სფეროში, ამ-გვარი გზით მოპოვებული მტკიცებულება, დაუშვებელი მტკიცე-ბულებაა. საქმე ეხებოდა აუდიოდისკზე განხორციელებულ ფარულ აუდიოჩანანერს, რომელიც მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფა-რულად იყო ჩანერილი იმ ვითარებაში, როდესაც ჩანანერი არ ეხე-ბოდა ინტიმურ სფეროს, არამედ განხორციელებული იყო თვით-დახმარების ფარგლებში და იცავდა კონსტიტუციით უზრუნველ-ყოფილი საკუთრების დაუშვებელ ხელყოფას.

ამასთან, სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული აუდიოჩა-ნანერიდან არ გამომდინარეობს მოსარჩელის მიმართ ზემდგომი თანამდებობის პირის მხრიდან განხორციელებული ზენოლის და პოლიტიკური შეხედულების გამო დისკრიმინაციული შევიწროე-ბის ფაქტები.

ამრიგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან ვერ იქნა დადასტურებული მის მიმართ განხორციელებული დისკრიმი-ნაციული მოპყრობის ფაქტი. კერძოდ, აუდიოჩანანერის საჯარო გამოქვეყნებით, მონემების: ქ. კ-ის, თ. ბ-ის ჩვენებებით (2016 წლის 30 ნოემბრის სასამართლოს სხდომის ოქმი) არ დასტურდება მო-სარჩელეზე პოლიტიკური ზენოლის ფაქტი, მით უფრო, რომ აღ-ნიშნულის გამაბათილებელი უტყუარი მტკიცებულება მოსარჩე-ლის მხრიდან საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა.

საჯარო მოსამსახურის მიერ განცხადების დანერა სამსახური-დან გათავისუფლების თაობაზე არის მისი ნების გამოვლენა, თუმ-ცა, ნება გამოვლენილი უნდა იყოს თავისუფლად, შეუზღუდავად, არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებისგან დაცული. ამდენად, ნე-ბის თავისუფალი გამოვლენის საკითხი გამოკვლევას და შეფასე-ბას ექვემდებარება. სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემ-თხვევაში სადავოა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ დანერი-

ლი განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, არ გამოხატავდა მის ნამდვილ ნებას.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქმის ფაქტობრივ გარემოებათა კვლევისა და დადგენისას საპროცესო სამართლებრივი მექანიზმები თითოეულ შრომით სამართლებრივ დავაში მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ პირის ნების ფორმირება – შინაგანი სურვილი და მისი გარეგნული გამოხატულება თანხვედრაშია თუ არა, მისი მიზანი დანამდვილებით არის თუ არა შრომითი ურთიერთობიდან გასვლა, ადმინისტრაციის (დამსაქმებლის) უფლება – დააკმაყოფილოს პირის ნება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, მართლზომიერად არის თუ არა გამოყენებული. სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით, არ დასტურდება, რომ ზ. ბ.-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება არ შეესაბამებოდა მის ნამდვილ ნებას. სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის განცხადებაში მის მიერ გამოვლენილ ნებაში სამსახურის დატოვების თაობაზე, მოაზრება მისი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის წერილობითი განცხადება თავისი შინაარსით, წარმოადგენს განმცხადებლის ნების გამოვლენას, განაცხადს, რომ უარს ამბობს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, სურს თავისი ინიციატივით შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა და გათავისუფლდეს მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³-ე მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. აღნიშნული დებულების შესაბამისად, მოპასუხეზე გადადის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა, ან განსხვავებულ მოპყრობას გონივრული და ობიექტური გამართლება ჰქონდა და გამოყენებული საშუალება მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერია.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებულია, რომ დისკრიმინაციის სარჩელებზე/საჩივრებზე, მტკიცების ტვირთი ანეეს სწორედ მოპასუხეს, მას შემდეგ, რაც მომჩივანი/მოსარჩელე წარადგენს სავარაუდო დისკრიმინაციის შესახებ მტკიცებულებებს.

სასამართლო იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით, რომელსაც ევროსასამართლო იყენებს სხვადასხვა დარღვევებზე, მათ შორის, თანასწორობის უფლების დარღვევებზე განაცხადების განხილვისას. მხედველობაშია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი, რომლის მიხედვითაც – „მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად მყარი, ნათელი და თანმხვედრი დასკვნებიდან ან ფაქტების ცალსახა პრეზუმფციიდან“.

სასამართლომ დასაბუთებული ვარაუდით დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების პირობებში, დისკრიმინაციული მოპყრობის პრეზუმფციით უნდა იმოქმედოს და მოპასუხე მხარეს დააკისროს დისკრიმინაციის გაქარწყლების ტვირთი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე მხარე ადასტურებდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობას, ხოლო მოსარჩელემ ვერ გააბათილა გადაწყვეტილების დასაბუთება, წარმოდგენილი სასარჩელო განაცხადებით და მასში მოყვანილი ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობაში.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 25 აგვისტოს №1165 ბრძანება ზ. ბ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ზ. ბ-ი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა ზ. ბ-ისათვის იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება, თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, მისი გათავისუფლების დღიდან თანამდებობაზე აღდგენამდე სრულად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მოსარჩელეს მოსთხოვა სამსახური დაეტოვებინა. ეს გარემოება თავად პირველი ინსტანციის

სასამართლოს მიერ იქნა უდავო ფაქტობრივ გარემოებად დადგენილი (მცხეთის რაიონული სასამართლოს 15.12.2016 წლის გადაწყვეტილების 3.1 პუნქტით). აღნიშნული გარემოება რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დართული აუდიოჩანაწერით მიიჩნია დადგენილად, რის თაობაზე მიუთითა კიდევ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, თუმცა პალატის მოსაზრებით, არ მისცა შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალების შესაბამისად, 2016 წლის 23 აგვისტოს, მოსარჩელემ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიმართა განცხადებით, რომლითაც მოითხოვა დაკავებული თანამდებობიდან დათხოვნა. განცხადებაში ზ. ბ-მა მიუთითა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მხრიდან მისი შევიწროებისა და დაპირისპირების გამო, ველარ ასრულებდა სათანადოდ მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას, კერძოდ, მისი ამ თანამდებობაზე ყოფნით, ხელოვნური პრობლემები ექმნებოდათ მისადმი დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეებს, რის გამოც იგი იძულებული იყო, ეთხოვა მისი სამსახურიდან დათხოვნა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის – ვ. ჩ-ის 2016 წლის 25 აგვისტოს №1165 ბრძანების ასლით დასტურდება, რომ ზ. ბ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, პირადი განცხადების საფუძველზე, 2016 წლის 26 აგვისტოდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზ. ბ-ის განცხადებაზე სადაც მითითებული იყო მასზე განხორციელებული ზენოლისა და ისეთი მდგომარეობის შესახებ, როცა საჯარო მოხელე იძულებულია, დაწეროს განცხადება და ითხოვოს სამსახურიდან გათავისუფლება, არ ჩატარებულა არანაირი ადმინისტრაციული წარმოება. მეტიც, განცხადების წარდგენას, სასწრაფოდ მოჰყვა ზ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ბრძანების გამოცემა. სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი აუდიოჩანაწერით დადასტურებულად მიიჩნია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მოსარჩელეს მოსთხოვა სამსახური დაეტოვებინა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვრცელი მსჯელობაა მოცემული და ფართოდაა განვრცობილი ადამიანის უფლებები და დეტალურადაა განმარტებული სა-

ქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა სა-
ყოველთაო დეკლარაციის 21-ე და 23-ე მუხლები, დისკრიმინაციის
არსი და ა. შ. თუმცა პალატის მოსაზრებით, რაიონული სასამარ-
თლოს მიერ სწორად არ შეფასდა ფაქტობრივი გარემოებები და შე-
საბამისად, არასწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა მათ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახუ-
რის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრუ-
ლია საქართველოში საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები,
კერძოდ, ესენია: ა) საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერ-
თგულება; ბ) საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზე-
ნაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლე-
ბა-მოვალეობების განხორციელებისას; გ) ადამიანისა და მოქა-
ლასის უფლებების, თავისუფლებებისა და ღირსების პატივისცე-
მა; დ) საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თა-
ნაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარისა და პროფესიული მომ-
ზადების შესაბამისად; ე) მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და
კომპეტენტურობა; ვ) საქვეყნობა; ზ) საჯარო სამსახურის უპარ-
ტიობა და საერო ხასიათი; თ) მოსამსახურეთა კადრების სტაბი-
ლურობა; ი) მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამარ-
თლებრივი დაცვა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტი გადაწყვე-
ტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითებდა იმ გარე-
მოებაზეც, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე მიიღო გადაწყ-
ვეტილება მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, რომ
განცხადებაზე, სადაც ყურადსაღებ გარემოებებზე იყო მითითე-
ბული საჯარო მოხელის იმგვარი მდგომარეობის შესახებ, როცა ის
იძულებული იყო დაენერა განცხადება სამსახურიდან წასვლაზე,
არ ჩატარებულა ადმინისტრაციული წარმოება, არ გამოკვლეულა
მისი ნამდვილი ნება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონით განსაზ-
ღვრული არ არის საჯარო მოსამსახურის თანამდებობიდან გათა-
ვისუფლების გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, თუმცა სა-
ჯარო სამსახურის ადმინისტრაცია ვალდებულია, გამოიყენოს ზო-
გადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინის-
ტრაციული წარმოება, რამდენადაც ამგვარი გადაწყვეტილება წარ-
მოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ
აქტს, იგი უნდა პასუხობდეს აქტის მომზადებისა და გამოცემის
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვ-
ნებს.

იმ პირობებში, როცა ზ. ბ-ის 2016 წლის 23 აგვისტოს განცხადე-

ბაში საუბარი იყო დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მხრიდან მის შევიწროებაზე, რის გამოც, ველარ ასრულებდა სათანადოდ მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას, იგი იძულებული იყო, ეთხოვა მისი სამსახურიდან დათხოვნა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება და დაედგინა მოხელის ნამდვილი ნება. ასეთი წარმოების ჩაუტარებლობა, საქმეში წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებთან ერთად, სააპელაციო სასამართლოს უქმნის შინაგან რწმენას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი ჰქონდა ზ. ბ-ის მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალების თანახმად, ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გაათავისუფლა პირადი განცხადების საფუძველზე მოსარჩელე სამსახურიდან, რომ არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, კერძოდ, ის გარემოება, თუ რატომ გადაწყვიტა მოსარჩელემ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების დაწერა, აღნიშნული წარმოდგენდა თუ არა მისი ნამდვილი ნების გამოხატვას. ადმინისტრაციულ ორგანოს, სულ მცირე, სურვილი უნდა გასჩენოდა, მისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, გაეზათილებინა განცხადებაში მოყვანილი მოსაზრებები მოხელეზე განხორციელებული ზენოლის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული დასაბუთება წარმოდგენს საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ბათილად იქნეს ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 25 აგვისტოს №1165 ბრძანება ზ. ბ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და ზ. ბ-ი აღდგენილ იქნეს თანამდებობაზე.

რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად (მოქმედი ნორმა), სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო.

თბილისის სააკველიაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტების თანახმად, გამგებელი, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის მოსამსახურეებს, „ა.ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს გამგეობის/მერიის მოხელეთა წახალისებისა და საჯარო მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გამგებელი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს გამგებლის წარმომადგენელი. გამგებლის/მერის წარმომადგენლის უფლებამოსილება განისაზღვრება გამგეობის დებულებით.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის უფლებამოსილება განსაზღვრულია „დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №25 დადგენილებით. დებულების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, გამგებლის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში არის საჯარო მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის თანახმად, პირი თავისი ინიციატივით თავისუფლდება სამსახურიდან, თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დანესებულება დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას. კასატორის მითითებით, ზ. ბ-ის შემთხვევაში მისი განცხადება აღნიშნული ნორმის საფუძველზე დაკმაყოფილდა.

კასატორის განმარტებით, ზ. ბ-ი სარჩელში აღნიშნავდა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ურთიერთობა დაეძაბა მას მერე, რაც საგარეჯოს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით დააფიქსირა თავისი პოზიცია და აღნიშნა, რომ არასახელისუფლებო კანდიდატს არჩევნები გაუყალბეს. ამის გამო მასზე დაიწყო ზეწოლა და მის საქმიანობაში ხელის შეშლა, ასევე აღნიშნავს, რომ პოლიტიკური შეხედულების გამო მას დუ-

შეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა პირადი განცხადების საფუძველზე მოსთხოვა სამსახურის დატოვება. კასატორის მითითებით, აღნიშნული არ დასტურდება ზ. ბ-ის მიერ გაკეთებული ფარული აუდიოჩანაწერით, მიუხედავად იმისა, რომ ზ. ბ-ი პროვოკაციული საუბრით ცდილობდა იმის მიღწევას, რომ გამგებელს, რომელმაც საუბრის ჩანაწერის შესახებ არაფერი იცოდა, ეთქვა მისთვის ის რაზეც უსაფუძვლოდ აპელირებს, მაგ: პოლიტიკური ნიშნით სამსახურის დატოვებაზე და ა.შ.

კასატორის განმარტებით, საგარეჯოს შუალედური საპარლამენტო არჩევნები გაიმართა 2015 წლის 31 ოქტომბერს, რომლის შედეგებიც შეჯამდა და გამოცხადდა 2015 წლის 19-20 ნოემბერს. საგარეჯოს შუალედური საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ზ. ბ-ს სხვა თანამშრომლებთან ერთად დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 28 დეკემბრის №1413 ბრძანებით მასზე დაკისრებული ამოცანების ზედმინევით და კეთილსინდისიერად შესრულებისთვის მიეცა პრემია თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით, ხოლო დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 26 აპრილის №540 ბრძანებით აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 50%-ის ოდენობით.

2016 წლის 28 ივლისს მედია-კავშირ ობიექტივის 19:30 საათიან საინფორმაციო გადაცემაში ზ. ბ-მა გაავრცელა ინფორმაცია გამგებლის მხრიდან მისი პოლიტიკური ნიშნით დევნასთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან მიმართებით და ასევე დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის – ქ. კ-ის მოხსენებით ბარათში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, ზ. ბ-ს ეთხოვა წარედგინა ახსნა-განმარტება, 2016 წლის 5 აგვისტოთ დათარიღებულ ახსნა-განმარტებით ბარათში, ზ. ბ-ი არ განმარტავს, რას გულისხმობდა პოლიტიკურ დევნაში, უფრო მეტიც, პოლიტიკური დევნა არც კი აქვს ნახსენები.

კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით თავის გადანყვეტილებაში არც კი უმსჯელია, ისე დაასკვნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი ჰქონდა ზ. ბ-ის მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილება ბუნდოვანს ხდის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის ცალკეული ნორმების შინაარსს, მაშინ როდესაც ნორმის სასამართლო გამოყენების შედეგად იგი უკეთ გა-

საგები, უკეთ პროგნოზირებადი უნდა გახდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ბ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ზ. ბ-ი მუშაობდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში. 2016 წლის 23 აგვისტოს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომლითაც მოითხოვა დაკავებული თანამდებობიდან დათხოვნა.

განცხადებაში ზ. ბ-მა მიუთითა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მხრიდან მისი შევიწროებისა და დაპირისპირების გამო, ველარ ასრულებდა სათანადოდ მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას, კერძოდ, მისი ამ თანამდებობაზე ყოფნით ხელოვნური პრობლემები ექმნებოდათ მისადმი დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეებს, რის გამოც იგი იძულებული იყო, ეთხოვა მისი სამსახურიდან დათხოვნა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის – ვ. ჩ-ის 2016 წლის 25 აგვისტოს №1165 ბრძანებით ზ. ბ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, პირადი განცხადების საფუძველზე, 2016 წლის 26 აგვისტოდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კა-

ნონის 95-ე მუხლისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვ. ჩ-ის 2016 წლის 25 აგვისტოს №1165 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს. სარჩელის საფუძველად მოსარჩელე უთითებს მის მიმართ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე, რის გამოც იძულებული იყო დაენერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 25 აგვისტოს №1165 ბრძანება ზ. ბ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ზ. ბ-ი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა ზ. ბ-ისათვის იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება, თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, მისი გათავისუფლების დღიდან თანამდებობაზე აღდგენამდე სრულად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი ჰქონდა ზ. ბ-ის მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას, რის გამოც ზ. ბ-ი იძულებული იყო დაენერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას მოცემული დავისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან აღნიშნული ფაქტის დადგენა უკავშირდება სადავო აქტის ბათილად ცნობასა და სამსახურში აღდგენას. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სადავო აქტის გამოცემის საფუძველი იყო მოსარჩელის განცხა-

დება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

საკაცაციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაცია, როგორც გამორჩევა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება თანაბარი უფლებებისა და მათი დაცვის უარყოფის მიზნით, არის თანასწორობის პრინციპის შელახვა და ადამიანის ღირსების ხელყოფა. ადამიანთა გარკვეული კატეგორიის დისკრიმინაცია შეიძლება ხდებოდეს მათი რასობრივი კუთვნილების, ეროვნების, სარწმუნოების, პოლიტიკური მრწამსისა და სხვა ამგვარი ნიშნებითა თუ მოტივით. დისკრიმინაცია რა ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული, ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპებს და აკრძალულია როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია; პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების,

ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც შესაბამება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს.

ამასთან, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

საკაცსაციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე ასევე მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაშია მოხსენიებული, კერძოდ, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-14 მუხლის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა. მითითებული მე-14 მუხლისაგან განსხვავებით, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას მხოლოდ კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებით, კონვენციის მე-12 ოქმის პირველი მუხლის თანახმად, კანონით დადგენილი, ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების ან სხვა ნიშნისა; დაუშვებელია საჯარო ხელისუფ-

ლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია პირველ პუნქტში აღნიშნული რომელიმე საფუძვლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები კრძალავს ყველა სახის განსხვავებულ მოპყრობას, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფომ, მოხელის სახით, ვინმეს მიმართ განახორციელა განსხვავებული მოპყრობა, მაშინ ამ განსხვავებულ მოპყრობას თან უნდა სდევდეს „ობიექტური და გონივრული გამართლება“. ხოლო იმისათვის, რომ განსხვავებული მოპყრობა გამართლებულად ჩაითვალოს, პირველ რიგში იგი უნდა ემსახურებოდეს კანონიერი მიზნის მიღწევის ინტერესებს და დაცული უნდა იყოს გონივრული პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის, ანუ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს აუცილებელი და შესაფერისი (დისკრიმინაციის ტესტი).

საკაცაციო სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ დადასტურებულად იქნეს მიჩნეული ზ. ბ-ის მიმართ მისი პოლიტიკური კუთვნილების გამო დისკრიმინაციული მოპყრობა ან ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მას კონსტიტუციით და კანონით მინიჭებული შრომის თავისუფლების უფლებით სარგებლობისას, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, უნდა დადგინდეს – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ადგილი ჰქონდა თუ არა ზ. ბ-ის მიმართ კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით განმტკიცებულ შრომის უფლებაში ჩარევას, მით უფრო მაშინ, როდესაც მოსარჩელემ თავად გამოხატა ნება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ (სადავო პერიოდში მოქმედი) საქართველოს კანონი პრეამბულაშივე ახდენს დეკლარირებას, რომ ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადგილობრივ თვითმმართველობაში სამსახური დასახელებული კანონის მე-3 მუხლის მიხედვით განეკუთვნება საჯარო სამსახურის ერთ-ერთ სახეს, რამდენადაც საქართველოში საჯარო სამსახური ერთიანია და ეს სისტემა საქართველოს საჯარო შრომითი ურთიერთობების მოდელს წარმოადგენს. სწორედ მითითებული კანონი განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის ცნებას, სახეებს, სამსახურში მიღების, დანიინაურების, წახალისების, დისციპლინური

გადაცდომის, პასუხისმგებლობის სახეებს და მათი დაკისრების, სამსახურიდან გათავისუფლების კრიტერიუმებს, სტანდარტებს, პროცედურასა და წესებს, შესაბამისად, ამავე კანონითვეა დადგენილი საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობათა ძირითადი სამართლებრივი ჩარჩო.

საკასაციო სასამართლო სადავო სამართალურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე განმარტავს, რომ მოსარჩელე წარმოდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეს, რომლის სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი. მითითებული კანონის 2.4 მუხლის მიხედვით გამგეობაში, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად, ხოლო 4.2 მუხლი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფ პირს განიხილავს და მიიჩნევს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურედ. შესაბამისად, მის მიმართ სრულად ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი გარანტიები, როგორც საჯარო სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი: „მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა“ (მე-13 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი).

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ზ. ბ-ი იყო დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №25 დადგენილებით დამტკიცებული დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-16 მუხლის შესაბამისად, გამგებლის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში არის საჯარო მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. გამგებლის წარმომადგენელი ინიშნება დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ერთეულებში (16.2 მუხლი). ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი რეგლამენტირებულია გამგებლის წარმომადგენლის უფლებამოსილებები, კერძოდ: ა) აკონტროლებს და გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ; ბ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ; გ) უზრუნველყოფს მის სამოქმედო ტერიტორიაზე სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას კანონმდებ-

ლობის შესაბამისად; დ) ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვას და სახალხო განხილვების ჩატარებას და სხვა მრავალ უფლებამოსილებასთან ერთად ასევე ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს გამგებლის დავალებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანადებობაზე პირის დასანიშნად საჭიროა, პირველ ყოვლისა, ამის თაობაზე გამგებლის ნება-სურვილი. ამასთან, გარკვეულწილად გამგებლის წარმომადგენლის მუშაობაზე დამოკიდებული ტერიტორიული ერთეულის გამართული და სტაბილური ფუნქციონირება, შესაბამისად, ბუნებრივია გამგებელი ამ თანამდებობაზე დასანიშნად შეარჩევს ისეთ პირს, რომელთან მუშაობაც არ გაუჭირდება და მისი დახმარებით წარმართავს მუნიციპალიტეტის ეფექტიან საქმიანობას.

საკაცაციო სასამართლოს მითითებით, როგორც საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, მოსარჩელეს არ აქვს კარგი დამოკიდებულება გამგებელთან, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ პირებთან, არ აქვს კომუნიკაცია მოსახლეობასთან, რაც მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებდა და ზიანის მიაყენებდა საჯარო ინტერესს და ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენდა მისი უფლებამოსილების შესრულებაზე, რასაც არც თავად მოსარჩელე უარყოფს.

საკაცაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს, იმასთან მიმართებაში, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება და გამოერკვია ზ. ბ-ის მიერ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების დაწერა წარმომადგენელის ნამდვილ ნებას, თუ აღნიშნული გამოწვეული იყო მასზე განხორციელებული ზენოლის შედეგად, როგორც ამას განცხადებაში მიუთითებდა და აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს, რომ საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც თავისი არსითა და ფორმით სუბორდინაციულ სამართალურთიერთობათა კატეგორიას განეკუთვნება, მონესრიგებულია ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის სამოხელეო სამართლის კანონმდებლობით, რაც, თავის მხრივ, გამომდინარეობს და ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო აქტებით აღიარებულ და გარანტირებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებების სტანდარტს.

საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის კანონიერება ემყარება პირის ნებას – გახდეს საჯარო მოსამსახურე, კანონისმიერი კრიტერიუმების დაკმაყოფილების პირობებში. ასევე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმო-

ადგენს პირის ნება, განთავისუფლდეს სამსახურიდან („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო, საკუთარი ინიციატივით სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლის მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს მოხელის ნების გამოხატვის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერება, მათ შორის, სპეციფიკის გათვალისწინებით. 1. მოსამსახურის სურვილი, აღარ იყოს საჯარო მოსამსახურე, გამომდინარეობს კონსტიტუციური დათქმიდან – შრომა თავისუფალია, აღნიშნული განსაზღვრება მოიცავს პირის უფლებას, თავად გადაწყვიტოს იყოს თუ არა დასაქმებული. არავის აქვს უფლება, მისი ნების საწინააღმდეგოდ აიძულოს პირი იშრომოს, პირის ეს უფლება, ეს სტანდარტი აღიარებულია საერთაშორისო აქტებით. 2. პირის სურვილი – აღარ იყოს დასაქმებული საჯარო სამსახურში (კონკრეტულ პოზიციაზე), წარმოადგენს მის კონსტიტუციურ უფლებას და არავის აქვს უფლება და სამართლებრივი შესაძლებლობა, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ითვლებოდეს საჯარო მოსამსახურედ და ასრულებდეს საჯარო მოვალეობებს. ნების გამოხატვის ნამდვილობის დადგენა ემსახურება ნების გამოხატვის თავისუფლების პრინციპის რეალიზაციას, რაც გულისხმობს, რომ კონკრეტული ქმედება, არჩევანი, გადაწყვეტილება უნდა წარმოადგენდეს პირის ნამდვილ ნებას, იგი არ უნდა იყოს პროვოცირებული ძალადობის, იძულების, მუქარის, შანტაჟის, დაპირების და სხვა პირის არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებით ჩამოყალიბებული ან განპირობებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, იდენტურ სამართლებრივ დავებში სასამართლო ორგანოების ამოცანას წარმოადგენს გამიჯნონ შემთხვევები, როცა პირის ნება ფორმირებულია მისი განწყობებით, დამოკიდებულებებით, პერსპექტიული გეგმებით, თვითშეფასების ხარისხით და სხვა, და როცა ნების ფორმირება განპირობებულია, ერთი მხრივ, საჯარო სამსახურებრივი ვალდებულებების დაბალი შეგნებით, ადმინისტრაციის მიმართ უპირობო მორჩილების გამოხატვით, ანგარებით (დანინაურება, ხელფასის მომატება, პრემიის გადაცემა და სხვა) და მეორე მხრივ, საჯარო მოსამსახურის იძულებით, მუქარით, მისი განსაკუთრებული მდგომარეობით (ჯანმრთელობა, მძიმე სოციალური მდგომარეობა, ოჯახური სტატუსი და სხვა). აღნიშნული ფაქტების დადგენის გარეშე შეუძლებელი გახდება სასამართლო წესით დაცვის უფლების რეალიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ფაქტობრივ გარემოება-

თა კვლევისა და დადგენის საპროცესო სამართლებრივი მექანიზმები თითოეულ შრომით-სამართლებრივ დავაში მიმართული უნდა იყოს იქითკენ, პირის ნების ფორმირება – შინაგანი სურვილი და მისი გარეგნული გამოხატულება თანხვედრაშია თუ არა, მისი მიზანი დანამდვილებით არის თუ არა შრომითი ურთიერთობიდან გასვლა, ადმინისტრაციის (დამსაქმებლის) უფლება – დააკმაყოფილოს პირის ნება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, მართლზომიერად არის თუ არა გამოყენებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს აუდიო მასალის სახით მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებაზე და განმარტავს, რომ მართალია აუდიოჩანაწერიდან ჩანს, რომ გამგებელი სთხოვს ზ. ბ-ს სამსახურის დატოვებას, მაგრამ აუდიოჩანაწერიდან არ ჩანს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მხრიდან მრავალჯერადი დაჟინებული მონოდება სამსახურის დატოვების თაობაზე. ასევე არ დასტურდება ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ ზ. ბ-ის მიმართ პოლიტიკური შეხედულების გამო ზენოლისა და დისკრიმინაციული შევიწროვების ფაქტი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებიდან არ დგინდება ის გარემოება, რომ ზ. ბ-ის განცხადება დაკავებული თანამდებობიდან დათხოვნის თაობაზე არ შეესაბამება მის ნამდვილ ნებას, მით უფრო იმ დროს, როდესაც მის მიერ წარმოდგენილი აუდიოჩანაწერიდან ირკვევა, რომ მას ზეპირი განცხადებით არაერთხელ მიუმართავს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საჯარო მოსამსახურე უმნიშვნელოვანესი პერსონაა, რამდენადაც მათი კეთილსინდისიერება, პროფესიონალიზმი, გულისხმიერება განსაზღვრავს ერის მსახურების კულტურის დამკვიდრებას, რაც განაპირობებს ეროვნული საჯარო მმართველობის მოდელის ჩამოყალიბებას, როგორც ქართველი ხალხის ბიუროკრატის პოლიტიკური და კულტურული ისტორიის შედეგს, ვინაიდან სახელმწიფოში ადმინისტრირების სისტემის ამა თუ იმ სახით განვითარება უშუალო კავშირშია ტრადიციებთან, მათ შორის, მმართველობითი ურთიერთობების ფორმების, სტილის, ხასიათის, საზოგადოდ, მმართველის, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების გამტარებელი პერსონის მიმართ ტრადიციულად ჩამოყალიბებულ წარმოდგენებსა და მოლოდინებთან. საჯარო მოსამსახურეები საქართველოში საქმიანობას ახორციელებენ როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ თვითმმართველ ინსტიტუტებში. შესაბამისად, პერსონალის როლი ქვეყნის მართვასა და პოლიტიკაში საკმაოდ მაღალია.

აღსანიშნავია, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესა-

ხებ“ ევროპული ქარტიის (რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 26.10.2004 წლის №515 – II ს დადგენილებით) პრეამბულის შესაბამისად: „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს; მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის; სწორედ ადგილობრივ დონეზე შეიძლება ყველაზე ეფექტურად ამ უფლების პირდაპირი რეალიზაცია; ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა; ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვა და გაძლიერება სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის“.

საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ საჯარო მოსამსახურე, იურიდიული თვალსაზრისით, უფლებრივ დონეზე დაცულია კანონით, თუმცა მის რეალიზაციასა და დაცვაზე ზრუნვა ასევე წარმოადგენს მისივე უფლებას. საჯარო მოსამსახურე, რომელსაც არ შესწევს ძალა, სიმტკიცე და პრინციპულობა იბრძოლოს თავისი უფლებების დასაცავად, შეუძლებელია საჯარო ინტერესების, საზოგადოების თითოეული წევრის უფლებების პატივისცემლად და დამცველად მოგვევლინოს. საჯარო მოსამსახურე არა მხოლოდ კონკრეტული სფეროს კვალიფიციური სპეციალისტი, დისციპლინირებული, შრომისმოყვარე, არამედ, ამავედროულად, მაღალი პიროვნული და მორალური პრინციპების, ღირებულებების მატარებელი პირია, რადგან სწორედ ამ თვისებათა ერთობლიობის მქონე ადამიანებს ძალუძთ მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტა და დაძლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ბ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ზ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. პენსია

მიუღებელი პენსიის ანაზღაურება პირის გარდაცვალების შემთხვევაში

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-400-397(კ-17)

27 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. კ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელი აღძრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა დედის – თ. ბ-ის მიმართ 2015 წლის 1 აგვისტოდან 2015 წლის 1 ოქტომბრამდე მიუღებელი საპენსიო თანხის გაცემის დავალება, აგრეთვე მიუღებელი პენსიის ყოველ ვადაგადაცილებული დღეზე 0.07%-ის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ თ. ბ-ს, ასაკით პენსიონერს, სახელმწიფო პენსია 1990 წლის 30 ოქტომბრიდან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დუშეთის განყოფილებაში ჰქონდა დანიშნული. მასზე პენსიის გაცემა 2015 წლის 1 აგვისტოდან შეჩერდა, 2015 წლის 1 ოქტომბრიდან კი შეწყდა პენსიონერის გარდაცვალების გამო (თ. ბ-ი გარდაიცვალა 2015 წლის 22 სექტემბერს). 2015 წლის 1 ოქტომბერს ნ. კ-მა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა განცხადებით, რომლითაც დედის – თ. ბ-ის გარდაცვალებამდე მიუღებელი საპენსიო თანხის ანაზღაურება მოითხოვა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 7 ოქტომბრის №04/76421 წერილით ნ. კ-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა. განმცხადებელს „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-10 მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით განემარტა, რომ თ. ბ-ისათვის სახელმწიფო გასაცემლის შეჩერებიდან მის მიერ გარდაცვალებამდე მი-

უღებელი თანხის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სოციალური მომსახურების სააგენტოს არ გააჩნდა, ვინაიდან თ. ბ-ს ან მის წარმომადგენელს შეჩერებული პენსიის განახლება არ მოუთხოვია პენსიონერის სიცოცხლეში.

მოსარჩელე განმარტავდა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს. მოსარჩელე მიუთითებდა აღნიშნული კანონის მე-5 მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა, ამასთან, ქალებს პენსიის უფლება წარმოეშობა 60 წლიდან. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მის დედას – თ. ბ-ს საპენსიო ასაკის საფუძველით სახელმწიფო პენსია დანიშნული ჰქონდა 1990 წლის 30 ოქტომბრიდან დღემდე რაიონულ განყოფილებაში.

მოსარჩელე მიუთითებდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, პენსიის შეწყვეტის საფუძველია პენსიონერის გარდაცვალება. ამავე კანონის მე-18 მუხლის თანახმად პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისთვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. მოსარჩელე დამატებით მიუთითებდა, ამავე კანონის მე-16 მუხლზე, რომლის თანახმად, მინდობილობის ვადის გასვლა არ წარმოადგენს სახელმწიფო პენსიის შეჩერების საფუძველს და ასევე მითითებული კანონის მე-17 მუხლის თანახმად, პენსიის შეწყვეტის საფუძველს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა, ნ. კ-ზე გაეცა მისი დედის – თ. ბ-ის მიმართ 2015 წლის 1 აგვისტოდან 2015 წლის 1 ოქტომბრამდე მიუღებელი პენსია. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკ-

მაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება – ნ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად დაადგინა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, არასწორად განმარტა ნორმა, რამაც განაპირობა საქმეზე უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „კ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პენსიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ახდენს პენსიის დანიშვნას, მისი გაცემის ორგანიზებას, შეჩერებას, განახლებას, შეწყვეტას და გადაანგარიშებას, აგრეთვე პენსიის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სადავო ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, პენსიონერის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალებამდე მიუღებელი საპენსიო თანხები პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მონაპოვის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა, შეჩერებული პენსიის განახლების შესახებ, პენსიონერის ან რწმუნებით აღჭურვილი პირის მიერ განხორციელებულია პენსიონერის სიცოცხლეში.

პალატამ განმარტა, რომ ნ. კ-მა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 1 ოქტომბერს მიმართა განცხადებით, რომლითაც დედის – თ. ბ-ის გარდაცვალებამდე მიუღებელი სა-

პენსიო თანხის ანაზღაურება მოითხოვდა. მოთხოვნა განხორციელდა პენსიონერის გარდაცვალების შემდგომ, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-მა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება მოითხოვა.

კასატორი ნ. კ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პენსიის მიღება პირის ძირითადი სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. ევროპის სოციალური ქარტიის (მიღებულია 1996 წლის 3 მაისს) 1-ლი ნაწილის 23-ე პუნქტის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ ხანდაზმულ პირთა მიმართ სოციალური დაცვით სარგებლობის უფლებას, ხოლო მე-2 ნაწილის 23-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულთა მიერ სოციალური დაცვით სარგებლობის უფლებით, რაც შეიძლება დიდხანს სარგებლობის მიზნით, სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ ხანდაზმულთა დარჩენა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, რაც შეიძლება მეტი ხნით, რომელიც გამოიხატება მათთვის სათანადო სახსრების გამოყოფით და სხვა საშუალებებით.

კასატორი მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლზე, რომლის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე. აგრეთვე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება, განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში ყოველი სახელმწიფო სტრუქტურის და რესურსების შესაბამისად ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისთვის.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, კანონმდებლობა პენსიის შესახებ შედგება: საქართველოს კონსტიტუციისა, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის სხვა ნორმატიული აქტებისა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტე-

ბისაგან. აგრეთვე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის მიღწევა, ხოლო მე-12 მუხლის მიხედვით, პენსიონერი უფლებამოსილია, მიიღოს პენსია კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე კანონის მე-13, მე-14 და მე-17 მუხლების მიხედვით, პენსია ინიშნება მასზე უფლებამოსილი პირის მიერ კომპეტენტურ ორგანოში შესაბამისი განცხადების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარდგენის საფუძველზე, ხოლო წყდება შემდეგ შემთხვევებში: ა) პირადი განცხადებით, ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევების შემთხვევაში, ე) პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას, ვ) პენსიონერის გარდაცვალებისას, ზ) პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ, თ) სხვა საფუძვლით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობს.

კასატორი პენსიის შეჩერებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ამავე კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, შეჩერების საფუძველია პირის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობა და პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა, შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ კი წარსული დროისათვის მიუღებელი თანხა ანაზღაურდება პენსიის შეჩერებიდან არა უმეტეს 1 წლის პერიოდისათვის. აგრეთვე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მიხედვით პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისთვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა.

კასატორი დასახელებული ნორმიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ პენსიონერი უფლებამოსილია, მიიღოს პენსია მისი დანიშნვიდან შეწყვეტამდე, პენსიის შეჩერება არ გულისხმობს მასზე უფლების გაუქმებას. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის შინაარსის მიხედვით პენსიის შეჩერება პენსიის შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობის ვარაუდს უკავშირდება. პენსიის შეჩერების შემთხვევაში, თუ არ დადასტურდა პენსიის შეწყვეტის საფუძველი და ბენეფიციარმა მოითხოვა მისი განახლება, იგი უფლებამოსილია, მიიღოს შეჩერების დროიდან გასაცემი პენსია და აღნიშნულ უფლებას კანონი მხოლოდ დროის ინტერვალით ზღუდავს-შეჩერებიდან

1 წლის განმავლობაში მიუღებელი პენსია ანაზღაურდება.

კასატორი ბენეფიციარის მოთხოვნასთან დაკავშირებით პენსიის განახლებაზე აღნიშნავს, რომ კანონის მიხედვით, მისი განცხადება წარმოადგენს პენსიის გაცემის საფუძველს და არა პენსიის შეჩერების დროიდან 1 წლის ფარგლებში პენსიონერის კუთვნილ პენსიაზე მისი უფლების დადასტურების აუცილებელ პირობას, რამეთუ პენსიონერის ნება პენსიის მიღებაზე გამოიხატება პენსიის დანიშვნისას და ამ სახით არის პენსიის ადმინისტრირების ორგანოებისათვის ცნობილი, ვიდრე სანინალმდეგო განცხადება არ იქნება მათთან წარდგენილი, ამდენად პენსიის შეწყვეტის საფუძველს არ არსებობისას მისი შეჩერებიდან 1 წლის განმავლობაში გასაცემი პენსია წარმოადგენს სარგებელს, რომელიც პენსიონერს ეკუთვნის, მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი შესაბამისი უფლება გადადის მის მემკვიდრეზე, თანახმად „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლისა.

კასატორი აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული საკითხი განსხვავებულადაა დარეგულირებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნის და გაცემის წესით“, რომლის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, პენსიონერის გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვალებამდე მიუღებელი საპენსიო თანხები პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მონაშობის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა შეჩერებული პენსიის განახლების შესახებ, პენსიონერის ან რწმუნებით აღჭურვილი პირის მიერ განხორციელებულია პენსიონერის სიცოცხლეში. ამდენად, სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი აწესებს პენსიონერისა და მისი მემკვიდრის უფლების იმგვარ შეზღუდვას, რომელიც „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით არ არის გათვალისწინებული და არც მისი მიზნებიდან გამომდინარეობს.

6. კ-ი მიუთითებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტზე, რომლის მიხედვით, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებ-

ში და ფარგლებში. „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნის და გაცემის წესი“ დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით, რომელიც „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად პენსიის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხის, საპენსიო დოკუმენტაციის წარმოების და პენსიის დანიშვნის წესისა და პირობების განსაზღვრის მიზნით და მისი გამოყენება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედებას ემსახურება, ცხადია, მისი მოქმედების ფარგლები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სადავო ურთიერთობის რეგულირებისას მასზე უპირატესი იურდიული ძალა უნდა მიენიჭოს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონს.

კასატორი მიიჩნევს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე თ. ბ-ი უფლებამოსილი იყო მიეღო პენსია გარდაცვალებამდე, ასევე, პენსიის შეჩერებიდან 2015 წლის 1 აგვისტოდან 1 წლის ფარგლებში, თუმცა აღნიშნული უფლების რეალიზება 2015 წლის 22 სექტემბერს მისი გარდაცვალების გამო ვერ განხორციელდა და პენსია 2015 წლის 1 ოქტომბრიდან შეწყდა. შესაბამისად, მის მემკვიდრეზე გადავიდა 2015 წლის 1 აგვისტოდან 2015 წლის 1 ოქტომბრამდე გასაცემი – 2 თვის პენსიის მოთხოვნის უფლება, აქედან გამომდინარე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გააჩნია ვალდებულება თ. ბ-ის მემკვიდრეზე გასცეს თ. ბ-ის კუთვნილი 2015 წლის 1 აგვისტოდან 2015 წლის 1 ოქტომბრამდე მიუღებელი პენსია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საქმეზე დადგენილია, რომ თ. ბ-ს, როგორც ასაკით პენსიონერს, სახელმწიფო პენსია 1990 წლის 30 ოქტომბრიდან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დუშეთის განყოფილებაში ჰქონდა დანიშნული. მასზე პენსიის გაცემა 2015 წლის 1 აგვისტოდან შეჩერდა, 2015 წლის 1 ოქტომბრიდან კი შეწყდა პენსიონერის გარ-

დაცვალების გამო (თ. ბ-ი გარდაიცვალა 2015 წლის 22 სექტემბერს). 2015 წლის 1 ოქტომბერს ნ. კ-მა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს განცხადებით მიმართა, რომლითაც მისი დედის – თ. ბ-ის გარდაცვალებამდე მიუღებელი საპენსიო თანხის ანაზღაურება მოითხოვა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 7 ოქტომბრის №04/76421 წერილით ნ. კ-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა. განმცხადებელს „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-10 მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით განემარტა, რომ თ. ბ-ისათვის სახელმწიფო გასაცემლის შეჩერებიდან მის მიერ გარდაცვალებამდე მიუღებელი თანხის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სოციალური მომსახურების სააგენტოს არ გააჩნდა, ვინაიდან თ. ბ-ს ან მის წარმომადგენელს შეჩერებული პენსიის განახლება არ მოუთხოვია პენსიონერის სიცოცხლეში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციის უზრუნველყოფა. ამავე კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი არეგულირებს სახელმწიფო პენსიაზე (შემდგომში – პენსია) უფლების წარმოშობის საფუძვლებს, განსაზღვრავს პენსიის ოდენობას, მისი ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, მისი შეჩერების განახლებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, არეგულირებს პენსიის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

პალატა მიუთითებს დასახელებული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის მიღწევა, ხოლო მე-12 მუხლის მიხედვით, პენსიონერი უფლებამოსილია, მიიღოს პენსია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დასახელებული კანონის მე-18 მუხლის თანახმად, პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისათვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. შესაბამისად, პენსიონერი უფლებამოსილია, მიიღოს პენსია მისი დანიშვნიდან შეწყვეტამდე – სრული პერიოდის განმავლობაში.

საკასაციო პალატა მიუთითებს, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „კ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებულ „სახელ-

მნიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, პენსიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ახდენს პენსიის დანიშნას, მისი გაცემის ორგანიზებას, შეჩერებას, განახლებას, შეწყვეტას და გადაანგარიშებას, აგრეთვე პენსიის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პალატა დამატებით მიუთითებს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვალს დამტკიცებულ „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ შესახებ ბრძანების მე-8 მუხლზე, რომლის თანახმად, პენსია მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან შეჩერდება, როდესაც საპენსიო ანგარიშებიდან თანხები გაიცემა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის განახლება. პალატა განმარტავს, რომ პენსიის შეჩერება არ გულისხმობს სამართლებრივ შედეგად პენსიის მიღების უფლების შეზღუდვას, იგი შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც პენსიის შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობის ვარაუდი.

დასახელებული ბრძანების მე-10 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, პენსიონერის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალებამდე მიუღებელი საპენსიო თანხები პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მონაწილის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა შეჩერებული პენსიის განახლების შესახებ, პენსიონერის ან რწმუნებით აღჭურვილი პირის მიერ განხორციელებულია პენსიონერის სიცოცხლეში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მიუღებელი პენსიის გაცემის საკითხი განსხვავებულად არის მონესრიგებული ზემოხსენებულ ნორმატიულ აქტებში, რომელიც თავის მხრივ, სადავო ურთიერთობას აწესრიგებს. შესაბამისად, პალატას მართებულად მიაჩნია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის ინტერპრეტირება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. დასახელებული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გა-

მოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს პენსიის დანიშვნისა და მისი გამოცემის განახლებისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა, ასევე საპენსიო დოკუმენტების წარმოებისა და პენიის გაცემის წესები.

საკასაციო პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე – მიულერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Muller v. Austria* n5849/72), სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე არ არსებობს ხანდაზმულობის პენსიის ზოგადი უფლება, თუმცა არსებობს საკუთრების უფლება, რათა პირმა, თუ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფოს მიერ კანონის საფუძველზე დაწესებულ პირობებს მიიღოს აღნიშნული თანხა. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე – სტეკი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*stec and others v. the united kingdom* n65731/01, n65900/01). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრეცედენტულ სამართალში, შენატანების საფუძველზე უზრუნველყოფილი დახმარების საქმეები გამიჯნა იმ საქმეებისგან, რომელიც შენატანებთან არ იყო დაკავშირებული და ახალი მიდგომის თანახმად, დაადგინა, რომ თუ მოქმედი კანონმდებლობა უზრუნველყოფს სოციალური კეთილდღეობის დახმარებას – შენატანების წინასწარი გადახდის ან გადაუხდელობის პირობით, ასეთი კანონმდებლობა განხილული უნდა იქნეს, როგორც მესაკუთრის ინტერესის წარმომშობი, რაც პირველი ოქმის 1-ლი მუხლის – საკუთრების უფლების ფარგლებში ექცევა. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში მრავალი ადამიანი, სრულად ან ნაწილობრივ, სოციალურ დახმარებებზეა დამოკიდებული. მრავალი შიდასახელმწიფოებრივი სისტემა აღიარებს, რომ ასეთ პირებს სჭირდებათ საიმედოობისა და უსაფრთხოების გარკვეული ხარისხი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით შესაძლებელია მოწესრიგდეს ამა თუ იმ უფლებით სარგებლობის პროცედურები, მოცემულ შემთხვევაში კი პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესები. მაგრამ კანონქვემდებარე ნორ-

მატიული აქტით კანონით აღიარებული უფლების შეზღუდვა არ გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციურ წესრიგს, რამეთუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით სოციალური უფლებები, ამ შემთხვევაში კი პენსიის მიღების უფლება გათანაბრებულია საკუთრების უფლების სამართლებრივ მახასიათებლებთან, რაც პენსიის მიღების უფლებაზე ავტომატურად ავრცელებს საკუთრების უფლებაზე მოქმედ სამართლებრივ წესრიგს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვალს დამტკიცებულ „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშნისა და გაცემის წესის“ შესახებ ბრძანება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებს ემსახურება და მის საფუძველზეა გამოცემული, შესაბამისად, ნორმათა არსებული კონკურენციის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს საქართველოს კანონს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, რომლის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნ. კ-ს აქვს სამართლებრივი საფუძველი მიიღოს დედის – თ. ბ-ის კუთვნილი პენსია, რამეთუ განსახილველ შემთხვევაში კანონით მემკვიდრემ – ნ. კ-მა 2015 წლის 1 ოქტომბერს მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, დედის – თ. ბ-ის (გარდაცვლილი 2015 წლის 22 სექტემბერს) მიუღებელი საპენსიო თანხის ანაზღაურების შესახებ, ამასთანავე საქმეზე დადგენილი არ არის სხვა გარემოება, რომელიც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად იქნებოდა განხილული.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა ნ. კ-მა დაადასტურა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რაც საფუძველად უდევს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების არასწორი სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-9 მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს, ნ. კ-ზე გასცეს მისი დედის – თ. ბ-ის მიერ 2015 წლის 1 აგვისტოდან მის გარდაცვალებამდე მიუღებელი პენსია;
5. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა მინდობილობის საფუძველზე

გ ა დ ა ნ ყ ვ ა ტ ი ლ ა ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ბს-667-663(2კ-17)

27 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ნ-ამ 2015 წლის 20 იანვარს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ. მოსარ-

ჩელემ მოითხოვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მის სასარგებლოდ თანხის დაკისრება, გარდაცვლილი მამის – გ.წ-ას კუთვნილი 2 (ორი) თვის მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის – 1200 ლარის ანაზღაურების სახით.

მოსარჩელის განმარტებით, გ.წ-ა იყო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი და იღებდა სახელმწიფო კომპენსაციას. მამის შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ქ.წ-ა როგორც უფლებამოსილი/მინდობილი პირი განკარგავდა მის საკომპენსაციო თანხებს, თუმცა 2014 წლის სექტემბერში მინდობილობას გაუვიდა ვადა, ახალი მინდობილობის გაფორმება ვერ მოხერხდა, რადგან გ.წ-ას, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეეძლო საკუთარი მოქმედებების შეცნობა.

2014 წლის 26 სექტემბერს ქ.წ-ამ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მამის ქმედუუნაროდ ცნობის მოთხოვნით, რადგან მას როგორც მეურვეს განეკარგა მამის საკომპენსაციო თანხები. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2014 წლის 12 ნოემბრის განჩინებით განცხადება დატოვა განუხილველი, რადგან გ.წ-ა გარდაიცვალა 2014 წლის 26 ოქტომბერს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და როგორც მამის პირველი რიგის მემკვიდრემ, მოითხოვა მის მიერ გარდაცვალებამდე მიუღებელი ორი თვის საკომპენსაციო თანხის გაცემა, თუმცა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 10 დეკემბრის პასუხით არ იქნა დაკმაყოფილებული მოთხოვნა.

მოსარჩელის განმარტებით, მისი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს ქმნიდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლები და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით ქ.წ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მამას – აწ გარდაცვლილ გ.წ-ას შეუჩერდა სახელმწიფო კომპენსაციის მიღება 2014 წლის 01 სექტემბრიდან მინდობილობის განუახლებლობის გამო და ბენეფიციარის სიცოცხლეში არ მომხდარა შეჩერებული

სახელმწიფო გასაცემლის განახლება. სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ზ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტზე, კერძოდ, კომპენსაციის მიმღები პირის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალებამდე მიუღებელი კომპენსაციის თანხები პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მონაბობის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) გაცივმა იმ შემთხვევაში, თუ: ა) კომპენსაციის მიმღები პირის გარდაცვალებამდე კუთვნილი მიუღებელი კომპენსაციის თანხა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ჩარიცხულია საბანკო ანგარიშზე ან მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით კომპენსაციის თანხა არ არის ჩარიცხული საბანკო ანგარიშზე; ბ) მოთხოვნა, შეჩერებული კომპენსაციის განახლების შესახებ, კომპენსაციის მიმღები პირის ან რწმუნებით აღჭურვილი პირის მიერ განხორციელებულია კომპენსაციის მიმღები პირის სიცოცხლეში. საქალაქო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ გ.წ-ას კომპენსაცია შეუჩერდა 2014 წლის სექტემბერში და მას სიცოცხლეში კომპენსაციის განახლების მოთხოვნით აღარ მიუმართავს, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უარი მიუღებელი კომპენსაციის გაცივმაზე უარის თქმის შესახებ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას და არ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ.წ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით ქ.წ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქ.წ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისრა ქ.წ-ას სასარგებლოდ მამის – გ.წ-ას სექტემბრის თვის მიუღებელი სახელმწიფო გასაცემლის ანაზღაურება – 604 (ექვსას ოთხი) ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტის 2016 წლის 4 აპრილის №04-5855 წერილის თანახმად, გ.წ-ას დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო პაკეტი – 560 ლარის ოდენობით, ასევე იღებდა სოციალურ პაკეტს – 44 ლარის ოდენობით. გ.წ-ას

2013 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემელი შეუჩერდა ერთნაირი მინდობილობის ვადის გასვლის გამო. 2013 წლის 1 ოქტომბრიდან გასაცემელი განახლდა პირადი განცხადების საფუძველზე და ჩაერიცხა სახელმწიფო კომპენსაცია 1680 ლარის ოდენობით (2013 წლის აგვისტოს თვიდან 2013 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით) სოციალური პაკეტი – 132 ლარის ოდენობით. 2014 წლის 1 სექტემბრიდან გ.წ-ას სახელმწიფო გასაცემელი შეუჩერდა ერთნაირი მინდობილობის ვადის გასვლის გამო, ხოლო ამავე წლის 1 ნოემბრიდან სახელმწიფო გასაცემელი შეუწყდა გარდაცვალების გამო.

სააპელაციო პალატამ მიუთითა 2012 წლის 23 ივლისის საქართველოს მთავრობის №279 დადგენილებით დამტკიცებულ სოციალური პაკეტის განსაზღვრის წესზე, რომლის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბენეფიციარის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალებამდე მიუღებელი სოციალური პაკეტის თანხები პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მონაწილის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ: ბენეფიციარის გარდაცვალებამდე კუთვნილი მიუღებელი სოციალური პაკეტის თანხა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ჩარიცხულია საბანკო ანგარიშზე ან მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით სოციალური პაკეტის თანხა არ არის ჩარიცხული საბანკო ანგარიშზე; ანალოგიურ დებულებას შეიცავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, კომპენსაციის მიმღები პირის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალებამდე მიუღებელი კომპენსაციის თანხები პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მონაწილის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ: ა) კომპენსაციის მიმღები პირის გარდაცვალებამდე კუთვნილი მიუღებელი კომპენსაციის თანხა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ჩარიცხულია საბანკო ანგარიშზე ან მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით კომპენსაციის თანხა არ არის ჩარიცხული საბანკო ანგარიშზე.

სააპელაციო პალატამ იმისათვის, რომ დაედგინა ჰქონდა თუ არა ადგილი მოქმედი კანონმდებლობის დარღვევას, როდესაც 2014 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეში არ განხორციელდა სახელმწიფო კომპენსაციის თანხის ჩარიცხვა გ.წ-ას საბანკო ანგარიშზე, მი-

მოიხილა სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, კერძოდ, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომპენსაცია/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია შეჩერდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან: ა) კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას; ბ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის შესაბამის სამედიცინო დანესებულებაში დადგენილ ვადაში გადამონმებაზე საპატიო მიზეზით (საავადმყოფოში, სანატორიუმში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დანესებულებაში ყოფნის გამო) გამოუცხადებლობისას; გ) პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კომპენსაცია/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია განახლდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შეჩერების დღიდან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – კომპენსაციის/აკადემიური სტიპენდიის მიმღები პირის მიერ კომპეტენტური ორგანოსთვის კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის განახლების თაობაზე განაცხადების წარდგენის შემდეგ. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სოციალური პაკეტის შეჩერების წყაროა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, გასაცემლის გამცემი საბანკო დანესებულება. პალატამ ასევე მიუთითა საქართველოს მთავრობის №279 დადგენილებით დამტკიცებულ სოციალური პაკეტის განსაზღვრის წესსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დავის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესზე, რომლებიც შეიცავენ ამგვარ დებულებებს და უფრო განავრცობენ სახელმწიფო გასაცემლის შეჩერების საფუძველს და ასეთ ერთ-ერთ საფუძვლად დადგენილია ისეთი გარემოებების არსებობა, როდესაც შესაბამისი ანგარიშებიდან თანხები გაიცემა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის განახლება (საქართველოს მთავრობის №279 დადგენილებით დამტკიცებულ სოციალური პაკეტის განსაზღვრის წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დავის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამ-

ტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

ზემოთ მითითებული ნორმების შეჯერების საფუძველზე სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ როდესაც სახელმწიფო კომპენსაციის თანხის გაცემა ხდება მინდობილობის საფუძველზე, ასეთი მინდობილობის გაცემიდან/წარდგენიდან ერთი წლის განმავლობაში მინდობილი პირი უფლებამოსილია, რომ მიიღოს სახელმწიფო გასაცემლის თანხა. ამასთან პალატამ მიუთითა, რომ განუსაზღვრელი ვადით გაცემული რწმუნებულების შემთხვევაშიც, სოციალური პაკეტის თანხის გაცემის მიზნებისათვის მოქმედებს ერთნაირი შეზღუდვა და აღნიშნული შეზღუდვა მოქმედებს ამ რწმუნებულების წარდგენიდან ერთი წლის განმავლობაში. იგი წარმოადგენს კონტროლის ერთ-ერთ სახეს, რათა არ მოხდეს სახელმწიფო გასაცემლის თანხის არამიზნობრივი განკარგვა/მითვისება. სააპელაციო პალატა დაეთანხმა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ გ.წ-ას სიცოცხლეში არ მომხდარა მინდობილობის განახლება, თუმცა პალატის მოსაზრებით სადავო შემთხვევაში, დარღვევა გამოიხატა იმ გარემოებაში, რომ უშუალოდ ერთნაირი ვადა, მინდობილობის საფუძველზე, გ.წ-ას ანგარიშზე სახელმწიფო კომპენსაციის თანხის დარიცხვა/გაცემისას, არ იქნა დაცული. კერძოდ, 2013 წლის 1 ოქტომბრიდან განახლდა კომპენსაციის თანხის გაცემა გ.წ-ას პირადი განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით გაცემული მინდობილობის საფუძველზე, გ.წ-ას სახელმწიფო კომპენსაციის მიღება, უფლებამოსილ პირს შეეძლო 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ნორმების დარღვევას აქვს ადგილი, როცა 2014 წლის სექტემბრის თვის გასაცემელი არ დაერიცხა/ ვერ მიიღო გ.წ-ას მიერ უფლებამოსილმა პირმა, მინდობილობის განუახლებლობის საფუძველით, იმ პირობებში, როცა 2013 წლის 1 ოქტომბრიდან განახლდა გ.წ-ას სახელმწიფო გასაცემელი პირადი განცხადების საფუძველზე. ადმინისტრირების განმახორციელებელ ორგანოს მინდობილობის გაცემის/წარდგენის ერთნაირი ვადა უნდა აეთვალა არა სახელმწიფო კომპენსაციის თანხის შეჩერების პერიოდიდან (2013 წლის 1 აგვისტო), არამედ 2013 წლის 1 ოქტომბრიდან. ქ. წ-ას მოთხოვნას წარმოადგენდა 1200 ლარის ოდენობით სახელმწიფო გასაცემლის ანაზღაურება. საქმის მასალებით დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ გ.წ-ას სახელმწიფო კომპენსაციის ყოველთვიური თანხა შეადგენდა 560 ლარს, იგი ღებულობდა ასევე სოციალურ პაკეტს ყოველთვიურად 44 ლარის ოდენობით, შესაბამისად, 2014 წლის სექტემ-

ბრის თვეში მას უნდა დარიცხოდა შესაბამის საბანკო ანგარიშზე 604 ლარი და სწორედ ამ ოდენობის თანხის (მიუღებელი სოციალური პაკეტი) ანაზღაურება დაეკისრა სოციალური მომსახურების სააგენტოს ქ. ნ-ას სასარგებლოდ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლის თანახმად – თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უარი სექტემბრის თვის მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის გაცემაზე, იყო უკანონო, შესაბამისად, ქ. ნ-ას სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისრა 604 ლარის ოდენობით თანხის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და ქ. ნ-ამ, რომელთაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორი ქ. ნ-ა საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ გ.ნ-ა იყო დიდი სამამულო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი და იღებდა სახელმწიფო კომპენსაციას 560 (ხუთას სამოცი) ლარს და სოციალურ პაკეტს 44 (ორმოცდაოთხ) ლარს. მამის შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ის როგორც უფლებამოსილი მინდობილი პირი, იღებდა მის საკომპენსაციო თანხებს. 2014 წლის 1 სექტემბერს ვადაგასული მინდობილობის განახლება ვერ მოხერხდა, რადგან გ.ნ-ას მისი მდგომარეობიდან გამომდინარე უჭირდა ხელის მონერა, ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოში ხელახალ რეგისტრაციას ის ვერ გაივლიდა, რადგან არ შეეძლო გადაადგილება. 2014 წლის 26 ოქტომბერს გ.ნ-ა გარდაიცვალა და მისი გარდაცვალების გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 ნოემბრის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული გ.ნ-ას ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ მოთხოვნა.

კასატორის განმარტებით, 2014 წლის ნოემბრის თვეში მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაცვლილი მა-

მის გარდაცვალებამდე მიუღებელი კომპენსაციის მიღების მოთხოვნით, მაგრამ 2014 წლის 10 დეკემბრის წერილით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანების საფუძველზე ეთქვა უარი მამის მიუღებელი კომპენსაციის გაცემაზე. კასატორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება იყო უკანონო, რადგან 2014 სექტემბრის პენსია უკანონოდ ან შეცდომით არ იყო ჩარიცხული საბანკო ანგარიშზე, (ბოლო რეგისტრაცია გ.წ-ას გავლილი ჰქონდა 2013 წლის სექტემბერში,) ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ კომპენსაცია შეჩერებული იყო კანონდარღვევით, ერთი თვით ადრე, გარდა ამისა სასამართლოზე გაირკვა, რომ გ.წ-ას აუღებელი ჰქონდა არა ორი თვის – სექტემბრისა და ოქტომბრის, რასაც ის მოითხოვდა, არამედ სამი თვის პენსია. ვინაიდან ბენეფიციარი სექტემბერში იღებს, აგვისტოში დარიცხულ პენსიას, შესაბამისად, ოქტომბერში და ნოემბერში გ.წ-ას უნდა მიეღო სექტემბერსა და ოქტომბერში დარიცხული პენსია, აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი ითხოვს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისროს გ.წ-ას კუთვნილი სამი თვის კომპენსაციის (1812 ლარის) სრულად ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით ქ.წ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ქ.წ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქ-

მდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარში მითითებულია გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ, კასატორი ითხოვს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს გ.წ-ას მიუღებელი სამი თვის საკომპენსაციო თანხა 1812 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე ქ. წ-ას მიერ და მოსარჩელის საბოლოო ინტერესს წარმოადგენს მის მიერ 2014 წლის 26 ოქტომბერს გარდაცვლილი მამის – გ.წ-ას გარდაცვალებამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემლის მიღება. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს მიუღებელი საკომპენსაციო თანხის კანონიერი საფუძვლის არსებობა, ხოლო რაც შეეხება საკასაციო საჩივარში მითითებულ მოთხოვნას – 1812 ლარის დაკისრებასთან დაკავშირებით, პალატა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლზე მითითებით განმარტავს, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში მოთხოვნის გაზრდა არ დაიშვება. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს ქ. წ-ას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ქ. წ-ას სასარგებლოდ, მისი გარდაცვლილი მამის – გ.წ-ას კუთვნილი მიუღებელი პენსიის დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს, კერძოდ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. მითითებული კანონის ძირითადი პრინციპებია: სამართლიანობა; კანონის წინაშე თანასწორობა; მუდმივობა; კომპენსაციის/სახელმწი-

ფო აკადემიური სტიპენდიის მიღების სახელმწიფო გარანტია, ხოლო კანონმდებლობა კომპენსაციისა (გარდა ერთჯერადი კომპენსაციებისა) და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობებს არეგულირებს ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესი“.

საქმეზე დადგენილია, რომ გ.წ-ა იყო ომისა და სამხედრო ძალეობის ვეტერანი და დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო კომპენსაცია, რომელსაც მინდობილობის საფუძველზე იღებდა მისი შვილი – ქ.წ-ა. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მინდობილობა განახლდა 2013 წლის 1 ოქტომბრიდან, მომსახურე საბანკო დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციით დადგენილია, რომ 2014 წლის 1 სექტემბრიდან გ.წ-ას შეუჩერდა სახელმწიფო კომპენსაცია, იმ საფუძველით, რომ მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის განახლება. გ.წ-ა გარდაიცვალა 2014 წლის 26 ოქტომბერს, მამის გარდაცვალებიდან მომდენო თვეს ქ.წ-ამ მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნით, თუმცა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 10 დეკემბრის №04/98544 წერილით მას ეთქვა უარი, იმ საფუძველით, რომ გ.წ-ას 2014 წლის 1 სექტემბრიდან სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა შეუჩერდა, მინდობილობის ვადის გასვლის გამო და ბენეფიციარის სიცოცხლეში არ მომხდარა შეჩერებული სახელმწიფო გასაცემლის განახლება, შესაბამისად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს არ გააჩნდა ქმედების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესი“ არ ითვალისწინებს სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობას, გარდაცვლილი ბენეფიციარის მემკვიდრეებზე, იმ შემთხვევაში თუ, კომპენსაციის მიმღების მიერ მის სიცოცხლეში არ არის მიმართული განცხადებით შეჩერებული სახელმწიფო კომპენსაციის განახლებაზე.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომპენსაცია/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია შეჩერდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან: ა) კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას; ბ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის შესაბამის სამედიცინო დანესებულებაში დადგენილ ვადაში გადამონმებაზე საპატიო მიზეზით (საავადმყოფოში, სანატორიუმში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დანესებულებაში ყოფნის გამო) გამოუცხადებლობისას; გ) პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კომპენსაცია/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია განახლდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შეჩერების დღიდან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – კომპენსაციის/აკადემიური სტიპენდიის მიმღები პირის მიერ კომპეტენტური ორგანოსთვის კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის განახლების თაობაზე განაცხადების წარდგენის შემდეგ. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სოციალური პაკეტის შეჩერების წყაროა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, გასაცემლის გამცემი საბანკო დანესებულება.

ამავე კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტი არეგულირებს მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის აღების წესს პირის გარდაცვალების შემთხვევაში, კერძოდ, აღნიშნული მუხლი სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირის მემკვიდრეებს ანიჭებს უფლებას, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა მიიღონ კომპენსაცია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იყო მიღებული. შესაბამისად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კომპენსაციის მიმღები პირი უფლებამოსილია, მიიღოს შესაბამისი თანხა მისი დანიშნვიდან შეწყვეტამდე და მისი შეჩერება არ გულისხმობს კომპენსაციაზე უფლების გაუქმებას.

აღნიშნული საკითხის სხვაგვარი რეგულაცია მოცემულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-18 მუხლში, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაციის

შეჩერების საფუძვლად მითითებულია იმ გარემოების არსებობა, როდესაც შესაბამისი ანგარიშებიდან თანხები გაცივმა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის განახლება, რასაც ადგილი აქვს განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან გ.წ-ას არ მიუმართავს შესაბამისი საბანკო დაწესებულებისათვის მინდობილობის განახლების მოთხოვნით, ხოლო ამავე წესის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი მიუღებელი კომპენსაციის თანხების პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებზე გაცივმის შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, მოთხოვნა, შეჩერებული კომპენსაციის განახლების შესახებ, კომპენსაციის მიმღები პირის ან რწმუნებით აღჭურვილი პირის მიერ განხორციელებულია კომპენსაციის მიმღები პირის სიცოცხლეში, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არის სახეზე, ვინაიდან დადგენილია რომ გ.წ-ას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე არ შეეძლო მის სიცოცხლეში მიემართა საბანკო დაწესებულებისათვის მინდობილობის განსახლებლად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/წ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცივმის წესი“ წინააღმდეგობრივია და განსხვავებულად არეგულირებს მსგავს საკითხს, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტზე მითითებით განმარტავს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცივმის წესის“ მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესი, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირის და მისი მემკვიდრის უფლების იმგვარი შეზღუდვის შესახებ, რომელიც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით არ არის გათვალისწინებული და არც მისი მიზნიდან გამომდინარეობს, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. ამავე კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

„სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცი-

მის წესი“ დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, პენსიის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხის, საპენსიო დოკუმენტაციის წარმოებისა და პენსიის დანიშვნის წესისა და პირობების განსაზღვრის მიზნით და მისი გამოყენება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედებას ემსახურება. ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადავო ურთიერთობის რეგულირებისას მასზე უპირატესი იურიდიული ძალა უნდა მიენიჭოს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 1-ლი ოქმის თანახმად, ყოველ პირს აქვს მისი საკუთრების პატივისცემის უფლება. სახელმწიფო კომპენსაციის, პენსიის მოთხოვნა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ საკუთრებად. (იხ. *Pravednaya v. Russia*, application no. 69529/01, 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება) სახელმწიფო კომპენსაცია სოციალური უზრუნველყოფის განსხვავებული ტიპის ბენეფიტია, ის წარმოიშობა უფლების საფუძველზე, მიუხედავად პირის ქონებრივი მდგომარეობისა.

განსახილველ შემთხვევაში გ.წ-ას როგორც კომპენსაციის მიმღებ პირს, შესაბამისი თანხის პერიოდული მიღების უფლება სამისდღემშიოდ, ჰქონდა მოპოვებული და ეს უფლება ექცევა საქართველოს კონსტიტუციით დაცულ უფლებებში. საქართველოს კონსტიტუცია იცავს საკუთრების უფლებას, აღნიშნული უფლება და მისი გამოყენების მექანიზმები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით, რომლითაც დეტალურად წესრიგდება კომპენსაციის გაცემის პროცედურები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დადგენილი ფაქტების საფუძველზე ქ.წ-ას, როგორც გ.წ-ას მემკვიდრეს უნდა აუნაზღაურდეს გ.წ-ასათვის კომპენსაციის გაცემის შეჩერებიდან მის გარდაცვალებამდე გაცემი მიუღებელი თანხა და კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე, პროცედურული საკითხის წინააღმდეგობის გამო, არ შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლება, ასეთი უფლების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ.წ-ას კანონით ჰქონდა მინიჭებული სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება, რომე-

ლიც სრულად ვერ იქნა რეალიზებული, კერძოდ, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გ.წ-ა უფლებამოსილი იყო რამდენიმე 2014 წლის 1 აგვისტოდან შეჩერებული სახელმწიფო კომპენსაცია, რაც ამ დრომდე არ არის გაცემული მის მემკვიდრეზე. როგორც უკვე აღინიშნა კომპენსაციის გაცემის შეჩერება არ გულისხმობს მასზე უფლების დაკარგვას, მხოლოდ იმის გამო, რომ კანონქვემდებარე აქტით დადგენილი მოთხოვნები, შეჩერებული სახელმწიფო კომპენსაციის განახლებასთან დაკავშირებით კომპენსაციის მიმღები პირის სიცოცხლეში მიმართვის თაობაზე, არ იქნა დაცული. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან მინდობილობის ვადის გასვლის გამო, გათვალისწინებულია კომპენსაციის გაცემის შეჩერების საკითხი და აღნიშნული იცავს სახელმწიფოს გასაცემლის თანხის არამიზნობრივი განკარგვა/მითვისებისგან, შესაძლებელია გაკეთდეს შეფასება, რომ კომპენსაციის გაცემის შეჩერება გულისხმობს ერთნაირი მინდობილობის ვადის გასვლის შემთხვევაში, პროცედურული მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას და არ უნდა იწვევდეს სახელმწიფო კომპენსაციაზე უფლების დაკარგვას. განსახილველ შემთხვევაში, გ.წ-ამ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მინდობილობის განახლება ვერ განახორციელა, ხოლო 2014 წლის 26 ოქტომბერს მისი გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაცია 2014 წლის ნოემბრიდან შეწყდა, გ.წ-ას უფლების შესაბამისად მის მემკვიდრეზე გადავიდა 2014 წლის 1 აგვისტოდან გ.წ-ას გარდაცვალებამდე მისაღები სახელმწიფო კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გააჩნია ვალდებულება, გ.წ-ს მემკვიდრეზე – ქ.წ-აზე გასცეს გ.წ-ას კუთვნილი, 2014 წლის 1 აგვისტოდან მის გარდაცვალებამდე მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაცია, რაც მას უნდა მიეღო. ქ.წ-ას მოთხოვნა მამის – გ.წ-ას მიუღებელ სახელმწიფო კომპენსაციასთან დაკავშირებით, საფუძვლიანია და გამომდინარეობს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან.

საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ სახელმწიფო კომპენსაცია ისევე, როგორც პენსიის მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის 1-ლი ნაწილის 23-ე პუნქტის მიხედვით, ხელმოწერი მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ ხანდაზმულ პირთა მიმართ სოციალური დაცვით უფლებას, ხოლო მე-2 ნა-

წილის 23-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულთა მიერ სოციალური დაცვით უფლებებით, რაც შეიძლება დიდხანს სარგებლობის მიზნით, სახელმწიფო ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს ხანდაზმულთა დარჩენა საზოგადოებრივ სრულფასოვან წევრებად, რაც შეიძლება მეტი ხნით, რაც მაგალითად, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოიხატება, სათანადო სახსრების გამოყოფით, რაც საშუალებას მისცემს მათ იცხოვრონ ღირსეულად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. წ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ქ. წ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ქ. წ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისროს ქ. წ-ას სასარგებლოდ სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის შეჩერებიდან გ.წ-ას გარდაცვალებამდე მიუღებელი თანხის ანაზღაურება.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისათვის
სახელმწიფო პენსიის აღდგენის საფუძველი**

**ბანკინება
საქართველოს სახელით**

№ბს-395-392(კ-17)

17 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის და-
ვალება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. კ-მა 08.04.2015წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სა-
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების
– სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სო-
ციალური მომსახურების ცენტრისა და სსიპ სოციალური მომსახუ-
რების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ სოციალუ-
რი მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომ-
სახურების ცენტრის 23.03.2015წ. №2015/1 და სსიპ სოციალური
მომსახურების სააგენტოს 16.06.2015წ. №04/43592 გადაწყვეტი-
ლებების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების საა-
გენტოსათვის ვ. კ-ის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების
გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ როგორც საქართველოს საბაჟო დე-
პარტამენტის აფხაზეთის სამმართველოს ყოფილ უფროსს, 2002
წლის 18 მარტიდან დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 403 ლა-
რის ოდენობით, რომელსაც იღებდა 2013 წლის 01 ნოემბრამდე. სა-
ქართველოს პრეზიდენტის 09.09.2011წ. №500 ბრძანებულებით,
„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის 32.1 მუხლის „დ“
ქვეპუნქტის საფუძველზე, შეუწყდა საქართველოს მოქალაქეო-
ბა, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 03.12.2013წ. №937 ბრძა-
ნებულებით, საქართველოს კონსტიტუციის 12.2 მუხლის შესაბა-

მისად, მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2013 წლის 01 ნოემბრიდან შეუწყდა კომპენსაციის მიღება, რის გამოც არაერთხელ მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. სააგენტოს ძველი თბილისის ცენტრის 23.03.2015წ. №2015/1 გადაწყვეტილებით ვ. კ-ს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 5.2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე უარი ეთქვა სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, რომლის 16.06.2015წ. №04/43592 გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო გადაწყვეტილებებით უკანონოდ იზღუდება მისი უფლებები და იურიდიული ინტერესი, რის გამოც ადგება პირდაპირი და უშუალო ზიანი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 23.12.2005წ. საკანონმდებლო ცვლილების შედეგად „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონიდან ამოღებულ იქნა ის ნორმები, რომლებიც მისთვის საპენსიო პაკეტის დანიშვნის საფუძველს განსაზღვრავენ, მიღებულ იქნა ახალი კანონი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“, რომლის თანახმად 36.2 მუხლში მითითებული საკანონმდებლო აქტით დანიშნულ და გაცემულ პენსიებს ენოდათ კომპენსაცია და მათი გაცემა გაგრძელდა, როგორც ამ კანონის შესაბამისად დანიშნული კომპენსაცია. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დაცვა ვრცელდება პენსიაზე, რომელიც ამ მუხლის მნიშვნელობით საკუთრებას წარმოადგენს. „სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონი ადგენს კომპენსაციის ადმინისტრირების, გაცემისა და შეწყვეტის წინაპირობებს, მაგრამ არა პენსიის წარმოშობის საფუძველს, რომელიც „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონით განისაზღვრებოდა. სადავო აქტებს საფუძველად უდევს 2006 წელს ამოქმედებული კანონი, რომლის გავრცელება იმ სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც წარმოიშვა მის ამოქმედებამდე, კერძოდ, 2002 წელს, დაუშვებელია. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების

შესახებ“ კანონის 24.1 მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუ-
ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგე-
ნილი ამ ნორმატიული აქტით, ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს
ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს. „სახელმწიფო
კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“
კანონი ამოქმედდა სამართალურთიერთობის წარმოშობის შემდეგ
და ცალსახად აუარესებს მოსარჩელის მდგომარეობას, ვინაიდან
არ ითვალისწინებს იმ თანამდებობის პირისათვის კომპენსაციის
გაცემას, რომელიც ეკავა მოსარჩელეს (სახელმწიფო კომპენსაცი-
ის ნაცვლად მოსარჩელე ლეზულობს ასაკით პენსიას, რაც კუთვნილ
პენსიაზე გაცილებით ნაკლებია), მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადა-
ვო აქტები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი (სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხ.)
და სააგენტოს უნდა დაევალოს აქტის გამოცემა მისთვის კომპენ-
საციის აღდგენის თაობაზე (სასკ-ის 23-ე, 33-ე მუხ.).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 19.04.2016წ. გადაწყვეტილებით ვ. კ-ის სარჩელი დაკ-
მაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახუ-
რების სააგენტოს 16.06.2015წ. №04/43592 გადაწყვეტილება, სა-
დავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სო-
ციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის ცენტრის
23.03.2015წ. №2015/1 გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა მო-
სარჩელის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლე-
ვისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. კ-ს 2002 წლის 18 მარ-
ტიდან საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ხაზით დანიშნული
ჰქონდა პენსია „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სა-
ხელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათ-
ხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყო-
ფის შესახებ“ კანონის საფუძველზე. სასამართლომ მიუთითა, რომ
„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტი-
პენდიის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის, საქარ-
თველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინის-
ტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწი-
ფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 19.1 მუხლის „ზ“
ქვეპუნქტის შესაბამისად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემი-
ური სტიპენდიის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს საქართვე-
ლოს მოქალაქეობიდან გასვლა ან საქართველოს მოქალაქეობის
დაკარგვა. ზემოხსენებული წესის 19.3 მუხლის მიხედვით შეწყვე-
ტილი კომპენსაციის ხელახალი დანიშვნა განხორციელდება კანო-

ნითა და ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად, კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების კომპეტენტურ ორგანოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ამ შემთხვევაში კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს მასთან დაცული კომპენსაციის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველი – საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა, წარმოიშვა 2011 წელს, ხოლო შეწყვეტის საფუძველი აღმოფხვრილ იქნა 2013 წელს, კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი დარჩა იგივე. სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპენსაციის შეწყვეტის საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში, იმავე საფუძველით კომპენსაციის დანიშვნა განხილულ უნდა იქნეს კომპენსაციის აღდგენა/განახლება, რაც, თავის მხრივ, მოიაზრებს უკვე არსებულის გაგრძელებას, მოცემული შემთხვევისთვის – 2002 წელს დანიშნული კომპენსაციის გაცემის გაგრძელებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, კომპენსაციის შეწყვეტა, თავის არსით, კომპენსაციის შეჩერებას გულისხმობს, შესაბამისად, 2002 წელს დანიშნულ კომპენსაციაზე უნდა გავრცელდეს იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა და მოსარჩელე იმ უფლებებში უნდა აღდგეს, რაც მას უკვე მოპოვებული ჰქონდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.04.2016წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.02.2017წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.04.2015წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 31.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, ამავე კანონის 36-ე მუხლზე, ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-19 მუხლზე და აღნიშნა, რომ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, კომპენსაციის შეწყვეტის საფუძვლების აღმოფხვრის შემდეგ, პირს ხელახლა დაენიშნება კომპენსაცია შესაბამისი განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება, რომ განსახილ-

ველ შემთხვევაში კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველი – საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა წარმოიშვა 2011 წელს, იგი აღმოფხვრილ იქნა 2013 წელს მოქალაქეობის მინიჭების გზით, კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი იგივე დარჩა. სააპელაციო პალატამ საკასაციო პრაქტიკაზე მითითებით აღნიშნა, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის მიზანმიმართულად უნდა განიმარტოს. პალატის მოსაზრებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლი გულისხმობს უშუალოდ სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნის ფაქტობრივი საფუძველების გაქარწყლებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.02.2017წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

კასატორმა აღნიშნა, რომ ვ. კ-ს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის შესაბამისად, 2002 წლის 18 მარტიდან საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ხაზით დანიშნული ჰქონდა პენსია. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 36.1 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოქმედებამდე ძველი საკანონმდებლო აქტებით დანიშნულ და გაცემულ პენსიებს ეწოდა სახელმწიფო კომპენსაცია და მათი გაცემა გაგრძელდა, როგორც აღნიშნული კანონის შესაბამისად გაცემული კომპენსაცია. ამავე კანონის 37.1 მუხლის მიხედვით, კანონის 26-ე მუხლში ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად დანიშნული კომპენსაციების გაცემა, რომელთა მიღებას არ ითვალისწინებს ეს კანონი, გაგრძელდეს ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობით მათი მიღების შეწყვეტის საფუძველების წარმოშობამდე.

კასატორმა აღნიშნა, რომ კომპენსაციის საქმეში არსებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ ვ. კ-ს სხვა სახელმწიფოს (რუსეთის ფედერაციის) მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის 09.09.2011წ. №500 ბრძანებულებით შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 03.12.2013წ. №937 ბრძანებულებით, საქართველოს კონსტიტუციის 12.2 მუხლის შესაბამისად მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. კასატორმა მიუთითა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის

31.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომპენსაციის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა. ამდენად, ზემოხსენებული კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად, 2011 წლის 9 სექტემბრიდან ვ. კ-ისათვის, როგორც რუსეთის ფედერაციის მოქალაქისათვის, სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. შესაბამისად, კომპენსაციის შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება მართლზომიერია და სრულად აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთანავე, მიუხედავად „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 25.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა, ვ. კ-ს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე სააგენტოსათვის არ უცნობებია.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 19.3 მუხლის თანახმად, შეწყვეტილი კომპენსაციის ხელახალი დანიშვნა ხორციელდება კანონითა და წესით დადგენილი პირობების შესაბამისად, კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ამ შემთხვევაში კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს მასთან დაცული კომპენსაციის დანიშვნისთვის საჭირო დოკუმენტები. კომპენსაციის ხელახლა დანიშვნა ხორციელდება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებისა და პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. 2006 წლის 01 იანვრიდან მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტიდან დათხოვნილი პირებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა-გაცემას აღარ ითვალისწინებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. კ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის აღდგენის ან/და ხელახალი დანიშვნის საფუძველი სააგენტოს არ გააჩნია.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა მი-

იჩნიეს, რომ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნეს გასაჩივრებული აქტები, ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია ვ. კ-ისათვის კომპენსაციის დანიშვნა წარმოადგენდა კომპენსაციის პირველად დანიშვნას, თუ უკვე არსებულის განახლებას, სადავო აქტები არ შეიცავს კანონშესაბამის დასაბუთებას მოცემულ საკითხთან მიმართებაში. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად და ყოველმხრივ გამოიკვლია დავასთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მითითებულ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ საქმეზე არ არის გამოკვლეული დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოებები, როგორცაა: ვ. კ-ისათვის კომპენსაციის თავდაპირველად დანიშვნის საფუძველი, სადავო აქტების გამოცემის დროისთვის ვ. კ-ისათვის კომპენსაციის დანიშვნის საფუძვლის ძალაში ყოფნა, ვ. კ-ისათვის მოქალაქეობის შეწყვეტის და ხელმეორედ მინიჭების საფუძველი.

გასაჩივრებული განჩინებით ვ. კ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტა სააპელაციო სასამართლომ ფაქტიურად გააიგივა კომპენსაციის შეჩერებასთან და აღნიშნა, რომ არ შეცვლილა კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველი – საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა, წარმოიშვა 2011 წელს, და 2013 წელს იქნა აღმოფხვრილი, ხოლო კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი დარჩა იგივე, კომპენსაციის შეწყვეტის საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში, იმავე საფუძველით კომპენსაციის დანიშვნა განხილულ უნდა იქნეს კომპენსაციის აღდგენა/განახლებად, რაც თავის მხრივ მოიაზრებს უკვე არსებულის გაგრძელებას ანუ, მოცემული შემთხვევისთვის – 2002 წელს დანიშნული კომპენსაციის გაცემის გაგრძელებას, შესაბამისად, 2002 წელს დანიშნულ კომპენსაციაზე უნდა გავრცელდეს იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა და მოსარჩელე იმ უფლებებში უნდა აღდგეს, რაც მას უკვე მოპოვებული ჰქონდა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქვედა ინსტანციების სასამართლოების ხსენებული მოსაზრებები დაუსაბუ-

თებელია და არ ემყარება საკანონმდებლო საფუძველს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა განასხვავებს სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტისა და შეჩერების შემთხვევებს, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-18 მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერების და განახლების საფუძვლებს, ხოლო კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს შეწყვეტის საფუძვლებს. ამასთანავე, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ან მოქალაქეობის დაკარგვა წარმოადგენს სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტის და არა შეჩერების საფუძველს („სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 31-ე მუხ. „ზ“ ქვპ., „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 19.1. მუხ. „ზ“ ქვპ.). კომპენსაციის განახლება დასაშვებია კომპენსაციის შეჩერების შემთხვევაში (კანონის 30-ე მუხ., წესის 18.2 მუხ., 20.1 მუხ.), შეჩერებული კომპენსაციის განახლება მოხდება კომპენსაციის მიმღები პირის მიერ სააგენტოში კომპენსაციის განახლების თაობაზე განცხადების შეტანიდან მომდევნო თვეს და ანაზღაურდება წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა კომპენსაციის შეჩერების დღიდან, ხოლო კომპენსაციის შეწყვეტის შემთხვევაში ხდება მისი ახლიდან დანიშვნა, კომპენსაციის დანიშვნა ხდება კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად (წესის 19.3 მუხ.).

კომპენსაციის აღდგენას შესაძლოა ჰქონდეს ადგილი კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ასეთ შემთხვევაში კომპენსაციის შეწყვეტა თავისი არსით შესაძლოა მიჩნეული იქნეს კომპენსაციის შეჩერებად (სუს 02.07.2015წ. №ბს-77-75(კ-15)). რაც შეეხება განსახილველ დავას, კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მოცემულ შემთხვევაში არ გასაჩივრებულა, არ დადგენილა მისი უკანონობა, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა წარმოადგენს კომპენსაციის გაცემის შეწყვეტის საფუძველს. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ კომპენსაციის შეწყვეტა მოხდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის გამო. ამდენად, არ დგინდება ვ. კ-ისათვის კომპენსაციის შეწყვეტის უკანონობა, შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა კომპენსაციის აღდგენის შესახებ არ არის და-

საბუთებულო. ვინაიდან კომპენსაციის შეწყვეტის შემდეგ ხდება არა კომპენსაციის განახლება, არამედ ხელახალი დანიშვნა, შეწყვეტილი კომპენსაციის ხელახალი დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-19 მუხ.). ამდენად, დავის გადაწყვეტა საჭიროებს სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის კანონმდებლობით დადგენილი პირობების არსებობის დადგენას.

საქართველოს პრეზიდენტის 10.06.2014წ. №237 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების სახეები: დაბადება და ნატურალიზაცია, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია ნატურალიზაციის სახეები (მოქალაქეობის აღდგენა, მოქალაქეობის ჩვეულებრივი, გამარტივებული, საგამონაკლისო წესით მინიჭება), საქმის მასალებში არ მოიპოვება მოქალაქეობის შეწყვეტისა და მინიჭების აქტები. მოსარჩელისათვის საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების შემთხვევაში, რომელიც სხვა სახეობებისაგან განსხვავებით ითვალისწინებს სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებას, დადგენას საჭიროებს საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტისა და საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების მომენტი, ვინაიდან კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტისა და იმავდროულად საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების შესაძლებლობას (საქართველოს პრეზიდენტის 10.06.2014წ. №237 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ“ დებულების 34.5 მუხ.), ასეთ შემთხვევაში მოქალაქეობის დაკარგვასა და მინიჭებას შორის წყვეტის არარსებობის, ერთდროულობის გამო, შესაძლებელი იქნებოდა მოქალაქეობის შეწყვეტამდე არსებული სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის გაგრძელება, თუმცა ასეთი მოცემულობა საქმის მასალების მიხედვით არ დასტურდება. საქმეში არ მოიპოვება მოქალაქეობის შეწყვეტის და მინიჭების აქტები, თუმცა სასარჩელო განცხადებასა და სადავო აქტების შინაარსის მიხედვით იკვეთება, რომ მოსარჩელეს მოქალაქეობა შეუწყდა 09.09.2011წ. №500 ბრძანებულებით, ხოლო 03.12.13წ. №937 ბრძანებულებით

მას მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. თავდაპირველი კომპენსაციის აღდგენის საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შემდეგ ვ. კ-ი აგრძელებდა სახელმწიფო კომპენსაციის მიღებას. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 25.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, ვ. კ-ს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ არ უცნობებია სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის და განაგრძობდა კომპენსაციის მიღებას, სააგენტოსთვის აღნიშნულის შესახებ ცნობილი გახდა 2013 წლის ოქტომბერში სახელმწიფო სერვისების სააგენტოდან მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რის შემდეგაც ძველი თბილისის ცენტრის 01.11.13წ. გადაწყვეტილებით კომპენსაცია შეწყდა 1 ნოემბრიდან, ამასთანავე კანონის 38¹ მუხლის თანახმად, ზედმეტად (არასწორად) გაცემული კომპენსაცია დაექვემდებარა ლეგალიზაციას.

საქმის მასალებში არ მოიპოვება ვ. კ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის და შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტები, შესაბამისად არ ირკვევა მათი გამოცემის სამართლებრივი საფუძვლები. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა აღნიშნული საკითხების შესახებ შესატყვისი მტკიცებულებების გამოთხოვის და გაცნობის გარეშე. ას კ-ის 102.2 მუხლის თანახმად საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის შესაბამისად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არა დაშვებებსა და ვარაუდებს, არამედ სამართალწარმოების ფარგლებში მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. შესაბამისად, საქმეში დაცულ აქტებსა და მხარეთა ახსნა-განმარტებებში მითითებული გარემოება ვ. კ-ისათვის კომპენსაციის დანიშვნისა და შეწყვეტის, მოქალაქეობის დაკარგვისა თუ მინიჭების შესახებ დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი მტკიცებულებებით, რომელთა გამოთხოვით და მითითებული აქტების გამოცემის საფუძვლების გაცნობით შესაძლებელია სწორი სამართლებრივი დასკვნის გაკეთება. აღნიშნული ვალდებულებისაგან სასამართლოს არ ათავისუფლებდა ის გარემოება, რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა, სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ, თავდაპირველი მოთხოვნა სადავო აქტების ბათილად ცნობისა და აქტის გამოცემის დავალების შესახებ (სას კ-ის 23-ე, 33-ე მუხ.) შეცვალა და მოითხოვა სადავო აქტების ბათილად ცნობა და საკითხის ხელახალი განხილვის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დავალება. საკასაციო სასამართლო აღ-

ნიშნავს, რომ სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო არ უთითებს იმ გარემოებებზე, რომლებიც უნდა გამოეკვლია ადმინისტრაციულ ორგანოს და არ გამოიკვლია, სასამართლო შემოიფარგლა ნორმის განმარტების საჭიროებაზე მითითებით, თუმცა აღნიშნული ქმნის არა სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე საკითხის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების, არამედ სასამართლოს მიერ დავის არსებითად გადაწყვეტის საფუძველს, რომელსაც თავისთავად მოიცავს სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნა, ასეთ შემთხვევაში ადგილი არ აქვს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლების გაცდენას (სსკ-ის 248-ე მუხ.).

ვ. კ-ისათვის თავდაპირველად დანიშნული სახელმწიფოს გასაცემლის საფუძვლის დაუდგენლობის მიუხედავად სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი იგივე დარჩა. სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. სასარჩელო განცხადებაში ვ. კ-ი აღნიშნავს, რომ მისთვის კომპენსაციის დანიშვნის საფუძველს წარმოადგენდა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები, კერძოდ, ოფიცრები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში და სამხედრო რეზერვის პირველ თანრიგში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში. გასაჩივრებულ აქტებში, კერ-

ძოდ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.03.2015წ. №2015/1 გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ვ. კ-ს 2001 წლის 18 მარტიდან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების გამო დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო კომპენსაცია (უნყება შსს, სამსახური – საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის აფხაზეთის სამმართველოს უფროსი). სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სადავო 16.07.2015წ. №04/43592 გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ვ. კ-ს, როგორც საბაჟო დეპარტამენტის აფხაზეთის საბაჟო სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან 1999 წლის 28 სექტემბრიდან დათხოვნილ პირს, მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძველით, შსს-ს ხაზით 2002 წლის 18 მარტიდან დაენიშნა კომპენსაცია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძველს ქმნის იმ შემთხვევაში, თუ პირი განეკუთვნება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ პირთა წრეს, ასეთ შემთხვევაში შესაძლებლობის შეზღუდვა ქმნის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის დამატებით საშელავათო პირობებს. „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-3, მე-17 მუხლები ითვალისწინებენ შეზღუდული შესაძლებლობის გამო, სამსახურის ხანგრძლივობის მიუხედავად სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნას სამხედრო მოსამსახურეებისათვის, სასამართლოს არ დაუდგენია მოსარჩელისათვის, რომელიც იყო საბაჟო დეპარტამენტის სისტემის მუშაკი, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის პირობები. დაუსაბუთებელია კანონით განსაზღვრული კომპენსაციის მიღების უფლების მქონე სუბიექტთა წრისადმი მოსარჩელის კუთვნილება. საქმის მასალების მიხედვით ვ. კ-ს ეკავა აფხაზეთის საბაჟო დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა, რომელიც სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სისტემაში შედიოდა, შესაბამისად მოპასუხის მითითება ვ. კ-ისათვის თავდაპირველად სახელმწიფო კომპენსაციის შს სამინისტროს ხაზით დანიშვნის სამართლებრივ საფუძველზე გაურკვეველია.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში საკასაციო სასამართლო მოკლებულია სამართლებრივი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ამონმებს ფაქტობრივი და სამართლებ-

რივი თვალსაზრისით (სსკ-ის 377.1 მუხ.), განსხვავებით საკასაციო სასამართლოსგან, რომელიც არ არის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი ინსტანცია, რის გამოც საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები. პირველი ინსტანციის სასამართლო შემოიფარგლა ვ. კ-ის განცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვით. საქმეში არ მოიპოვება საპენსიო საქმის წარმოდგენის შეუძლებლობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, პირიქით, საკასაციო საჩივარში კასატორი თავის მოსაზრებებს აყალიბებს საპენსიო საქმის მასალებზე დაყრდნობით. შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვისას საპენსიო საქმის გამოთხოვისა და მასში არსებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ სადავო აქტების კანონიერების გარკვევის მიზნით სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ვ. კ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნის საფუძვლების არსებობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საბაჟო დეპარტამენტი, საიდანაც მხარეთა მითითებით 2002 წელს განთავისუფლდა ვ. კ-ი, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის 25.08.2000წ. №199 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ თანახმად სამართალდამცავი ორგანოს სტატუსის მქონე, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება იყო (1.1. მუხ.). აღნიშნული უწყებიდან დათხოვნილი პირების სოციალური უზრუნველყოფა პენსიის მიღების გზით გარანტირებული იყო საქართველოს საბაჟო კოდექსით (მიღებულია 14.11.1997წ., ძალა დაკარგა 01.01.2007წ.), რომელიც ადგენდა, რომ საბაჟო ორგანოს სახელმწიფო მოხელეებისა და მათი ოჯახის წევრების საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდებოდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით (168.3 მუხ.). „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 36.1 მუხლის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებამდე ძველი საკანონმდებლო აქტებით დანიშნულ და გაცემულ პენსიებს ეწოდა სახელმწიფო კომპენსაცია და მათი გაცემა გაგრძელდა, როგორც აღნიშნული კანონის შესაბამისად გაცემული კომპენსაცია. 2006 წლიდან ამოქმედებული „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტიდან დათხოვნილი პირების და მათი ოჯახის წევრებისათვის სახელმწიფო კომპენსაცი-

ის დანიშვნა-გაცემას. სწორედ აღნიშნულის გამო სადავო აქტებით ეთქვა უარი ვ. კ-ს კომპენსაციის დანიშვნაზე. ვ. კ-ი გათავისუფლებულია საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის აფხაზეთის საბაჟო სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან, შესაბამისად არ დასტურდება, რომ მოსარჩელე განეკუთვნებოდა იმ სუბიექტთან რეს, რომლებისთვისაც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულია კომპენსაციის მიღების უფლება. სადავო აქტის თანახმად ამჟამად ვ. კ-ი სახელმწიფო კომპენსაციის ნაცვლად იღებს ასაკის საფუძვლით პენსიას. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი დარჩა იგივე, რაც არსებობდა 2002 წელს პენსიის დანიშვნის დროს არ არის დასაბუთებული.

საფუძველს მოკლებულია აგრეთვე მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონი, ამ კანონის მიერ მისი მდგომარეობის გაუარესების გამო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის გამოყენებას არ გამორიცხავს „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 47.1 მუხლი, რომლის თანახმად ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ხსენებული ნორმა გულისხმობს კანონისთვის ნამდვილი (რეტროაქტიული) უკუძალის მინიჭებას, წარსულში მომხდარ და წარსულშივე დასრულებულ ურთიერთობებზე ზემოქმედებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. კანონი ეხება სოციალური უზრუნველყოფის ურთიერთობებს არა სოციალური გასაცემლის თავდაპირველი დანიშვნიდან („ex tunc“), არამედ კანონის ძალაში შესვლიდან (ე.წ. არანამდვილი უკუძალა), ახალი კანონი ზემოქმედებს დენადი სოცუზრუნველყოფის სამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებზე კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან („ex nunc“), რასაც არ გამორიცხავს „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 47-ე მუხლი. ახალი კანონი ვრცელდება არა მხოლოდ მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, არამედ აგრეთვე მის ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართალურთიერთობაზე, ახალი კანონი ზემოქმედებს მის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებზე მისი ძალაში შესვლის დღიდან (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.06.2012წ. გადაწყვეტილება „ხონიაკინა საქართველოს წინააღ-

მდეგ“).

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტიდან დათხოვნილი პირებისათვის სახელმწიფო კომპენსაციის გაცემას, რაც შეეხება „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონს, მოსარჩელე ზოგადად აღნიშნავს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად მისი მდგომარეობის გაუარესებაზე, მოსარჩელე არ უთითებს კონკრეტულ საკანონმდებლო აქტით შეტანილ ცვლილებას, რომლის მოქმედების გამოორიცხვასაც მის მიმართ მოითხოვს მოსარჩელე, არ იკვეთება ხსენებული კანონის ძველი რედაქციის ულტრააქტიურობა, გაურკვეველია აგრეთვე მოსარჩელის მიმართ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის გამოყენების არგუმენტაცია.

მოქმედი საპენსიო კანონმდებლობის თანახმად ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა უნდა წარმოადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს არანაირ პენსიას ან სოციალურ დახმარებას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 15.4 მუხ.). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვ. კ-ის სასარჩელო განცხადება ისე დაკმაყოფილდა, რომ სასამართლოს არ გაურკვევია მითითებული დანაწესის შესაბამისად ზემოაღნიშნული შინაარსის ცნობის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სახეზეა სს.კ-ის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა, რაც თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სს.კ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.02.2017წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიუღებელი პენსიის თანხის ანაზღაურების თაობაზე მიღებული აქტის კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-790-782(კ-16)

5 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ჯ-ემ 2014 წლის 30 სექტემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების ბოლნისის რაიონული განყოფილების მიმართ. მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების საა-

გენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების 2012 წლის პირველი ივლისის №2012/1 და 2012 წლის პირველი სექტემბრის №2013/1 გადაწყვეტილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 27 აგვისტოს №04/71985 წერილის ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების 2012 წლის 1 ივლისის №2012/1 გადაწყვეტილებით შეუჩერდა ასაკით პენსიის გაცემა „ბანკის ინფორმაციით ექვსი თვის მიუღებლობის გამო“. 2012 წლის 1 სექტემბრის №2013/1 გადაწყვეტილებით შეუწყდა პენსია. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილებები მოგვიანებით, მხოლოდ მისი მოთხოვნის შემდეგ 2012 წლის 22 აპრილს ჩააბარა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონულმა განყოფილებამ. შესაბამისად იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას მანამდე მოეთხოვა იმ გადაწყვეტილებების გაუქმება, რომლებმაც გააუარესეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა. 2013 წელს საკითხის განხილვისას ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მას არ ჰქონდა საშუალება ეჭვქვეშ დაეყენებინა სადავო აქტების კანონიერება, რადგან გადაწყვეტილებები მოგვიანებით ჩაბარდა მისი მოთხოვნის საფუძველზე. ამდენად, მოგვიანებით შეძლო სხენებული აქტების გასაჩივრება, თუმცა სოციალური მომსახურების სააგენტომ არ განიხილა მისი საჩივარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 27 აგვისტოს №04/71985 წერილი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ლ. ჯ-ის 2014 წლის 22 მაისის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა; სხვა მოთხოვნების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტის და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით განმარტებულია კონკრეტული ორგანოს ცნება. კერძოდ, კომპეტენტური ორგანო არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანო.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენს პენსიის დანიშვნა, მისი გაცემა, ორგანიზება, შეჩერება, განახლება, შეწყვეტა, გადაანგარიშება, აგრეთვე კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირება. ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან. ამავე კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსიის შეჩერების საფუძველია პირის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობა. ამავე კანონის მე-17 მუხლი ადგენს პენსიის შეწყვეტის საფუძველებს, კერძოდ პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძველის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული: ა) პირადი განცხადებით; ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში; გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, – პენსიის შეჩერების დღიდან; დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას; ე) პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას; ვ) პენსიონერის გარდაცვალებისას; ზ) პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ; თ) სხვა საფუძველით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობს.

კოლეგიამ განსახილველ შემთხვევაში დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების გადაწყვეტილებით ლ. ჯ-ეს ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობის საფუძველით შეუჩერდა დანიშნული სახელმწიფო პენსია, ხოლო შემდეგ შეუწყდა. სახელმწიფო პენსიის შეჩერების და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები მოსარჩელეს 2014 წლის 22 აპრილს ჩაბარდა. აღნიშნული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის მოთხოვნით მოსარჩელემ 2014 წლის 22 მაისს საჩივრით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. კოლეგიამ ასევე დაადგინა, რომ 2013 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით სააგენტოს არ განუხილავს სახელმწიფო პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხი, არამედ განიხილა სახელმწიფო პენსიის აღდგენისა და მიუღებელი პენსიის ანაზღაურების შესახებ საჩივარი. შესაბამისად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

ვალდებული იყო განეხილა ადმინისტრაციული საჩივარი და მიელო შესაბამისი გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ლ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს (სააპელაციო საჩივრის ფარგლებში) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 27 აგვისტოს №04/71985 წერილის ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს ლ. ჯ-ის 2014 წლის 22 მაისის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა;

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს განმეორებით მიმართა ლ. ჯ-ის წარმომადგენელმა (2014 წლის 21 აგვისტოს №85342 განცხადება), რომლითაც ითხოვდა ლ. ჯ-ის მიერ სააგენტოში მიმდინარე წლის 22 მაისის წარმოდგენილ საჩივარში (№52375) მითითებული გარემოებების ხელახლა განხილვას და ახალი აქტის გამოცემას. 28 მაისის №0443963 წერილით ლ. ჯ-ეს ეცნობა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის (ნაწილი პირველი) თანახმად, სააგენტოს არ გააჩნდა საჩივრის ხელახალი განხილვის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ასევე, აღნიშნული წერილით ლ. ჯ-ეს განემარტა, რომ მის მიერ წარმოდგენილი 2013 წლის 21 მაისის №57963 ადმინისტრაციული საჩივრის (ანალოგიური მოთხოვნა, ბოლნისის რაიონული განყოფილების ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2013 წლის 1 თებერვლამდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურება) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, სააგენტოს 2013 წლის 16 ივლისის №04/65777 გადაწყვეტილება მისთვის ცნობილი იყო.

ლ. ჯ-ის 2014 წლის 30 ივლისის №78307 განცხადებაზე, რომელიც ეხებოდა სააგენტოში წარმოდგენილ (2013 წელი) საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების საკითხს, პასუხი განმეორებით ეცნობა სააგენტოს 2014 წლის 11 აგვისტოს №04/67893

წერილით და განემარტა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები. 2014 წლის 21 აგვისტოს №85342 განცხადებით არ დასტურდებოდა, ლ. ჯ-ის მიმდინარე წლის 22 მაისს №52375 განმეორებით წარმოდგენილი საჩივრის ხელახალი განხილვის საფუძვლები, ასევე 2013 წლის 21 მაისის №57963 ადმინისტრაციულ საჩივარზე სააგენტოს 2013 წლის 16 ივლისის №04/65777 გადაწყვეტილება გაეგზავნა პირადად და განემარტა მისი გასაჩივრების პირობები. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება და მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელახლა უნდა შეესწავლა ლ. ჯ-ის 2014 წლის 22 მაისის ადმინისტრაციული საჩივარი, უსაფუძვლოა, ვინაიდან არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდგომ სააგენტომ 2013 წლის 16 ივლისს №04/65777 მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა მხარეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ჯ-ემ რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების 2012 წლის 1 ივლისის №2012/1 და 2012 წლის 1 სექტემბრის №2013/1 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ არ დააკმაყოფილა ადმინისტრაციული საჩივარი იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საჩივარში დაყენებულ საკითხზე მას მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება. თბილისის საქალაქო სასამართლომ სააგენტოს დაავალა ხელახლა მომხდარიყო ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს არ გააჩნდა საჩივრის ხელახალი განხილვის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რაც კასატორის მოსაზრებით არ შეესაბამება საქმის ვითარებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ლ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ლ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, ლ. ჯ-ე 2006 წლიდან იღებს სახელმწიფო პენსიას. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების 2012 წლის 1 ივლისის №2012/1 გადაწყვეტილებით ლ. ჯ-ეს 2012 წლის 1 ივლისიდან შეუჩერდა პენსია ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობის გამო. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების 2012 წლის 1 სექტემბრის №2013/1 გადაწყვეტილებით ლ. ჯ-ეს 2012 წლის 1 სექტემბრიდან შეუნყდა სახელმწიფო პენსია საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №01-46/ნ ბრძანების საფუძველზე. 2013 წლის 21 მაისს ლ. ჯ-ემ საჩივრით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა მის სასარგებლოდ ოთხი თვის სახელმწიფო გასაცემლის აღდგენა და დავალიანების ანაზღაურება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 16 ივლისის №04/65777 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ლ. ჯ-ეს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების 2012 წლის 1 სექტემბრის №2013/1 გადაწყვეტილება სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის შესახებ მოსარჩელეს ჩაბარდა 2014 წლის 22 აპრილს. ლ. ჯ-ემ 2014 წლის 22 მაისს საჩივრით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების 2012 წლის 1 ივლისის №2012/1 – სახელმწიფო პენსიის შეჩერებისა და 2012 წლის 1 სექტემბრის №2013/1 – სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 27 აგვისტოს №04/71985 წერილით ლ. ჯ-ეს ეცნობა, რომ სააგენტოს ლ. ჯ-ის განმეორებითი საჩივრის ხელახლა განხილვის საფუძველი არ გააჩნდა. ვინაიდან, 2013 წლის 16 ივლისის №04/65777 გადაწყვეტილებით სააგენტომ იმსჯელა მოსარჩელის ანალოგიურ მოთხოვნებზე და ამასთან, არ დასტურდებოდა საჩივრის ხელახლა განხილვის საფუძველები.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ საქმეზე გასაჩივრებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების 2012 წლის 1 ივლისის №2012/1 და 2012 წლის 1 სექტემბრის №2013/1 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და ლ. ჯ-ის მოთხოვნა მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე გამომდინარეობს ერთი და იმავე სამართლებრივი საფუძვლებიდან და წარმოადგენს ერთი და იგივე დავის საგანს.

სახელმწიფო პენსიის აღდგენისა და მიუღებელი პენსიის ანაზღაურების შესახებ ლ. ჯ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ იქნა 2013 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება, რომელიც მხარეს არ გაუსაჩივრებია. ლ. ჯ-ემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების 2012 წლის 1 ივლისის №2012/1 გადაწყვეტილება სახელმწიფო პენსიის შეჩერებისა და 2012 წლის 1 სექტემბრის №2013/1 გადაწყვეტილება სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის შესახებ 2014 წლის 22 მაისს გაასაჩივრა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2014 წლის 27 აგვისტოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის საფუძველზე უარი ეთქვა 2014 წლის 22 მაისის საჩივრის განხილვაზე.

ლ. ჯ-ის 2014 წლის 30 სექტემბერს აღძრული სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების სახელმწიფო პენსიის შეჩერების შესახებ 2012 წლის 1 ივლისის №2012/1 გადაწყვეტილების, სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის შესახებ 2012 წლის 1 სექტემბრის №2013/1 გადაწყვეტილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 27 აგვისტოს №04/71985 წერილის ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 27 აგვისტოს №04/71985 წერილი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევა ლ. ჯ-ის 2014 წლის 22 მაისის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა; სხვა მოთხოვნების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია მოსარჩელეს და შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. ამდენად, საკასაციო

პალატას არ გააჩნია შესაძლებლობა იმსჯელოს სარჩელის იმ ნაწილზე, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა 2012 წლის 1 ივლისის №2012/1 და 2012 წლის 1 სექტემბრის №2013/1 გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საკითხი განმარტებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ №ბს-815-807(კ-16) საქმეზე 2017 წლის 25 მაისს გამოტანილ გადაწყვეტილებაში.

ამდენად, საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების მსჯელობის საგანს წარმოადგენდა მხოლოდ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 27 აგვისტოს №04/71985 წერილის კანონიერება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ლ. ჯ-ის 2014 წლის 22 მაისის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დავალება.

სადავო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 27 აგვისტოს №04/71985 წერილის თანახმად, ლ. ჯ-ე 2014 წლის 22 მაისის №52375 საჩივარში აპელირებდა, რომ სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების 2012 წლის 1 ივლისის №2012/1, 2012 წლის 1 სექტემბრის №2013/1 გადაწყვეტილებები ხელზე ჩაბარდა მიმდინარე წლის 22 აპრილს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრების ერთ თვიანი ვადის ათვლა უნდა მოხდეს აღნიშნული პერიოდიდან, 2014 წლის 22 აპრილიდან. შესაბამისად, ითხოვდა ბოლნისის რაიონული განყოფილების ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. აღნიშნულის პასუხად, სააგენტოს 2014 წლის 28 მაისის №0443963 წერილით ლ. ჯ-ეს ეცნობა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის (ნაწილი პირველი) თანახმად, სააგენტოს არ გააჩნდა საჩივრის ხელახალი განხილვის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ამასთან, აღნიშნული წერილით ლ. ჯ-ეს განემარტა, რომ მის მიერ წარმოდგენილი 2013 წლის 21 მაისის №57963 ადმინისტრაციული საჩივრის (ანალოგიური მოთხოვნა, ბოლნისის რაიონული განყოფილების ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2013 წლის 1 თებერვლამდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურება) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, სააგენტოს 2013 წლის 16 ივლისის №04/65777 გადაწყვეტილება მას გაეგზავნა. გარდა აღნიშნულისა ლ. ჯ-ის 2014 წლის 30 ივლისის №78307 განცხადებაზე, რომელიც ეხებოდა სააგენტოში წარდგენილ (2013 წელი) საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების საკითხს,

პასუხი განმეორებით ეცნობა სააგენტოს 2014 წლის 11 აგვისტოს №04/67893 წერილით და განემარტა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2014 წლის 21 აგვისტოს №85342 განცხადებით არ დასტურდებოდა, ლ. ჯ-ის 2014 წლის 22 მაისს №52375 განმეორებით წარდგენილი საჩივრის ხელახალი განხილვის საფუძვლები. ამასთან, 2013 წლის 21 მაისის №57963 ადმინისტრაციულ საჩივარზე სააგენტოს 2013 წლის 16 ივლისის №04/65777 გადაწყვეტილება გაეგზავნა პირადად და განემარტა მისი გასაჩივრების პირობები.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ერთსა და იმავე საკითხზე განცხადების ხელახლა წარდგენის წესი გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზედაც უარი ითქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებას, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების 2012 წლის 1 ივლისის №2012/1 და 2012 წლის 1 სექტემბრის №2013/1 გადაწყვეტილებების საფუძველზე მიუღებელი პენსიის თანხის ანაზღაურების თაობაზე ლ. ჯ-ის მოთხოვნაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 2013 წლის 16 ივლისს მიიღო №04/

65777 გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების არსებობა წარმოადგენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ლ. ჯ-ის 2014 წლის 22 მაისის საჩივარზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველი

გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-259-259(კ-18)

2 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (მომხსენებელი, თავმჯდომარე),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სახელმწიფო პენსიის აღდგენა, მიუღებელი პენ-
სიის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

12.08.2016წ. ვ. ქ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-
ას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მი-
მართ. სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ მოსარჩელემ
მოითხოვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის
სოციალური მომსახურების ცენტრის 25.07.2016. №04-00-დ/31924
გადანყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ სოციალური მომსახუ-
რების სააგენტოსათვის 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო პენ-
სიის დანიშვნის შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტის გამოცემის, აგრეთვე 2016 წლის 1 აგვისტოდან მიუღებე-
ლი სახელმწიფო პენსიის და 01.12.2013წ. – 01.08.2016წ. მიუღებე-
ლი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურების დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 03.04.2017წ. გადანყვეტილებით სარჩელი დაკმაყო-
ფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური
მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების
ცენტრის 25.07.2016. №04-00-დ/31924 გადანყვეტილება, სსიპ სა-
ქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ახა-
ლი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გა-
მოცემა, ვ. ქ-ასთვის 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასა-
ცემლის დანიშვნისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწი-
ფო პენსიის თანხის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა სა-
სარჩელო მოთხოვნა 01.12.2013წ. – 01.08.2016წ. ზიანის ანაზღაუ-
რების დაკისრების შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ქ-ა 2010 წლის 24 სექტემბრიდან მუშაობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ სხვადასხვა პოზიციაზე. ვ. ქ-ამ 20.07.2016წ. განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილებას და მოითხოვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნა, რაზეც სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილების 25.07.2016წ. №20/2016 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ ვ. ქ-ა ახორციელებდა საჯარო საქმიანობას, დასაქმებული იყო სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, რომელიც წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და აღნიშნულ დანესებულებაში მუშაობა ითვლებოდა საჯარო საქმიანობად. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი მიღებული იყო სზაკ-ის მოთხოვნათა დარღვევით და საკასაციო სასამართლოს №ბს-77-75(კ-15) 02.07.2015წ. განჩინებაზე მითითებით აღნიშნა, რომ მოსარჩელე ვ. ქ-ა საქმიანობდა სამეცნიერო-კვლევით დანესებულებაში – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტაში“, მისი საქმიანობა არ ჩაითვლება საჯარო საქმიანობად, მისთვის პენსიის შეწყვეტა არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. შესაბამისად, ვ. ქ-ასთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარი ეწინააღმდეგება კანონს. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილების 25.07.2016წ. №20/2016 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2016 წლის 01 აგვისტოდან ვ. ქ-ასთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნის საფუძველი. არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე ზიანის ანაზღაურების თაობაზე იმ საფუძველით, რომ 2013 წლის 1 დეკემბრიდან სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის შესახებ ცნობილი იყო ვ. ქ-ასთვის, რაც მას არ გაუსაჩივრებია. მოსარჩელემ მხოლოდ 20.07.2016წ. მიმართა განცხადებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სერვის ცენტრს და მოითხოვა მისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნა. იმ პირობებში, როდესაც ძალაშია 2013 წლის 1 დეკემბრიდან ვ. ქ-ასთვის სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მისთვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან ზიანის სახით მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და ვ. ქ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.09.17წ. გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ვ. ქ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ვ. ქ-ას სასარგებლოდ ზიანის სახით 01.12.2013წ. – 01.08.2016წ. მიუღებელი თანხის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის ნაწილში. ამასთანავე მიიჩნია, რომ არასწორი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ვ. ქ-ას სასარგებლოდ ზიანის სახით 01.12.2013წ. – 01.08.2016წ. მიუღებელი თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და აღნიშნა, რომ ვ. ქ-ას 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსიის მიღება იმ საფუძვლით, რომ იგი საქმიანობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ იყო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულება, სადაც დასაქმება არ უნდა მიჩნეულიყო საჯარო საქმიანობად. ვინაიდან ვ. ქ-ას სახელმწიფო პენსიის გაცემა შეუწყდა არა საკუთარი ბრალეული და უკანონო ქმედებით, არამედ სახელმწიფო ორგანოს უკანონო ქმედების გამო, მას სრულად უნდა აუნაზღაურდეს შეწყვეტილი პერიოდის პენსიის თანხა, როგორც მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც მოსარჩელე მიიღებდა კანონდარღვევით რომ არ მომხდარიყო მისი შეწყვეტა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ქ-ას სარჩელი ზიანის სახით მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე უნდა დაკმაყოფილებულიყო და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უნდა დაევალოს ვ. ქ-ას სასარგებლოდ 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე პერიოდის მიუღებელი პენსიის ანაზღაურება.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

კასატორი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი მიუთითებს საკასაციო სასამართლოს №ბს-481-

478(2კ-17) განჩინებაზე და აღნიშნავს, რომ ზიანის სახით დაკისრებული თანხის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას. მოსარჩელეს 2013 წლის დეკემბერში შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა და მას სადავოდ არ გაუხდია კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება. პენსიის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით მას 2016 წლამდე არ მიუმართავს ორგანოსთვის. კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სსიპ სსსტ ცენტრ „დელტას“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად მიჩნევას. სსიპ სსსტ ცენტრ „დელტა“ არ არის „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. თავდაცვის მინისტრის 15.08.2015წ. №25 ბრძანებით დამტკიცებული იქნა სსიპ სსსტ ცენტრ „დელტას“ წესდება, რომლითაც არ არის გათვალისწინებული მისი სამეცნიერო ფუნქცია. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 09.02.2017წ. №04/8010 წერილით მიმართა „დელტას“ და 27.02.2017წ. №338 წერილობითი პასუხით ადმინისტრაციულმა ორგანომ უარყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ბუნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი თვლის, რომ არასწორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სსსტ ცენტრ „დელტა“ მიჩნეული იქნა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად, რის გამოც ვ. ქ-ას სწორად ეთქვა უარი სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე.

საკასაციო სასამართლოს 21.06.2018წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 25.07.2016წ. №04-00-დ/31924 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის ვ. ქ-ას სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, მითითებულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.09.2017წ. გადაწყვეტილება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ვ. ქ-ას სასარგებლოდ 01.12.2013წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებულ ნაწილში განსხვავდებოდა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასა-

მართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (სუს №ბს-481-478(2კ-17) 20.07.2017წ. განჩინება), რაც 34.3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობას წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების, გასაჩივრებული გადაწყვეტილების და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში საფუძვლიანია, ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით უარი უნდა ეთქვას ვ. ქ-ას სარჩელის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის, მამაკაცებისათვის – 65 წლის ასაკის მიღწევა. ვ. ქ-ა 16.04.1939წ. დაიბადა, შესაბამისად ის არის სახელმწიფო პენსიის მიღების უფლების მქონე სუბიექტი. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 13.1 მუხლის მიხედვით, პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადება კომპეტენტურ ორგანოს წარედგინება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად. პენსია ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვეში ან შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ვ. ქ-ა (დაბ. 16.04.1939წ.) მუშაობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ (კერძოდ, 2010/09 – 2014/09 – საქესპლუატაციო განყოფილების მთავარ სპეციალისტად, 2014/09 – 2016/12 – საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის პროდუქტების მინოდების მომსახურების სამმართველოს სპეციალისტად (მტატგარეშე) და იღებდა ასაკობრივი საფუძვლით დანიშნულ სახელმწიფო პენსიას. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო ვ. ქ-ას 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსიის გაცემა. ვ. ქ-ამ 20.07.2016წ, განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილებას და მოითხოვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნა, რაზედაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილების 25.07.2016წ. №20/2016 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა. უარის საფუძვლად მიეთითა ის გარემოება, რომ ვ. ქ-ა მუშაობდა სსიპ სსსტ ცენტრ „დელტაში“, სადაც საქმიანობა ითვლებოდა საჯარო

სამსახურში საქმიანობად, აღნიშნული გარემოება გამოორიცხავდა პარალელურად სახელმწიფო პენსიის მიღებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 25.07.2016წ. №04-00-დ/31924 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2016 წლის 01 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის ვ. ქ-ას სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში, ვინაიდან გადაწყვეტილების ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი საკასაციო სასამართლოს 21.06.2018წ. განჩინებით არ იქნა დაშვებული, რის გამოც საკასაციო პალატის შეფასების საგანია გადაწყვეტილების კანონიერება მხოლოდ ვ. ქ-ას სასარგებლოდ 01.12.2013წ. – 01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 25.07.2016წ. №20/2016 გადაწყვეტილების გაუქმება უკანონობის გამო არ ადასტურებს სახელმწიფო პენსიის შეწყვეტიდან – 2013 წლის 01 დეკემბრიდან 2016 წლის 01 აგვისტომდე ვ. ქ-ასთვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძვლის არსებობას. შეწყვეტილი პერიოდის პენსიის თანხის სრულად ანაზღაურების საფუძველს არ ქმნის აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო პენსიის გაცემა შეწყდა არა ვ. ქ-ას ბრალეული და უკანონო ქმედებით, არამედ სახელმწიფო ორგანოს უკანონო ქმედების გამო.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში (5.3, მე-17 მუხ.). იგივე დათქმას შეიცავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2008წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესები“ (5.2 მუხ., 19.1 მუხ. „ბ“ ქვბ.). მოსარჩელეს 2016 წლამდე არ წარუდგენია პრეტენზია 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტილ პენსიასთან დაკავშირებით. ცხადია, რომ პენსიის შეწყვეტა, საპენსიო ყოველთვიური თანხის გაუცემლობით იყო ცნობილი მოსარჩელისათვის, აღნიშნულის მიუხედავად მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია პენსიის შეწყვეტა სზაკ-ის 180-ე მუხლით დადგენილ ერთთვიან ვადაში. მოთხოვნის დაკმაყოფილების კანონიერებას არ ადასტურებს სააპელაციო პალატის მითითება აქტის

ადრესატისათვის ჩაბარების დაუდასტურებლობის შესახებ. აღნიშნული შესაძლოა გამხდარიყო აქტის კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების ერთთვიანი ვადის აღდგენის და არა მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან 2013 წლიდან პენსიის შეწყვეტა ვ. ქ-ას არ გაუსაჩივრებია უკანონო ადმინისტრაციული აქტის (სასკ-ის 22-ე მუხ.) ან ვირტუალური უკანონო ადმინისტრაციული აქტის (სზაკ-ის 177-ე მუხ.) ან უკანონო ქმედების (რეალაქტის) (სზაკ-ის 24-ე მუხ.) სახით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველასათვის გარანტირებულია ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება. ვ. ქ-ას არ მიუმართავს არც შიდა და არც გარე ადმინისტრაციული კონტროლის საშუალებებისათვის, მას არ მიუმართავს ზემდგომი ორგანოსათვის ადმინისტრაციული საჩივრით, არ აღუძრავს სასამართლოში სარჩელი. სზაკ-ის 60¹.3 მუხლის თანახმად აქტის ბათილად ცნობაზე უფლებამოსილი სუბიექტებია: უშუალოდ აქტის გამომცემი ორგანო, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო და სასამართლო. კონფლიქტის გადაჭრის ადმინისტრაციული და სასამართლოს საშუალებები ზემოქმედებენ და ავსებენ ერთმანეთს, სასამართლო იურისდიქციის არსებობა არ გამორიცხავს ადმინისტრაციული წესით აქტის გასაჩივრების უფლებას, რომელიც პირის არა მხოლოდ უფლებაა, არამედ იმავდროულად მისი უფლებების დაცვის საშუალებაც. განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება, რომ 2016 წლის ივლისის თვემდე ვ. ქ-ამ პენსიის შეწყვეტა ანუ მისი უფლებების ხელყოფა რაიმე ფორმით სადავოდ გახადა ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში. საქმის მასალებით არ დასტურდება ვ. ქ-ას სასამართლოსადმი მიმართვის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა.

პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ პენსიის დანიშვნაზე გადაწყვეტილება მიიღება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით და „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ პენსია ხელახლა ინიშნება საერთო წესით („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 16.2 მუხ., 14.2 მუხ., ამჟამად მოქმედი „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 9.3 მუხ.), შეწყვეტიდან პენსიის ხელახლა დანიშვნამდე სახელმწიფო გასაცემელი არ ინიშნება.

პენსიის შეწყვეტის საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე საფუძვლის პენსიის დანიშვნა არ ნიშნავს პენსიის აღდგე-

ნას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პენსიის განახლება დასაშვებია პენსიის შეჩერების შემთხვევაში („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხ.), შეჩერებული პენსიის განახლება მოხდება პენსიის მიმღები პირის მიერ სააგენტოში პენსიის განახლების თაობაზე განცხადების შეტანიდან მომდევნო თვეს და ანაზღაურდება წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან, ხოლო პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში ხდება მისი ახლიდან დანიშვნა.

პენსიის აღდგენას და, მაშასადამე, გასული პერიოდისათვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებას შესაძლოა ჰქონდეს ადგილი პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ასეთ შემთხვევაში პენსიის შეწყვეტა თავისი არსით შესაძლოა მიჩნეულ იქნეს პენსიის შეჩერებად (სუს 02.07.2015წ., №ბს-77-75(კ-15)). რაც შეეხება განსახილველ დავას, პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მოცემულ შემთხვევაში არ გასაჩივრებულა, არ დადგენილა მისი უკანონობა. მოსარჩელემ მოითხოვა მხოლოდ სააგენტოს 25.07.2016წ. სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის ბათილად ცნობა. მოცემულ შემთხვევაში უკანონოდ არის ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 25.07.2016წ. №04-00-დ/31924 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ვ. ქ-ას უარი ეთქვა სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნაზე, ძალაშია გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ქ-ას 2013 წლის 01 დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსიის მიღება, შესაბამისად, არ არსებობს ზიანის ანაზღაურების პირობა – მართლწინააღმდეგობა, ამდენად, არ არსებობს მოსარჩელის სასარგებლოდ 2013 წლის 01 დეკემბრიდან მიუღებელი პენსიის ზიანად მიჩნევის და მისი მოსარჩელისათვის ანაზღაურების პირობა. მოცემული დავის საგანია სააგენტოს 25.07.2016წ. №20/2016 გადაწყვეტილების კანონიერება, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით სასამართლომ ბათილად ცნო ხსენებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა და მიუღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება იმ პერიოდიდან, როდესაც მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სააგენტოს სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუნდაც უკანონო, იწვევს სამართლებრივ შედეგებს, ამასთანავე, ვინაიდან სახელმწიფო პენსიის შეწყვეტა არ გასაჩივრებულა და ძალაშია, არ არსებობს მისი უკანონოდ მიჩნევის სამართლებრივი საფუძველი. საკასაციო პალატა

აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული სამართალური თეორიების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ. პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშვნას, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში პენსიის დანიშვნა ხდება პენსიის დანიშვნის შესახებ პირის განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსთვის მიმართვის საფუძველზე. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტის შედეგების აღმოფხვრა, სახელმწიფო პენსიის გაცემის აღდგენა საჭიროებდა პენსიის შეწყვეტის გასაჩივრებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად, არ დგინდება პენსიის შეწყვეტის უკანონობა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება პენსიის აღდგენის შესახებ არ არის დასაბუთებული. ვინაიდან პენსიის შეწყვეტის შემდეგ ხდება არა პენსიის განახლება, არამედ ხელახალი დანიშვნა, შეწყვეტილი პენსიის ხელახლა დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ ვ. ქ-ას მიერ პენსიის შეწყვეტაზე პრეტენზიის 20.07.2016წ. წარდგენით მან მოიპოვა პენსიის მიღების უფლება მიმართვის მომდევნო თვიდან („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 14.2 მუხ.) და არა 2013 წლის 1 დეკემბრიდან. პენსიის შეწყვეტას ვ. ქ-ა დაეთანხმა მისი გაუსაჩივრებლობით, რის გამოც 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის სახით თანხის ანაზღაურების მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულის გამო არ არსებობს 01.12.2013წ.-01.08.2016წ. პერიოდში მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველები. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეესაბამება მითითებულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას (იხ. სუს №ბს-481-478(2კ-17) 20.07.2017წ., №ბს-887-883(კ-17) განჩინებები). სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება საკასაციო სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, სახეზეა დივერგენცია, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს №ბს-481-478 საქმეზე გამოტანილ 20.07.2017წ. განჩინებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა წარსული პერიოდის მიუღებელი პენსიის ანაზღაურების მოთხოვნა და სააგენტოს დაევალა მიუღებელი პენსიის ანაზღაურება მოთხოვნით მიმართვაზე უარის თქმის მომდევნო პერიოდში.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ დასაშვებად ცნობილ ნაწილში სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების და სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. სასკ-ის 9.1 მუხლის საფუძველზე მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-9 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411 -ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.09.2017წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა ვ. ქ-ას სარჩელი 01.12.2013წ.-01.08.2016წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ქ-ას სარჩელი 01.12.2013წ.-01.08.2016წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სახელმწიფო კომპენსაცია

სახელმწიფო კომპენსაციის ღანიშვნის საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-942-938(კ-17)

12 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 25 მარტს ნ. ქ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 1993 წლის 26 მარტს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, შსს ... სამმართველოს შენობაში, თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა მისი მეუღლე – პოლიციის ლეიტენანტი მ. ქ-ე. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დაწინაშე მოითხოვა, თუმცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/39 გადაწყვეტილებით უსაფუძვლოდ ეთქვა უარი მეუღლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების ფაქტის დადგენა-დადასტურებაზე, რაც გასაჩივრებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სა-

მინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის 2016 წლის 12 თებერვლის №354830 წერილით, არასწორად განიმარტა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტი, კერძოდ, მისი მეუღლის გარდაცვალება არ იქნა მიჩნეული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალებად და შესაბამისად, არასწორად ეთქვა უარი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვლილი პოლიციის თანამშრომლის მეუღლეს.

მოსარჩელის მითითებით, საჩივარში აღნიშნული გარემოებები და მტკიცებულებები არ იქნა სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი არ შეიცავს იმ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სადავო საკითხის გადაწყვეტისათვის. საჩივარს ერთვოდა სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დადგენილად არის მიჩნეული, რომ მოსარჩელის მეუღლე დაიღუპა ... პოლიციის შენობაში, სამსახურებრივ რეიდზე გასვლის წინ, მისთვის სატაბელო იარაღის გადაცემისას. განაჩენით უტყუარად არის დადგენილი მისი დაღუპვა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. აღნიშნული განაჩენები 20 წელზე მეტია შესულია კანონიერ ძალაში და მიღებული გადაწყვეტილებები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, არასდროს არ შეცვლილა და არ გადასინჯულა. მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტის არასწორად განმარტება გამოიხატა შემდეგში: აღნიშნულ მუხლში მითითებულია ჩამონათვალი იმ გარემოებების, რაც ითვლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებად. ერთ-ერთი ასეთი გარემოებაა პრევენციული ღონისძიების განხორციელება. მოსარჩელის მოსაზრებით, მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის განაჩენით მიჩნეული გარემოებებით, უტყუარად არის დადგენილი, რომ მ. ქ-ე დაიღუპა ... პოლიციის შენობაში, გამოცხადდა რა თავისი პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად – რეიდზე გასასვლელად. სატაბელო იარაღის მიღებისას, იმ მომენტში, როდესაც ხელს აწერდა იარაღის მიღების ყურნალში, იგი დაიღუპა პოლიციელ ვ. ჯ-ის გაუფრთხილებელი გასროლის შედეგად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უგულებელყო განაჩენით დადგენილი ისეთი გარემოება, როგორიცაა მისი მეუღლის დაღუპვა რეიდზე გასვლისას. რეიდზე გასვლა დაკავშირებულია დანაშაულის აღკვეთის ღონისძიებასთან, კონტროლსა და ზედამხედველობასთან, რასაც ახორციელებენ რეი-

დის მონაწილენი, რაც უდავოდ იქნა მიჩნეული პრევენციულ ღონისძიებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/39 გადაწყვეტილების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის 2016 წლის 12 თებერვლის №354830 წერილის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ... პოლიციის სამმართველოს ... ოპერატიული ინსპექციის უფროსის მოადგილემ ნ. ქ-ე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, 1993 წლის ... გარდაიცვალა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ... პოლიციის სამმართველოს შენობაში, სამმართველოს მორიგის მიერ „მაკაროვის“ სისტემის იარაღიდან გაუფრთხილებელი გასროლით თავის არეში მიყენებული ჭრილობის შედეგად.

ნ. ქ-ემ, როგორც მ. ქ-ის მეუღლემ, განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოჯახის წევრის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაციის მისაღებად საჭირო აქტის გამოცემის მოთხოვნით.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/39 გადაწყვეტილებით ნ. ქ-ის მოთხოვნა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სა-

მინისტროს მოსამსახურე მ. პ. ძე ქ-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურებაზე არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის 2016 წლის 12 თებერვლის №354830 წერილით ნ. ქ-ეს მის მიერ 2015 წლის 8 დეკემბრის №9/39 გადაწყვეტილებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის პასუხად განემარტა, რომ კომისიის მიერ სადავო გადაწყვეტილება მიღებულია საქმის გარემოებათა განხილვის შედეგად, კანონის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/39 გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, კომისიამ მ. ქ-ის გარდაცვალებასთან მიმართებით არ დაადასტურა მისი ოჯახის წევრისათვის სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის საფუძველი.

სასამართლოს მითითებით, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძველზე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს. დასახელებული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპული ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის ოჯახის წევრს სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება წარმოეშობა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტი ითვალისწინებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას კონკრეტულ ვითარებაში პირის დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევებს, კერძოდ, ამ კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების განხორციელებისას, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავეს შეპყრობისას, დამნაშავეობასთან ბრძოლისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკებისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან

დაკავშირებით თავდასხმისას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას პოლიციელის დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევებს.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით განსაზღვრული შემთხვევის დადგენა გულისხმობს უშუალო მიზეზობრივი კავშირის დადგენას ამ მუხლში მითითებულ კონკრეტულ ქმედებასა და პირის გარდაცვალებას შორის.

ამასთან, სასამართლოს მითითებით, საგულისხმოა, რომ ხსენებულ ნორმაში ასახულ ქმედებებზე ვერ ჩაითვლება შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის სამსახურებრივი საქმიანობის ნებისმიერი შემთხვევა მისი მიზნებიდან გამომდინარე. ამგვარი მოსაზრების საფუძველია კანონმდებლის ნება, ერთმანეთისაგან იქნეს გამიჯვრული შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპვა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალება და მისგან გამომდინარე სოციალური გარანტიები („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), რაც არ წარმოშობს კომპენსაციის მიღების უფლებას და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განსაკუთრებულ ვითარებაში დალუპვა და მისგან გამომდინარე გარანტიები („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტი), რაც კომპენსაციის დანიშვნის საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ქ-ე გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ... პოლიციის სამმართველოს შენობაში, სამმართველოს მორიგის მიერ „მაკაროვის“ სისტემის იარაღიდან გაუფრთხილებელი გასროლით თავის არეში მიყენებული ჭრილობის შედეგად, რაც არ წარმოადგენს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტებით მოპასუხემ მართლზომიერად არ დააკმაყოფილა ნ. ქ-ის მოთხოვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ქ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 22 მარტის სხდომაზე აპელანტმა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენ-

საციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/39 გადაწყვეტილების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის 2016 წლის 12 თებერვლის №354830 წერილის ბათილად ცნობა და მ. ქ-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დალუპვის ფაქტის აღიარება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/39 გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის 2016 წლის 12 თებერვლის №354830 წერილი; მ. ქ-ე ცნობილ იქნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დალუპულად.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მხარეთა შორის სამართლებრივ დავას ინვესტ შემდეგი გარემოება: არსებობს თუ არა აპელანტისათვის (მოსარჩელე) „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი. უფრო კონკრეტულად კი, მ. ქ-ის გარდაცვალების ფაქტი ექცევა თუ არა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტის მოქმედების ფარგლებში.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით ამ კანონის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიების დადგენა მათ მიერ სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსა-

ხურის გავლის გამო, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო. ამასთან, ამავე კანონის მე-3 მუხლი ადგენს იმ ძირითად პრინციპებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ ამა თუ იმ პირისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების განსაზღვრისას. ეს პრინციპებია: სამართლიანობა, კანონის წინაშე თანასწორობა, მუდმივობა, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების სახელმწიფო გარანტია.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის მოთხოვნის უფლება აქვთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს. ამგვარად, კანონმდებლის ნებას წარმოადგენს მხოლოდ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში გაიცეს სახელმწიფო კომპენსაცია კანონით დადგენილი წესითა და პირობებით.

სააპელაციო პალატამ აქვე მიუთითა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გარდა ამ მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პოლიციელის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარისა და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს. ხოლო ამავე მუხლის 1¹ პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, ამ კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების განხორციელებისას, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავეის შეპყრობისას, დამნაშავეობასთან ბრძოლისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ან/და საბრძოლო მოქმედებების

დროს შეტაკებისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმისას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას პოლიციელის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 000 ლარის ოდენობით და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმ ნაწილში, რომ ზემოხსენებულ ნორმაში ასახულ ქმედებებად ვერ ჩაითვლება შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის სამსახურებრივი საქმიანობის ნებისმიერი შემთხვევა. ამგვარი მოსაზრების საფუძველია კანონმდებლის ნება, ერთმანეთისაგან იქნეს დიფერენცირებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალება და მისგან გამომდინარე სოციალური გარანტიები („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), რაც არ წარმოშობს კომპენსაციის მიღების უფლებას და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განსაკუთრებულ ვითარებაში დაღუპვა და მისგან გამომდინარე გარანტიები („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტი), რაც კომპენსაციის დანიშვნის საფუძველია.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის სადავოა, ექცევა თუ არა მ. ქ-ის გარდაცვალება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იმ პირობებში, როდესაც დადგენილია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მ. ქ-ის გარდაცვალების ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია იმის შესახებ, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოიაზრება მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც პოლიციელის გარდაცვალებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თან სდევს პოლიციელის გამირობით გამორჩეული ქმედებები, რადგან ამგვარ დანაწესს არ შეიცავს მითითებული ნორმა და ასეთი არც ნორმის ლოგიკური შინაარსიდან და არც მისი მიზნებიდან გამომდინარე-

ობს. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილია და არ არის სადავო, რომ 1993 წლის ...-ს, საქართველოს რესპუბლიკის შს სამინისტროს ... პოლიციის სამმართველოს შენობაში, ცეცხლსასროლი იარაღების შესანახ და გასაცემ ოთახში, ამავე პოლიციის მორიგე ინსპექტორი ცეცხლსასროლ იარაღს ურიგებდა თანამშრომლებს, რეიდზე გასასვლელად. მ. ქ-ე გარდაიცვალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ... პოლიციის სამმართველოს შენობაში, სამმართველოს მორიგის მიერ, „მაკაროვის“ სისტემის იარაღიდან გაუფრთხილებელი გასროლით თავის არეში მიყენებული ჭრილობის შედეგად. შესაბამისად, სახეზეა მ. ქ-ის გარდაცვალება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების განსახორციელებლად დაწყებული მოქმედებების დროს, რაც ქმნის კანონისმიერ წინაპირობას იმისათვის, რომ მ. ქ-ის გარდაცვალების ფაქტი მოექცეს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტის რეგულაციაში.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია იმის შესახებ, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1 პუნქტით და ამავე მუხლის 1¹ პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო კომპენსაციის უფლების მქონე გარდაცვლილ პოლიციელთა წრე (სუბიექტები) არ არის ერთი და იგივე. ამასთან, პალატამ არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია იმის შესახებ, რომ ამ სუბიექტთა წრე იმიჯნება იმ ნიშნით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელი გამირულად გარდაიცვალა თუ არა. პალატა მიუთითებს, რომ კანონით განსაზღვრული ჩამონათვალი მოიცავს ასევე, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან პრევენციული ღონისძიების განხორციელებისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას, თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევასაც.

შესაბამისად, სადავო შემთხვევაში, კომისიის მხრიდან, პოლიციელის გარდაცვალების ფაქტის შეფასება მოცემულ სიტუაციაში არ ეფუძნება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონით და „პოლიციის შესახებ“ კანონით ამგვარი შეფასების გაკეთებისათვის დადგენილ ობიექტურ კრიტერიუმებს, შესაბამისად, ის არის მხოლოდ კომისიის წევრთა სუბიექტური შეფასება და მის საფუძველზე კომისიის მიერ გაკეთებული დასკვნა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნისას სამართლიანობის, კანონის წინაშე თანასწორობის, მუდმივობისა და კომპენსაციის მიღების სახელმწიფო გარანტიის კანონით დადგენილი პრინციპების რეალიზაციას.

„პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების მიხედვით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გარდა ამ მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პოლიციელის დალუპვის შემთხვევაში მისი ოჯახის წევრებს ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია, რაც იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება ყველა იმ პოლიციელზე, რომელიც გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მაგრამ მისი სამსახურებრივი საქმიანობა არ იყო დაკავშირებული ამავე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიური და მომეტებული საფრთხის შემცველი უფლებამოსილებების განხორციელებასთან.

სააპელაციო პალატის განმარტებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მიზნისა და პრინციპების უგულებელყოფით ეთქვა მოსარჩელეს უარი სახელმწიფო კომპენსაციაზე, რაც ეწინააღმდეგება, როგორც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონს, ასევე არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებულ საკუთრების უფლებას, იმდენად, რამდენადაც სახეზეა სახელმწიფო კომპენსაციის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად განმარტა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტი, როდესაც მსჯელობს, რატომ უნდა გავრცელდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ გარდაცვლილ მოსამსახურე მ. ქ-ის ოჯახის წევრისათვის (მეუღლისათვის) „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ სახელმწიფოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი და მიიღო დაუსაბუთებელი და კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში დავის სწორად გადაწყვეტისათვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია „პოლიციის შე-

სახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ამავე მუხლის 1¹ პუნქტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. რადგან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით (რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს კომპენსაციის მიღებას), სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული ან მიღებული ჭრილობების შედეგად დაღუპული პოლიციელის ოჯახის წევრს, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება წარმოეშობა, როდესაც პოლიციელი დაღუპულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში.

კასატორის განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში დავას ინვესტს მხოლოდ ის გარემოება, მ. ქ-ის გარდაცვალება ექცევა თუ არა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იმ პირობებში, როდესაც სადავო არ არის მ. ქ-ის გარდაცვალება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. 50-ე მუხლის პირველი პუნქტის დეფინიცია არის უფრო ფართო მოცულობის, რომელიც განსაზღვრავს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შსს-ს მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევებს (მათ შორის, პოლიციელის გარდაცვალება ავტოავარიის დროს), ხოლო რაც შეეხება 50-ე მუხლის 1¹ პუნქტს, აქ გამოყოფილია კონკრეტულად ის შემთხვევები, რომელსაც შედეგად მოჰყვა პოლიციელის დაღუპვა, კერძოდ: პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავეს შეპყრობისას, დამნაშავეობასთან ბრძოლისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკებისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმისას, ადამიანის სიცოცხლის ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას პოლიციელის დაღუპვა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალება ანუ 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით იმპერატიულად არის განსაზღვრული იმ შემთხვევათა ჩამონათვალი, რომლებიც ექცევა მითითებული ნორმის რეგულაციაში. იმისათვის, რომ გარდაცვლილი პოლიციელის ოჯახის წევრზე გავრცელდეს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი რეჟიმი, მნიშვნელოვანია დადგინდეს ორი გარემოება: 1. პოლიციელის გარდაცვალება ამ ნორმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ შემთხვევაში; 2. უშუალოდ ამ შემთხვევის შედეგად ანუ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგენა გულისხმობს უშუალო მი-

ზეზობრივი კავშირის დადგენას ამ მუხლში მითითებულ კონკრეტულ ქმედებასა და პირის გარდაცვალებას შორის. აღნიშნულ ნორმაში ასახულ ქმედებებზე ვერ ჩაითვლება შსს-ს მოსამსახურის სამსახურებრივი საქმიანობის ნებისმიერი შემთხვევა მისი მიზნებიდან გამომდინარე.

კასატორის მითითებით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით განსაზღვრული ჩამონათვალი გულისხმობს ობიექტური საფრთხის პირობებში, უშუალოდ პოლიციური ღონისძიებების განხორციელების პროცესში, პოლიციელის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევას. ობიექტური საფრთხე იმ შემთხვევაში არის სახეზე, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ საქმის გარემოებები ან მოვლენების შეუფერხებელი განვითარება გამოიწვევს „პოლიციის შესახებ“ კანონით დაცული სიკეთისათვის ზიანის მიყენებას.

კონკრეტულ შემთხვევაში, მართალია, მ. ქ-ე გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თანამშრომლის მიერ შემთხვევით გასროლილი ტყვიის მოხვედრის შედეგად, მაგრამ სახეზე არ გვაქვს ობიექტური საფრთხის არსებობის პირობებში, უშუალოდ პოლიციური ღონისძიებების განხორციელების დროს გარდაცვალება, რაც არ წარმოადგენს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას.

კასატორის განმარტებით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 1¹ პუნქტიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციელის ოჯახის (მემკვიდრეების) მიმართ სოციალურ გარანტიებს ითვალისწინებს, მაგრამ მათ შორის განსხვავება რომ არ იყოს, აზრი არ ექნებოდა მაშინ ამ ორი ნორმის ერთდროულად არსებობას. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლში 1¹ პუნქტის დამატების მიზეზი იყო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ობიექტური საფრთხის პირობებში, უშუალოდ პოლიციური ღონისძიებების განხორციელების პროცესში, პოლიციელის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში, როგორც კანონმდებელი განმარტებით ბარათში მოიხსენიებს, „გმირულად დაღუპული“ პოლიციელების ოჯახებისათვის გაზრდილი ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა. ამ ნორმის განმარტებით ბარათში ეს გარკვევით არის ჩამოყალიბებული, როგორც კანონპროექტის მიღების მიზეზის განმარტებაში, ასევე „შედეგებთან ნაწილში – „ბ.ე“ პუნქტში, რომლის შესაბამისად, „ამ კანონის

ამოქმედების შემდეგ გმირულად გარდაცვლილ პოლიციელთა ოჯახებს (მემკვიდრეს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით“. რაც კიდევ უფრო აკონკრეტებს და აზუსტებს იმ პირთა წრეს, რომლებზეც ვრცელდება „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტი. იმავე საფუძველზე მოხდა ასევე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის მიღება. ამ ნორმის მიღებისას მის განმარტებით ბარათში, კერძოდ, „ა.გ“ პუნქტში განმარტებულია „1000 ლარიანი კომპენსაცია დაუნესდება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს გმირულად დაღუპულ ან მიღებული ქრილობების შედეგად გარდაცვლილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახებს, ამასთან, სახეზე უნდა გვექნოდეს „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა“.

კასატორი მიიჩნევს, რომ ამ ნორმების განმარტებითი ბარათიდან, ისე როგორც მოქმედი სამართლებრივი ნორმებიდან, ცხადია, რომ 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დეფინიცია არის უფრო ფართო მოცულობის, რომელიც განსაზღვრავს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევებს (რომელიც ავტოავარიის შედეგად დაღუპვასაც ითვალისწინებს, რასაც სადავო შემთხვევაში ჰქონდა ადგილი), ხოლო რაც შეეხება 50-ე მუხლის 1¹ პუნქტს, აქ გამოყოფილია კონკრეტულად ის შემთხვევები, როდესაც გარდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისა, სახეზე უნდა იყოს უშუალოდ პოლიციური ღონისძიების განხორციელება, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ საქმის გარემოებები ან მოვლენების შეუფერხებელი განვითარება გამოიწვევს „პოლიციის შესახებ“ კანონით დაცული სიკეთისათვის ზიანის მიყენებას, რომელსაც შედეგად მოჰყვა პოლიციელის დაღუპვა. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი განსაზღვრავს თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს პოლიცია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის (პოლიციის ფუნქციები) უზრუნველსაყოფად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რაც ასევე დაკონკრეტებულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველ პუნქტში. კანონპროექტში ეს შემთხვევები მოხსენიებულია „გმირულად“ დაღუპვად. ვინაიდან, ეს ტერმინი კანონში არ არის მითითებული, რადგან იგი შეფასებითი კატეგორიაა, ამ ორი კატეგორიის

დალუპვის შემთხვევების ერთმანეთისაგან გასამიჯნად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რომელ გარემოებას ჰქონდა ადგილი, ანუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების მიზნით, შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 25 აგვისტოს №627 ბრძანებით შეიქმნა კომისია და დამტკიცდა ამ კომისიის დებულება. ამ დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისიის მიზანია სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურება. კასატორის მითითებით, გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს გამოეყოთ იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ერთჯერადი ფულადი დახმარებაც და შესაბამისი კომპენსაციები, რასაც არც მოსარჩელე მხარე არ უარყოფს. შესაბამისად, აღნიშნული კონკრეტული შემთხვევა (მოსარჩელის მოთხოვნა) არ ექცევა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის რეგულაციაში.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის ერთ-ერთი პირობა (პრევენციული ღონისძიება). კერძოდ, სასამართლოს მითითებით, მ. ქ-ე გამოცხადდა სამსახურში პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად – რეიდზე გასასვლელად. ტაბელური იარაღის მიღებისას, როდესაც ხელს აწერდა ყურნალში, იგი დაიღუპა პოლიციელ ვ. ჯ-ის გაუფრთხილებელი გასროლის შედეგად. სასამართლოს განმარტებით, რეიდზე გასვლა უდავოდ არის დაკავშირებული დანაშაულის აღკვეთის ღონისძიებასთან, კონტროლსა და ზედამხედველობასთან. კასატორის განმარტებით, გაურკვეველია რა საფუძვლებს დაეყრდნო სასამართლო ამ მსჯელობის ჩამოყალიბებისას, როცა ფაქტობრივად მ. ქ-ე არ გასულა რეიდზე. კასატორის მითითებით, მსგავს საქმეებზე სასამართლომ სამომავლოდ განსახორციელებ-

ბელი პოლიციელის უფლება-მოვალეობები არ მიიჩნია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1³ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 დეკემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ქ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექ-

სის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ... პოლიციის სამმართველოს ... ინსპექციის უფროსის მოადგილე მ. ქ-ე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, 1993 წლის ...-ს გარდაიცვალა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ... პოლიციის სამმართველოს შენობაში, სამმართველოს მორიგის მიერ „მაკაროვის“ სისტემის იარაღიდან გაუფრთხილებელი გასროლით თავის არეში მიყენებული ჭრილობის შედეგად.

ნ. ქ-ემ, როგორც მ. ქ-ის მეუღლემ, განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოჯახის წევრის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაციის მისაღებად საჭირო აქტის გამოცემის მოთხოვნით.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/39 გადაწყვეტილებით ნ. ქ-ის მოთხოვნა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე მ. პ. ქ-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედე-

გად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურებაზე არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის 2016 წლის 12 თებერვლის №354830 წერილით ნ. ქ-ეს მის მიერ 2015 წლის 8 დეკემბრის №9/39 გადანყვეტილებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის პასუხად განემარტა, რომ კომისიის მიერ სადავო გადანყვეტილება მიღებულია საქმის გარემოებათა განხილვის შედეგად კანონის საფუძველზე.

წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელემ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/39 გადანყვეტილების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის 2016 წლის 12 თებერვლის №354830 წერილის ბათილად ცნობა და მ. ქ-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპვის ფაქტის აღიარება მოითხოვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტის საფუძველზე.

მოსარჩელე დავისადმი კანონიერ ინტერესს ასაბუთებდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, შსს ... პოლიციის სამმართველოს შენობაში, თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა მისი მეუღლე – პოლიციის ლეიტენანტი მ. ქ-ე, შესაბამისად, იგი ითხოვდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების ფაქტის დადგენა-დადასტურებას „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში სადავოდ არ არის ქცეული ის გარემოება, რომ მოსარჩელის მეუღლე – მ. ქ-ე გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, არამედ სადავოა ის გარემოება, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის რომელი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ექცევა მ. ქ-ის გარდაცვალება, 1-ლ თუ 1¹ პუნქტში, რადგან მოპასუხე სადავოდ ხდის მ. ქ-ის გარდაცვალებას.

ბის ფაქტს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით და მიაჩნია, რომ მართალია, მ. ქ-ე გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მაგრამ ეს არ არის ის შემთხვევა, რომელზეც შეიძლება გავრცელდეს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, კონკრეტული შემთხვევა წარმოადგენს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი თუ 1¹ პუნქტით განსაზღვრულ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის გარდაცვალების შემთხვევას.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პოლიცია არის სამინისტროს სისტემაში შემავალი, აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად. ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეყნურო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური ნოდებები და დადებული აქვთ პოლიციელის ფიცი. კანონი ასევე განსაზღვრას პოლიციელის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, კერძოდ, პოლიციელი თავის საქმიანობაში განუხრელად იცავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპებს („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი). აღნიშნული პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას. პოლიციის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პრინციპია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი, რომლის შესაბამისად, პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობი-

სა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს.

დალუპული პოლიციელების ოჯახებისათვის სოციალური დახმარების განწევა და მათთვის პოლიციელის გარდაცვალების გამო კომპენსაციის გადახდის საკითხი განსაზღვრულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით განსაზღვრულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან მიღებული ჭრილობების შედეგად დალუპული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის სოციალური დაცვის პირობები, რომლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გარდა ამ მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პოლიციელის დალუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმეტეს 15 000 ლარისა და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 ლარის ოდენობით. პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტის თანახმად, კი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას: კერძოდ, ამ კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების განხორციელებისას, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავეს შეპყრობისას, დამნაშავეობასთან ბრძოლისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკებისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმისას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას პოლიციელის დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 000 ლარის ოდენობით და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 ლარის ოდენობით. პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს. ხოლო მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის დალუპ-

ვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრებს ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვისა და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. მითითებული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, ხოლო მე-2 პუნქტში ჩამოთვლილია პირობები, ვისაც ამ კანონის შესაბამისად აქვთ კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება ანუ განსაზღვრულია ამ კანონის სუბიექტები, ასევე მითითებულია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის (1991 წლის 9 აპრილი) შემდგომ პერიოდზე (კანონის უკუძალა), „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ოჯახის წევრები, გარდა ამ პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის 22¹ მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“-„პ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს კომპენსაცია დაენიშნებათ ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კომპენსაციის მიმღებ პირებზე გასაცემი კომპენსაციის ოდენობა 2014 წელს შეადგენს 500 ლარს, ხოლო 2015 წლიდან – 1000 ლარს.

ზემოაღნიშნული ნორმების დეფინიციიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმის სწორი შეფარდებისა და დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია ერთმანე-

თისაგან გაიმიჯნოს და სწორი კვალიფიკაცია მიეცეს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლ პუნქტს – მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპვას ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალებას და მისგან გამომდინარე სოციალურ გარანტიებს და ამავე კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტს – მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განსაკუთრებულ ვითარებაში გარდაცვალებას და მისგან გამომდინარე სოციალურ გარანტიებს.

საკაცაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტს, როდესაც მ. ქ-ე მითითებული კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტის სუბიექტად მიიჩნია. საკაცაციო სასამართლოს განმარტებით, ტერმინი „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურის გარდაცვალება“ ფართო მოცულობისაა. აღნიშნული ფაქტები დგინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და მასში იგულისხმება გარდაცვალება ზოგადად სამსახურში ყოფნის პერიოდში (მით უფრო იმ პირობებში, როდესაც დრო, რომელიც დასაქმებულს სამუშაო ადგილამდე მისვლისათვის და უკან დასაბრუნებლად სჭირდება, არის სამუშაო დრო). მაგალითად, სამსახურებრივი მოვალეობათა შესრულებად ითვლება, როგორც ავტოავარიის დალუპვა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გარდაცვალება, ასევე, ისეთი შემთხვევები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული პოლიციელის პროფესიული საქმიანობის უშუალო განხორციელებასთან.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით იმპერატიულად არის განსაზღვრული იმ შემთხვევათა ჩამონათვალი, რომლებიც ექცევა მითითებული ნორმის რეგულაციაში და ასეთი შემთხვევებია: პოლიციელის გარდაცვალება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების განხორციელებისას, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავეს შეპყრობისას, დამნაშავეობასთან ბრძოლისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკებისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმისას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას. ამასთან, იმისათვის, რომ გარდაცვლილი პოლიციელის ოჯახის წევრზე გავრცელდეს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი რეჟიმი, მნიშვნელოვანია დადგინდეს ორი გარემოება: პოლიციელის გარდაცვალება და-

კავშირებული უნდა იყოს ამ ნორმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ შემთხვევასთან და იგი უშუალოდ ამ შემთხვევის შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 11 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევა გულისხმობს ობიექტური საფრთხის არსებობის პირობებში, უშუალოდ პოლიციური ღონისძიებების განხორციელების პროცესში, პოლიციელის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევას. ობიექტური საფრთხე იმ შემთხვევაში არის სახეზე, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ საქმის გარემოებები ან მოვლენების შეუფერხებელი განვითარება გამოიწვევს „პოლიციის შესახებ“ კანონით დაცული სიკეთისთვის ზიანის მიყენებას. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული პუნქტის სუბიექტად მიჩნევისათვის სავალდებულოა უშუალოდ მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ მუხლში ჩამოთვლილ ქმედებასა და პოლიციელის გარდაცვალებას შორის. გარდაცვალება სწორედ უშუალოდ პოლიციელის პროფესიული საქმიანობის განხორციელებას უნდა მოჰყვეს შედეგად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. ამდენად, კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამომხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარ-

სის განსაზღვრა.

კონკრეტულ შემთხვევაში, კი სადავო არ არის ის გარემოება, რომ მ. ქ-ე გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, კონკრეტულად კი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ... პოლიციის სამმართველოს შენობაში, სამმართველოს მორიგის მიერ „მაკაროვის“ სისტემის იარაღიდან გაუფრთხილებული გასროლით თავის არეში მიყენებული ჭრილობის შედეგად, რაც საკასაციო სასამართლოს განმარტებით, არ უკავშირდება მის მიერ პროფესიული საქმიანობის უშუალოდ განხორციელებას და ვერ მიიჩნევა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევად.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, პოლიციელის სოციალური უფლებები განსაზღვრული იყო ასევე მოსარჩელის – ნ. ქ-ის მეუღლის მ. ქ-ის გარდაცვალების დროს მოქმედი „საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის დეკრეტითაც, რომლის 22-ე მუხლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით. დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

საქმეში წარმოდგენილი ცნობის შესაბამისად, დასტურდება, რომ პოლიციის ლეიტენანტ მ. პ. ძე ქ-ის სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპვასთან დაკავშირებით მისმა ოჯახმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1993 წლის 30 აპრილის №269 ბრძანების საფუძველზე მიიღო 1 162 800 კუპონი (იხ. 18 გვ).

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 29 მარტის №04/18589 წერილით ასევე დასტურდება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მ. პ. ძე ქ-ის გარდაცვალების გამო, სახელმწიფო კომპენსაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით დანიშნული ჰქონდა მეუღლეს – ნ. ქ-ეს და მის არასრულწლოვან შვილს – ბ. მ. ძე ქ-ეს. სახელმწიფო კომპენსაცია ნ. ქ-ეს შეუწყდა 2006 წლის 1 ნოემბრიდან შვილის 14 წლის შესრულების გამო, ხოლო ბ. ქ-ეს სახელმწიფო კომპენსაცია შეუწყდა 2010 წლის 1 ნოემბრიდან 18 წლის შესრულების გამო.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მითითებით, ნ. ქ-ის მეუღლის – მ. ქ-ის გარდაცვალება ვერ მიიჩნევა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით განსაზღვრულ

შემთხვევად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რის გამოც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ქ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს
გარდაცვლილის ოჯახის წევრისათვის ერთჯერადი
კომპენსაციის თაობაზე მოთხოვნის სანდაზმულობა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-1040-1034(კ-17)

24 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების
დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 14 ივნისს ი. ნ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მისი მეუღლე – ტ. დ. ძე ჩ-ე მუშა-
ობდა ... რაიონის ...-ლ ქვეგანყოფილებაში უფროს ოპერ.რწმუნე-
ბულად, იყო პოლიციის კაპიტანი. 1991-1992 წლებში იბრძოდა სა-
მაჩაბლოში. 1992 წელს გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეო-
ბის შესრულების დროს.

ი. ნ-ი არის გარდაცვლილი ტ. დ. ძე ჩ-ის მეუღლე, მისი ოჯახის
წევრი და მემკვიდრე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობის მიხედ-
ვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ტ. დ. ძე ჩ-ე (და-
ბადებული ...) გარდაცვლილია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს
კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული სამსახუ-
რებრივი მოვალეობის შესრულებისას.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სა-
მინისტროს 2016 წლის 10 მაისის №1142644 წერილით განემარტა,
რომ „საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ“ საქართვე-
ლოს რესპუბლიკის საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის დეკრეტის 22-ე

მუხლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დალუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით. დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. ამასთან, დამატებით ეცნობა, რომ „2016 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონიც არ ითვალისწინებდა წინა წლების ფაქტობრივი დავალიანების დასაფარად შესაბამის ასიგნებას, შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კომპენსაციას ვერ აანაზღაურებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 10 მაისის № 1142644 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დალუპული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის – ი. ნ-ის მეუღლის – ტ. ჩ-ის 10 წლის ხელფასის – 14 108.40 ლარის ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით ი. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ტ. დ. ძე ჩ-ე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაიცვალა 1992 წლის 28 ივლისს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 14 დეკემბრის ცნობით, ტ. დ. ძე ჩ-ე გარდაცვლილია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. მოსარჩელე ი. ნ-ი არის ტ. დ. ძე ჩ-ის მეუღლე.

მოსარჩელე ი. ნ-მა 2016 წლის 2 მარტს და 13 აპრილს განცხადებებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ითხოვა მისთვის, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დალუპული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის მეუღლისათვის ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის ანაზღაურება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტის საფუძველზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 10 მაისის № 1142644 წერილით, მოსარჩელე ი. ნ-ს უარი ეთქვა კომპენსაციის ანაზღაურებაზე და განემარტა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტი ვერ გავრცელდე-

ბოდა მის ამოქმედებამდე მომხდარ შემთხვევაზე, რადგან აღნიშნული ნორმის უკუძალას კანონი არ ითვალისწინებდა. ამასთან, „საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის დეკრეტის 22-ე მუხლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით. დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. თუმცა, ვინაიდან „2016 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონიც არ ითვალისწინებდა წინა წლების ფაქტობრივი დავალიანების დასაფარად შესაბამის ასიგნებას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კომპენსაციას ვერ აანაზღაურებდა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. მოთხოვნის უფლებაზე კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა მიზნად ისახავს სამართლებრივი სტაბილურობისა და სამართლებრივი სიცხადის უზრუნველყოფას და იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტიად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ „საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის დეკრეტის 22-ე მუხლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით. დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

ამრიგად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ი. ნ-ის მოთხოვნის უფლება წარმოიშვა მისი მეუღლის – გ. ჩ-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალების მომენტიდან – 1992 წლის 28 ივლისიდან. საქართველოს სამოქალაქო კო-

დექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. მითითებული კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გავლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 10 მაისის №1142644 წერილი არ ჩაითვლებოდა ზემოთ აღნიშნული ვალდებულების აღიარებად, რადგან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს საბიუჯეტო სახელმწიფო დაწესებულებას, რომლის ხარჯებიც სახელმწიფო ბიუჯეტით – კანონით წესრიგდება, შესაბამისად, წინა წლის ვალდებულებების აღიარება და განსაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტით უნდა იყოს პირდაპირ გათვალისწინებული, რათა მხარჯავ დაწესებულებას, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, უფლება ჰქონდეს კონკრეტული ვალდებულება აიღოს. შესაბამისად, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას ვალდებულების ბიუჯეტის მიერ არ აღიარების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელე ი. ნ-ის მოთხოვნა „საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის დეკრეტის 22-ე მუხლის საფუძველზე, მის სასარგებლოდ ათი წლის ხელფასის ოდენობით კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია, რაც მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, კანონის შესაბამისად აძლევს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უფლებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ნ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 4 ივლისის განჩინებით ი. ნ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები; თავის მხრივ, აპელანტმა სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინეს ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის საქმისწარმოების ორგანიზების განყოფილების წამყვანი სპეციალისტის 2016 წლის 28 ნოემბრის ცნობის თანახმად, ტ. ჩ-ის ოჯახისთვის გაცემული 1996 წლის 6 ივნისის №970 სალაროს ორდერის მიხედვით ანაზღაურდა დაკრძალვის ხარჯები – 776 ლარი. აღნიშნული თარიღიდანაც (1996 წლის 6 ივნისი) რომ აითვალოს ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადა, სარჩელის წარდგენის დროისათვის მაინც გასულია. ამდენად, არ არსებობს ი. ნ-ის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 4 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ნ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო განჩინების მიღებისას დაეყრდნო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლს, რომლის მიხედვით დაასკვნა, რომ მოსარჩელის მოცემული მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოსარჩელე ი. ნ-ის მოთხოვნის უფლება წარმოიშვა მისი მეუღლის გარდაცვალების მომენტიდან, 1992 წლის 28 ივლისიდან და რომ დღესდღეობით, მოსარჩელის მოთხოვნა არის ხანდაზმული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

კასატორის მითითებით, მართალია, ხანდაზმულობის საერთო

ვადა შეადგენს 10 წელს, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად, თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.

კასატორის განმარტებით, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 10 მაისის წერილი. კასატორის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვითაც, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული წერილი მოსარჩელისადმი არ იყო ვალდებულების აღიარება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულებითი ურთიერთობის აღიარებისათვის საჭიროა წერილობითი ფორმა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული ვალდებულება აღიარა წერილობით.

კასატორის მოსაზრებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღიარა ვალდებულება, თუმცა მისი შეუსრულებლობის მიზეზად დაასახელა თანხების არარსებობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კი, ხანდაზმულობის ვადის ათვლა ვალდებულების აღიარებისას იწყება თავიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 3 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი. ნ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინებით ი. ნ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეების ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციის მიერ მიღებული განჩინებით.

ტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 4 ივლისის განჩინება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ტ. დ. ძე რ-ე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაიცვალა 1992 წლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 14 დეკემბრის ცნობით, ტ. დ. ძე რ-ე გარდაცვლილია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. მოსარჩელე ი. ნ-ი არის ტ. დ. ძე რ-ის მეუღლე.

ი. ნ-მა 2016 წლის 2 მარტს და 13 აპრილს განცხადებებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ითხოვა მისთვის, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის მეუღლისათვის ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის ანაზღაურება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტის საფუძველზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 10 მაისის №1142644 წერილით, ი. ნ-ს უარი ეთქვა კომპენსაციის ანაზღაურებაზე და განემარტა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტი ვერ გავრცელდებოდა მის ამოქმედებამდე მომხდარ შემთხვევაზე, რადგან აღნიშნული ნორმის უკუძალას კანონი არ ითვალისწინებდა. ამასთან, მიეთითა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის დეკრეტის 22-ე მუხლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით. დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. ი. ნ-ს დამატებით ეცნობა, რომ „2016 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონიც არ ითვალისწინებდა წინა წლების ფაქტობრივი დავალიანების დასაფარად შესაბამის ასიგნებას, შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კომპენსაციას ვერ აანაზღაურებდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სწორად განმარტა იგი.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს პოლიციის საქ-

მიანობის ძირითად პრინციპებს, პოლიციის ორგანიზაციული მონ-
ყობის სამართლებრივ საფუძვლებს, პოლიციის ფუნქციებს, საპო-
ლიციო ღონისძიებებსა და პოლიციის მიერ საკუთარი უფლებამო-
სილებების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს, პოლიცია-
ში სამსახურის გავლის წესს, პოლიციელის სამართლებრივი და სო-
ციალური დაცვის გარანტიებს, პოლიციის საქმიანობის კონტროლს.
პოლიციელის სოციალური დაცვის საკითხები განსაზღვრულია აღ-
ნიშნული კანონის მე-8 თავით, რომლის შესაბამისად, პოლიციე-
ლის სოციალურ დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო. უზრუნ-
ველყოფილია პოლიციელის სავალდებულო ჯანმრთელობისა და სი-
ცოცხლის სახელმწიფო დაზღვევა. სამსახურებრივი მოვალეობის
შესრულების დროს ან მიღებული ჭრილობების შედეგად დაღუპუ-
ლი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა
ოჯახის სოციალური დაცვის პირობები განსაზღვრულია „პოლიცი-
ის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლში, რომლის 1-ლი
პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულე-
ბისას, გარდა ამ მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვე-
ვებისა, პოლიციელის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდ-
რეს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართვე-
ლოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, მი-
ნისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯე-
რადი ფულადი დახმარება არაუმეტეს 15 000 ლარისა და დაკრძალ-
ვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500
ლარის ოდენობით. პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწი-
ფო ანაზღაურებს. ხოლო ამავე მუხლის 1¹ პუნქტის შესაბამისად,
სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, ამ კანო-
ნით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების განხორციე-
ლებისას, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავეის შეპყრო-
ბისას, დამნაშავეობასთან ბრძოლისას, საზოგადოებრივი წესრი-
გის დაცვისას ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკები-
სას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმი-
სას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარ-
ჩენისას პოლიციელის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედე-
გად გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქარ-
თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს სახელ-
მწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, მინისტრის მი-
ერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულა-
დი დახმარება 100 000 ლარის ოდენობით და დაკრძალვის (საფლა-
ვის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 ლარის ოდე-
ნობით. პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღა-

ურებს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრებს ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვისა და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. მითითებული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, ხოლო მე-2 პუნქტში ჩამოთვლილია პირები, ვისაც ამ კანონის შესაბამისად აქვთ კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება ანუ განსაზღვრულია ამ კანონის სუბიექტები, ასევე მითითებულია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის (1991 წლის 9 აპრილი) შემდგომ პერიოდზე (კანონის უკუძალა), „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპულ ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ოჯახის წევრები, გარდა ამ პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის 22¹ მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“-„პ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს კომპენსაცია დაენიშნებათ ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კომპენსაციის მიმღებ პირებზე გასაცემი კომპენსაციის ოდენობა 2014 წელს შეადგენს 500 ლარს, ხოლო 2015 წლიდან – 1000 ლარს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, პოლიციელის სოცია-

ლური უფლებები ასევე განსაზღვრული იყო მოსარჩელის – ი. ნ-ის მეუღლის – ტ. ჩ-ის გარდაცვალების დროს მოქმედი „საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის დეკრეტითაც, რომლის 22-ე მუხლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით. დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

კონკრეტულ შემთხვევაში სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელე ი. ნ-ის მეუღლე ტ. ჩ-ე გარდაცვლილია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და იგი წარმოდგენს აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი დახმარების სუბიექტს, არამედ, კონკრეტულ შემთხვევაში, სადავოა ის გარემოება, რომ ი. ნ-ს, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი ტ. ჩ-ის ოჯახის წევრს, არ მიუღია მისი გარდაცვალების დროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი დახმარება – 10 წლის ხელფასის ოდენობით. საქმის მასალებით დადგენილია და ამას არც მოსარჩელე ხდის სადავოდ, რომ მას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული პოლიციელის ოჯახის წევრს კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთჯერადი კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნით არ მიუმართავს, მან აღნიშნულის მოთხოვნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებებით მიმართა მხოლოდ 2016 წლის 2 მარტს და 13 აპრილს, რომელზედაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 10 მაისის №1142644 წერილობითი მიმართვით, კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარი ეთქვა.

საქმეში წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის საქმისწარმოების ორგანიზების განყოფილების წამყვანი სპეციალისტის 2016 წლის 28 ნოემბრის ცნობის შესაბამისად, დასტურდება, რომ ტ. ჩ-ის ოჯახისთვის გაცემული 1996 წლის 6 ივნისის №970 სალაროს ორდერის მიხედვით ოჯახს აუნაზღაურდა დაკრძალვის ხარჯები 776 ლარი.

როგორც აღინიშნა, განსახილველი დავის საგანს კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 10 მაისის №1142644 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის სამ-

სახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის – ი. ნ-ის მეუღლის ტ. ჩ-ის 10 წლის ხელფასის – 14 108.40 ლარის ანაზღაურების დავალება წარმოადგენს, რომლის დაკმაყოფილებაზეც მოსარჩელეს მოთხოვნას ხანდაზმულობის მოტივით ეთქვა უარი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული 100 000 ლარი წარმოადგენს ერთჯერად კომპენსაციას, რომელთან დაკავშირებითაც კანონი უკუძალას არ ადგენს, ის ძველ ურთიერთობაზე ვერ გამოიყენება. ამასთან, მოსარჩელეს – ი. ნ-ს არც 14 108.40 ლარი ეკუთვნის, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულია. რაც შეეხება ყოველთვიურ კომპენსაციას 1000 ლარის ოდენობით, რომელიც ეძლევა ოჯახის წევრს, მასთან დაკავშირებით უკუძალა დაადგინა კანონმა და მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის ფაქტი, რომ მოსარჩელე ი. ნ-ი იღებს ყოველთვიურ კომპენსაციას 1000 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობის მიზნებზე, რაც უმთავრესად სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობასა და პირის უფლებების დროულად განხორციელებაში გამოიხატება. ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მართო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგებოდა. ხანდაზმულობის ვადების არსებობა კი სამართალურთიერთობის მონაწილეებს აიძულებს დროულად იზრუნონ საკუთარი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადა არ გულისხმობს დროის გაურკვეველ პერიოდს. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისას კი მნიშვნელოვანია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ამავ კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის საერთო ვადა განისაზღვრება 10 წლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა ხანდაზმულია, მიუხედავად იმისა, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ

ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს სხვათა უფლების შელახვას.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის (ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა) შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ამავე კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით რეგლამენტირებული ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე მოთხოვნის არსებობის აღიარება, რაც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველია, სახეზეა აღნიშნული კოდექსის 144-ე მუხლის (ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას) მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულების შემთხვევაში. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ მოვალეობის შესრულებას უთანაბრდება მოვალის დაპირება – ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე ვალის არსებობის აღიარება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ანუ თუ ვალდებულმა პირმა კონკრეტული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ აღიარა ხსენებული მოთხოვნის არსებობა და დაჰპირდა გადახდას, ხანდაზმულობის ვადის გასვლის ფაქტს, სამართლებრივად აღარ აქვს არავითარი მნიშვნელობა მხარის შესაბამისი მატერიალური უფლების სასამართლო წესით რეალიზაციისათვის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ვალის აღიარების თაობაზე და აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 10 მაისის № 1142644 წერილი ვერ განიხილება ვალდებული პირის აღიარებად და ამდენად, ხანდაზმულობის დენის ხელახალი დანყების საფუძველად. იმისათვის, რომ ადმინისტრაციის მიერ გაცემული დოკუმენტი განხილულ იქნეს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვალდებულების აღიარება, საკმარისი არ არის რომ აღნიშ-

ნულ დოკუმენტში დაფიქსირებული იყოს პირის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოს დავალიანების არსებობა. მასში გამოხატული უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ნება, მოცემული უნდა იყო დაპირება, რომ სამომავლოდ ადმინისტრაციული ორგანო ანაზღაურებს დავალიანებას. კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში არსებულ ზემოაღნიშნულ წერილში მოცემულია მხოლოდ ფაქტის კონსტანტაცია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის დეკრეტის 22-ე მუხლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით. დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, თუმცა ვინაიდან „2016 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებდა წინა წლების ფაქტობრივი დავალიანების დასაფარად შესაბამის ასიგნებას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კომპენსაციას ვერ ანაზღაურებდა. აღნიშნული არ შეიცავს იმ დაპირებას, რომ ი. ნ-ს მიუღებელი კომპენსაცია აუნაზღაურებოდა, რის გამოც ეს წერილი სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია ინფორმაციული ხასიათის შემცველ წერილად.

კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელემ სასამართლოს მიმართა მხოლოდ 2016 წლის 14 ივნისს, „საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის დეკრეტის 22-ე მუხლის საფუძველზე კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის – ი. ნ-ის მეუღლის ტ. ჩ-ის ათი წლის ხელფასის – 14 108.40 ლარის ოდენობით, ხოლო მოსარჩელე ი. ნ-ის მოთხოვნის უფლება წარმოიშვა მისი მეუღლის – ტ. ჩ-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალების მომენტიდან – 1992 წლის ...-დან, რის გამოც ი. ნ-ს მართებულად ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ხანდაზმულობის მოტივით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ნ-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 4 ივლისის განჩინება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

- 1. ი. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- 2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 4 ივლისის განჩინება;
- 3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამხედრო მოსამსახურისათვის შიჯლუღული
შინაქლავლოჯების გამომსახველი მომსახურების
დანიშვნის საფუძველი**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

NN#ბს-13-13(კ-18)

15 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

შ. ს-ემ 2016 წლის 20 სექტემბერს სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №04/63833 გადაწყვეტილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის 2016 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც მოსარჩელეს დაენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსით.

მოსარჩელის განმარტებით, მან 1991 წლის 19 მარტს გაიარა სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა და დაუდგინდა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით. ამის შემდგომ, ყოველწლიურად 1997 წლამდე უტარდებოდა სამედიცინო ექსპერტიზა და უდგინდებოდა იგივე სტატუსი 1 წლის ვადით. 1997 წლის მაისში დაუდგინდა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი უვადოდ. დღეის მდგომარეობით იღებს სოციალურ პაკეტს 100 ლარის ოდენობით მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძველზე. 2016 წლის 19 ივლისს საჩივრით მიმართა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის 20 ივნისის 04-15/1408 აქტის ბათილად ცნობა და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა, რადგანაც თავის დროზე ინვალიდობა დაუდგინდა სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №04/63833 გადაწყვეტილებით სააგენტომ უარი უთხრა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე და განმარტა, რომ საჩივარი უსაფუძვლოა, ვინაიდან მას არ ერთვის ის დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად და ასევე ვერ დგინდება მიზეზობრივი კავშირი სამხედრო სამსახურის გავლასა და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმსაზღვრელ დოკუმენტს შორის.

შ. ს-ემ სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ მისთვის კომპენსაციის დანიშვნის საფუძველს წარმოადგენდა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევ-

რთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები, კერძოდ, ოფიცრები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში და სამხედრო რეზერვის პირველ თანრიგში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში. ასევე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეში №3/717-16 თანამოქმედ დასაბუთებულ იქნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახვევის მომსახურების ცენტრი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის საოქმო განჩინებით შ. ს-ის სარჩელი მოქმედებების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახვევის მომსახურების ცენტრის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით შ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ს-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №04-06/63833 გადაწყვეტილება შ. ს-ის ადმი-

ნისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; – სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის 2016 წლის 20 ივნისის №04-15/1498 გადაწყვეტილება და დაევალა სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს (სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალს) საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე შ. ს-ის განცხადებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც არც სააპელაციო საჩივრის ავტორი ხდიდა სადავოდ. პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მტკიცების ტვირთი მხარეებზე გაანაწილა სწორად, ასევე სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არასწორი შეფასება მისცა მათ და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენდა სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება; კერძოდ, მოსარჩელის მიმართ „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის გავრცელების შესაძლებლობა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი განსაზღვრავს ამ კანონის რეგულირების სფეროსა და საგანს; კერძოდ ამ ნორმის თანახმად, კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა წარმოადგენს ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელ-

მნიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძველს. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ: სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, საგამოძიებო დეპარტამენტიდან და სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილ, ზევადიან სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს. მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გამო კომპენსაცია ენიშნებათ ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს, რომელთა შესაძლებლობების შეზღუდვა დაკავშირებულია სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდთან. პალატის განმარტებით, კანონის მე-8 მუხლი კომპენსაციის გაანგარიშების მიზნით დათქმას აკეთებს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირთა წრეზე. „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე შემდეგი პირები: ა) ოფიცრები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში და სამხედრო რეზერვის პირველ თანრიგში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო

უშიშროების ორგანოებში, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში; ბ) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, ყოფილი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ის, დამოუკიდებელი თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელი სახელმწიფოების შინაგან საქმეთა ორგანოებში, თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოსა და ყოფილ სსრ კავშირში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებით (შეთანხმებით).

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახური იყოფა სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიულ), კადრის სამხედრო სამსახურებად და რეზერვად. სამხედრო სავალდებულო სამსახური შეიძლება მოხდეს იქნეს საკონტრაქტო სამსახურის ან საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის სახითაც. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შ. ს-ე მსახურობდა ყოფილ სსრ კავშირის სავალდებულო სამხედრო სამსახურში. სამსახურის გავლის დროს სარატოვის საოლქო ფსიქიატრული საავადმყოფოს სამხედრო სამედიცინო კომისიის მიერ დაუდგინდა დაავადება „მდგრადი ისტერიკული რეაქციები ინტელექტუალურ-პრიმიტიული პიროვნების“. საქმეში წარმოდგენილი პენსიის დამნიშვნელი კომისიისა და საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნების თანახმად, აღნიშნული დაავადება მიღებულია სამხედრო სამსახურის გავლისას, შესაბამისად შ. ს-ეს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი უვადოდ. პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ შესაბამისი სამუშაო სტატუსის მქონე პირებს, თუმცა ამავე კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გა-

მო კომპენსაციის ოდენობაა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში – ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის 115%. ამასთანავე, ნამსახურობის მიწილური სტაჟი უთანაბრდება 20 წელს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ კანონის განმარტება მისი ბუნდოვანი ადგილების დაზუსტებას და ტექსტის მნიშვნელობის დადგენას გულისხმობს. საკანონმდებლო სივრცის არასრულობის ან ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლომ შეავსოს იგი განმარტების საფუძველზე, რამდენადაც სასამართლო აღჭურვილია ნორმის განმარტების უფლებამოსილებით. შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია განმარტოს კანონი მაშინ, როდესაც ამისი საჭიროება არსებობს და საკანონმდებლო დანაწესით დასარეგულირებელი საკითხის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა ვერ ხდება. კანონის ინტერპრეტაციის არსი, კანონის ტექსტის საფუძველზე კანონის აზრისა და მიზნის დადგენაა, რაც მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს, ხოლო კანონის ინტერპრეტაციის აუცილებლობას კანონში არსებული ხარვეზი განაპირობებს. ასეთი ვითარება იქმნება მაშინ, როდესაც კანონი პირდაპირ არ იძლევა პასუხს ამა თუ იმ საკითხზე და სასამართლო ხარვეზიანი ნორმის – კანონის ტექსტსა და სამართლის ძირითად პრინციპებთან შეჯერებით ადგენს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დადგენაც კანონმდებელს სურდა, ანუ რაშიც გამოიხატება კანონმდებლის მიზანი. ზემოთ მოყვანილი კანონების სისტემური განმარტებიდან გამომდინარე პალატამ მიიჩნია, რომ შ. ს-ეს, როგორც ყოფილ სსრ კავშირის სამხედრო სავალდებულო სამსახურში ფსიქიკური ტრავმის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს, უფლება გააჩნდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოეთხოვა სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა, რაც სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებისას შ. ს-ესთან მიმართებაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეული იქნა და რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველზე მათი ბათილად ცნობის წინაპირობას წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ კომპენსაციის გაანგარიშება ნამსახურებისა და წოდების, ასევე ხელფასის საფუძველზე გამოიანგარიშება, ამ ინფორმაციის მოპოვებისა და შეფასების გარეშე შეუძლებელია შესაბამისი გადაწყვე-

ტილების მიღება, ამდენად პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ ურთიერთობაზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის დანაწესი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე შ. ს-ის განცხადებასთან დაკავშირებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალმა და ამავე სააგენტოს შუახევის რაიონულმა განყოფილებამ. კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირთა წრე და კომპენსაციის მიღების საფუძვლები განსაზღვრულია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის პირველი მუხლის თანახმად სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირთა წრის ჩამონათვალში აქცენტი კეთდება ზევადიან სამხედრო მოსამსახურეებზე და სამხედრო სამსახურის ოფიცრებზე, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში, სსრ კავშირისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში და სხვა კანონიერ სამხედრო ფორმირებებში. აღნიშნული ჩამონათვალი არ მოიაზრებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოსამსახურეებს. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის, „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს შესაძლებლობების შეზღუდვის სტატუსის დადგენა, ხოლო ამ საფუძვლით კომპენსაციის დანიშვნის შემთხვევაში, სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშების ფორმულას ადგენს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ამავე დროულად განსაზღვრავს, შესაძლებლობების შეზღუდვის იმ სა-

რისხს (სტატუსი), რომლითაც ზევადიანი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი მოსამსახურეები იპოვებენ სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნის უფლებას (იგულისხმება მკვეთრად გამოხატული ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირები).

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი პირდაპირ არ მიუთითებს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონზე და ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ კატეგორიაზე, როგორც ეს აღნიშნულია ამავე კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტში, ზემოაღნიშნულ ნორმაში იგულისხმება ზუსტად ის პირობები, რომლებიც წარმოადგენენ ზევადიან სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც კანონით დადგენილი ნამსახურების ვადის ამოწურვის საფუძველით და შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის დადგენის გამო იპოვებენ სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის უფლებას. ამდენად ცალსახაა, რომ კანონმდებელმა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში იგულისხმა სწორედ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები და არა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურეები, რომელთა სახელმწიფო გასაცემლით უზრუნველყოფა 2012 წლის 1 სექტემბრამდე ხორციელდებოდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის, ხოლო 2012 წლის 1 სექტემბრიდან „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთვარობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესისა და პირობების“ შესაბამისად.

2006 წლის 1 იანვრიდან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების დღიდან, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გამო სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისას, გასაცემლის გაანგარიშებისათვის მხედველობაში მიიღებოდა სამხედრო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგო. შესაბამისად, აქე-

დან დასტურდება, რომ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში, მე-16 მუხლში, მე-17 მუხლის მე-4 პუნქტში საუბარია ზევადიან სამხედრო მოსამსახურეებზე, ვინაიდან „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების თანახმად სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურეებს ეძლევათ ფულადი სარგოები და არა თანამდებობრივი სარგოები.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 22 მარტს განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა სამსახურიდან და სხვადასხვა ძალოვანი უწყებიდან დათხოვნილ პირთა კომპენსაციების გაანგარიშების წესი (ფორმულა), რომლის თანახმად, წელთა ნამსახურობის, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის დადგენისა და მარჩენალის დაკარგვის გამო კომპენსაციის გაანგარიშებისას, თანამდებობრივი სარგოს კომპონენტი აღარ გამოიყენება.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის დადგენის შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობაა – ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის 115%, ხოლო მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის დადგენის შემთხვევაში, ამავე ნორმით გათვალისწინებული კომპენსაციის 125%. ამასთან სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივ დასაბუთებაში მიუთითა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე, მაშინ როდესაც აღნიშნული საფუძველი ეხება შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნილ პირებს. ხოლო, სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ ყოფილ სსრ კავშირის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში, მასზე ვრცელდება აღნიშნული კანონის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

შ. ს-ე სახელმწიფო გასაცემლის მიმღებად აღრიცხულია 1991 წლიდან, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლასთან დაკავ-

შირებით განსაზღვრული მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის საფუძვლით, ხოლო 1997 წლის 14 მაისს მორიგ სამედიცინო შემოწმებაზე განესაზღვრა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი უვადოდ და მიზეზობრივი კავშირი „სამხედრო სამსახურის გავლა“ საქმეში არსებული სამედიცინო დოკუმენტში არ ფიქსირდება. აღნიშნული სტატუსის საფუძვლით მას დანიშნული აქვს სოციალური პაკეტი, რომლის ოდენობა დღეის მდგომარეობით შეადგენს 100 ლარს. შ. ს-ის სახელმწიფო გასაცემლის (პენსიის) ადმინისტრირება 2012 წლის 1 სექტემბრამდე ხდებოდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო 2012 წლის 1 სექტემბრიდან მისი ადმინისტრირება გაგრძელდა „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესისა და პირობების“ შესაბამისად, სოციალური პაკეტის სახით.

საკასაციო საჩივარში ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ რუსულ ენაზე შედგენილი შ. ს-ის საპენსიო საქმის მასალები, სასამართლოს დავალების მიუხედავად არ იქნა ნათარგმნი მოსარჩელის მიერ სრულად. შეგნებულად არ იქნა წარდგენილი საპენსიო საქმეში არსებული ბოლო სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერის თარგმანი, რომელშიც მიზეზობრივი კავშირი, სამხედრო სამსახურის გავლა არ არის მითითებული და რომლითაც ის დღემდე იღებს სოციალურ პაკეტს. აღნიშნულის ნაცვლად შ. ს-ემ სასამართლოს წარუდგინა ნოტარიულად თარგმნილი სამედიცინო დოკუმენტი, რომლის დედანი მას აქვს ხელზე. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია, რომ მას 1997 წელს უვადოდ დაუდგინდა შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი, სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტი არის არასრული, არ არის მითითებული მასში მისი დიაგნოზი, ასევე არ აქვს ნომერი. სასამართლო სხდომებზე მოსარჩელის მიერ განიმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტი გადასცა სამედიცინო კომისიამ, თუმცა ის პენსიის დამნიშნავ ორგანოში არ წარდგენილა. საქმეზე წარმოდგენილ საპენსიო საქმეში არსებული სამედიცინო ისტორიის ასლებით დასტურდება, რომ შ. ს-ეს 1997 წელს უვადოდ დაუდგინდა შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი და მასში მიზეზი სამხედრო სამსახურის გავლა მითითებული არ არის. ორივე დოკუმენტი კი გაცემულია ერთი და იმავე დროს, შესაბამისად კასატორებისთვის გაუგებარია როგორ უნდა მოხდეს შ. ს-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა, მაშინ, როდესაც საპენ-

სიო საქმეში არსებულ, ბოლო სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტში და სამედიცინო ისტორიაში, რომლითაც მას უვადოდ დაუდგინდა შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი, არ არის მითითებული, რომ მას აღნიშნული სტატუსი დაუდგინდა სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლებელია, პირს შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის გამო დაენიშნოს სახელმწიფო კომპენსაცია, თუ შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი არ არის მიღებული სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 მარტის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და ამავე სააგენტოს შუახევის რაიონული განყოფილების საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახევის რაიონული განყოფილების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, არ ეფუძნება ფაქტობრივი გარემოებების სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე შ. ს-ეს 1991 წლის 18 მარტს შუახევის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან არსებული პენსიების დამნიშვნელი კომისიის №37 ოქმით

დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით. 1991 წლის 22 თებერვლის სამხედრო სამედიცინო კომისიის №31 დადგენილებით შ. ს-ის მიმართ დადასტურდა დაავადება „მდგრადი ისტერიკული რეაქციები ინტელექტუალურ-პრიმიტიული პიროვნების“. დადგენილების მიხედვით დაავადება მიღებულია სამხედრო სამსახურის გავლისას. 1997 წლის 14 მაისს იმერეთის სპეციალური ტექნიკური საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიის ცნობით შ. ს-ეს დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი უვადოდ. ინვალიდობის მიზეზად მითითებულია „სამხედრო სამსახურის გავლის დროს“. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის 2016 წლის 20 ივნისის №04-15/1498 წერილით დადგენილია, რომ შ. ს-ე სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახვევის განყოფილებიდან იღებს სოციალურ პაკეტს შშ სტატუსით-მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი განსაზღვრული აქვს უვადოდ. ამავე წერილით შ. ს-ეს ეცნობა, რომ მის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი დადგენილია უვადოდ, ღებულობს შესაბამის კომპენსაციას 100 ლარს და სხვა სახის სახელმწიფო გასაცემლის კანონიერი საფუძველი არ არსებობს. დადგენილია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №04/63833 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შ. ს-ის 2016 წლის 19 ივლისის ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის 2016 წლის 20 ივნისის №04-15/1498 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №04/63833 გადაწყვეტილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის 2016 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა წარმოადგენს. სადავო აქტის ბათილად ცნობას მოსარჩელე ითხოვს იმ საფუძველით, რომ ის სამხედრო სავალდებულო სამსახურში მიღებული ტრავმის შედეგად გახდა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რისთვისაც უნდა დაენიშნოს სახელმწიფო კომპენსაცია როგორც „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის სუბი-

ექტს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს, კერძოდ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. მითითებული კანონის ძირითადი პრინციპებია: სამართლიანობა; კანონის წინაშე თანასწორობა; მუდმივობა; კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების სახელმწიფო გარანტია, ხოლო კანონმდებლობა კომპენსაციისა (გარდა ერთჯერადი კომპენსაციებისა) და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. გასაჩივრებულ 2016 წლის 20 ივნისის №04-15/1498 წერილით შ. ს-ეს ეცნობა, რომ მის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი დადგენილია უვადოდ, იღებს შესაბამის კომპენსაციას 100 ლარს და სხვა სახის სახელმწიფო გასაცემლის კანონიერი საფუძველი არ არსებობს, ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №04/63833 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შ. ს-ის 2016 წლის 19 ივლისის ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის 2016 წლის 20 ივნისის №04-15/1498 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრება კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლები. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენას განიხილავს კომპენსაციის დანიშვნის საფუძველად, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია იმ სუბიექტთა წრე, რომელთაც აქვთ ამ კანონის საფუძველზე კომპენსაციის/სახელმწიფო აკადე-

მიური სტიპენდიის მიღების უფლება. 2017 წლის 7 დეკემბერს ზემოაღნიშნულ მუხლში განხორციელებული ცვლილებით მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ: სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თაღარიგში დათხოვნილ პირებს, საქართველოს სასჯელაღსრულებითა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, საგამოძიებო დეპარტამენტიდან და სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილ, ზევადიან სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, ხოლო ცვლილებებამდე არსებული „ე“ ქვეპუნქტის რედაქციით კომპენსაციის მიღების უფლება მინიჭებული ჰქონდათ სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თაღარიგში დათხოვნილ პირებს;

ანალოგიური საფუძვლით (მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობები) კომპენსაციის დანიშვნას ითვალისწინებს ასევე „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თაღარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონი, რომლის პირველი მუხლით განსაზღვრულია კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირთა წრე, კერძოდ „ა“ ქვეპუნქტით კომპენსაციის მიმღებ პირთა სიაში მოიაზრებიან ოფიცრები, ზევადიან, ნებაცოფლობით სამხედრო სამსახურში და სამხედრო რეზერვის პირველ თანრიგში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში. ხოლო „დ“ ქვეპუნქტის თანახმად – სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწი-

ფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, ყოფილი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ის, დამოუკიდებელი თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელი სახელმწიფოების შინაგან საქმეთა ორგანოებში, თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოსა და ყოფილ სსრ კავშირში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებით (შეთანხმებით).

სააპელაციო პალატამ ზემოაღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ შ. ს-ე ექცევა სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირთა წრეში რასაც ვერ გაიზიარებს საკასაციო პალატა და განმარტავს, რომ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში ნამსახურების გაიგივების კანონით გათვალისწინებული საფუძველი არ არსებობს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით ჩამოთვლილ პირებთან, რადგან ზემოაღნიშნული „ა“ ქვეპუნქტი არ შეიცავს დათქმას სსრ კავშირის სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი პირების მიმართ კომპენსაციის გაცემის თაობაზე და მოიაზრებს მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრულ იმ პირებს, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში, ხოლო რაც შეეხება „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დეფინიციას, რომელიც მიუთითა სააპელაციო პალატამ, განსაზღვრულია, რომ კომპენსა-

ციის მიღების უფლება აქვთ იმ პირებს, რომელთაც იმსახურეს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, ყოფილი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ის, დამოუკიდებელი თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელი სახელმწიფოების შინაგან საქმეთა ორგანოებში და არა სსრ კავშირის სამხედრო სავალდებულო სამსახურში, შესაბამისად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კომპენსაციის მიმღებ პირთა წრე ამომწურავად არის ჩამოყალიბებული მითითებულ მუხლებში და სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფი პირის მიმართ, შეზღუდული შესაძლებლობის გამო კომპენსაციის გაცემას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ამასთან, გაურკვეველია რომელ მტკიცებულებაზე დაყრდნობით დაადგინა სააპელაციო პალატამ, რომ შ. ს-ე მსახურობდა ყოფილ სსრ კავშირის სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ასევე არ დგინდება მისი სამხედრო წოდება, რაც როგორც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე კომპენსაციის გაცემისათვის აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს.

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურეთა შემადგენლობებსა და სამხედრო წოდებებს, მითითებულ ჩამონათვალში სამხედრო სავალდებულო სამსახურში მიღებულ პირთა წოდებები იწყება რიგითის წოდებით, მსგავსი წოდებით ენიჭებოდათ საბჭოთა არმიის შემადგენლობაში სამხედრო სავალდებულო სამსახურში განვეულ პირებს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მხოლოდ მოსარჩელის ახსნა-განმარტების საფუძველზე მიიჩნია შ. ს-ე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფ პირად, რაც არ არის საკმარისი მტკიცებულება, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებები არ შეიცავს სამხედრო სავალდებულო სამსახურთან დაკავშირებით ინფორმაციას და ზოგადად კეთდება მითითება სამხედრო სამსახურზე. საქმეზე წარმოდგენილი სარატოვის საოლქო ფსიქიატრიული ს/ნ 1768 უფროსის 1982 წლის 8 აგვისტოს ცნობით შ. ს-ის დიაგნოზი ჯერ კიდევ 1982 წელს იყო „მდგრადი ისტერიული რეაქციები ინტელექტუალურ-პრიმიტიულ პიროვნებასთან“. ამასთან, ამავე ცნობაში მითითებული იყო, რომ „დაავადება დაკავშირებული არაა სსრკ ჯარში სამსახურთან“. სასამართლო დაეყრდნო საქმეზე წარმოდგენილ ორ დადგენილებას, კერ-

ძოდ, მე-16 სამხედრო საექიმო კომისიის 1991 წლის 22 თებერვლის №31 დადგენილებებს, რომელთა გაცემის თარიღი და ნომერი იდენტურია, თუმცა ერთი ცნობა ხელმოწერილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისრის პოლკოვნიკი ნ.ი. თ-ის მიერ და ცნობის გაცემის საფუძვლად მითითებულია 1991 წლის 22 თებერვლის №31 ოქმი, ხოლო ანალოგიური მეორე ცნობა ხელმოწერილია ვიცე-პოლკოვნიკი შ-ის მიერ, ცნობის გაცემის საფუძვლად ამ შემთხვევაშიც მითითებულია 1991 წლის 22 თებერვლის №31 ოქმი. საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებებით გაუქმებულად ჩაითვალა სარატოვის საოლქო ფსიქიატრიული №137 საავადმყოფოს სამხედრო საექიმო კომისიის 1982 წლის 2 აგვისტოს დადგენილების ის ჩანაწერი, რომლითაც დგინდებოდა, რომ შ. ს-ის „დაავადება არაა დაკავშირებული სსრკ ჯარში სამსახურთან“, თუმცა გაურკვეველია რა უფლებამოსილების ფარგლებში მოხდა თითქმის ათი წლის უკან გაცემული ცნობის გაუქმება და რა საფუძვლით. ამასთან, ბუნდოვანებას იწვევს საქმეზე წარმოდგენილი 1991 წლის 22 თებერვალს გაცემული ორი ცნობის იდენტურობა, რაც დამატებით გამოკვლევას საჭიროებს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია სწორედ 1982 წლის 2 აგვისტოს სარატოვის საოლქო ფსიქიატრიული ს/ნ ... უფროსის ცნობა, რომელიც მეტად რელევანტურ მტკიცებულებას წარმოადგენს, მისი თარიღისა და მომხდარი ფაქტის აღწერის (შესაძლებლობების შეზღუდვა) გათვალისწინებით, რაც ასევე სათანადო კვლევის გარეშე იქნა დატოვებული სააპელაციო პალატის მხრიდან. რაც შეეხება 1997 წლის 14 მაისის იმერეთის სპეციალური ტექნიკური საექიმო შრომითი საქსპერტო კომისიის ცნობას, რომლითაც შ. ს-ეს დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი უვადოდ, გაცემულია სმსკ შემონმების აქტი №175-ის საფუძველზე, რომელიც საქმეზე წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად დგინდება, რომ სააპელაციო პალატის მიერ არ იქნა საქმეზე არსებული მტკიცებულებები სრულყოფილად გამოკვლეული, არ იქნა დადგენილი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას წარმოადგენს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მას შემდეგ რაც დადგინდება მოსარჩელის სამხედრო წოდება, მისი სამხედრო სამსახურში ნამსახურების საფუძვლები, უნდა დადგინდეს რამდენად არის კავშირი შესაძლებლობების შეზღუდვის ფაქტსა და სამხედრო სამსახურში მიღებულ ტრავმასთან, რამდენადაც, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირად „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწი-

ფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს – რომელსაც ასეთი სტატუსი მინიჭებული აქვს „სამედიცინო – სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული კანონის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი სამხედრო ვალდებულების შესრულებისას მიღებული ტრავმით ან დაავადებით დაუდგინდება თადარიგის სამხედრო მოსამსახურეებს ან საქართველოს კანონმდებლობით მათთან გათანაბრებულ პირებს, თუ იგი უკავშირდება საქართველოს და ყოფილი სსრ კავშირის ინტერესების, მათი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვას ან სხვა სამხედრო ან ოპერატიულ მოვალეობათა შესრულებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების ლოკალურ ომებში მიღებულ ჭრილობას, დასახიჩრებას, კონტუზიას ან დაავადებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძველს ქმნის იმ შემთხვევაში, თუ პირი განეკუთვნება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ პირთა წრეს, ასეთ შემთხვევაში შესაძლებლობის შეზღუდვა ქმნის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის დამატებით საშელავათო პირობებს. „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-3 და მე-17 მუხლები ითვალისწინებენ შეზღუდული შესაძლებლობის გამო, სამსახურის ხანგრძლივობის მიუხედავად სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნას სამხედრო მოსამსახურეებისათვის. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ მისთვის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-19 მუხლების დანაწესებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა დაადგინოს წარმოადგენს თუ არა შ.ს-ე თადარიგის სამხედრო მოსამსახურეს ან საქართველოს კანონმდებლობით მათთან გათანაბრებულ პირს და მიღებული ტრავმა უკავშირდება თუ არა კანონით განსაზღვრულ ინტერესებს. იმ პირობებში როდესაც საქმეზე არ არის დადგენილი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო პალატა მართებულად მიიჩნევს კასატორის მოსაზრებას საქმეზე წარმოდგენილი ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებების შეფასებით მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დაუსაბუთებლობის თაობაზე და განმარტავს, რომ საქმის ფაქტობრივი გარე-

მოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში საკასაციო სასამართლო მოკლებულია სამართლებრივი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ამონმებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით (სსკ-ის 377.1 მუხ.), განსხვავებით საკასაციო სასამართლოსგან, რომელიც არ არის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი ინსტანცია, რის გამოც საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები. პირველი ინსტანციის სასამართლო შემოიფარგლა შ. ს-ის განცხადებასთან დაკავშირებით მის მიერ წარდგენილი მასალების შეფასებით, ისე რომ ადმინისტრაციული წარმოების მასალები და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში დაცული ინფორმაცია შ. ს-ის საქმესთან დაკავშირებით საქმეზე არ იქნა გამოთხოვილი, საქმეში არ მოიპოვება აღნიშნული მასალების წარმოდგენის შეუძლებლობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, ასევე არ იქნა გამოთხოვილი შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსგან ინფორმაცია შ. ს-ის სამხედრო სამსახურში ნამსახურებასთან დაკავშირებით, მისი პერიოდულობის, ნამსახურების ნუსხის თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის მიზნით. შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვისას, არსებული საპენსიო საქმის (რომლითაც დღეის მდგომარეობით იღებს სოციალურ პაკეტს) გამოთხოვის, სამხედრო სამსახურში ნამსახურებასთან დაკავშირებით საქმის მასალების სრულყოფილად გამოთხოვისა და მოძიებულ მტკიცებულებებში არსებული დოკუმენტების შესწავლისა და შეფასების შემდეგ სადავო აქტების კანონიერების გარკვევის მიზნით სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს შ. ს-ის სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირად მიჩნევისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძვლების არსებობა.

საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები და გაუქმდა ამ კანონით გათვალისწინებული პენსიის დანიშვნისა და გაცემის, ასევე პენსიების გადაანგარიშების ძირითადი წესები. შესაბამისად, მითითებული წესები „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენ-

დიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით საერთო გახდა როგორც სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებზე, ისე ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებისათვის. სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებულ სამართალური თვითობებს და პროცედურას არეგულირებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესი“, რომლის მე-9 მუხლი ასევე შეიცავს კომპენსაციის მიმღებ პირთა ჩამონათვალს და მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიერ კომპენსაციის მიღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს შესაძლებლობების შეზღუდვა სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში, რაც განსახილველ საქმეზე არ არის გამოკვლეული და დადგენილი. ამავე წესის მე-15 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია კომპენსაციის დასანიშნად მიმართვის საჭიროება და წარსადგენი დოკუმენტები, მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის „ა.“ ქვეპუნქტი შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირისათვის კომპენსაციის მისაღებად წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხაში ითვალისწინებს სხვა აუცილებელ დოკუმენტებთან ერთად შესაბამისი უწყების/დანესებულების მიერ გაცემული წელთა ნამსახურობის ნუსხა/გაანგარიშების, სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ ბრძანების წარდგენის ვალდებულებას, რაც მოსარჩელის მიერ განცხადების წარდგენის დროს არ იქნა დართული. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შ. ს-ის სასარჩელო განცხადება ისე დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლოს არ გაურკვევია მითითებული დანაწესის შესაბამისად ზემოაღნიშნული შინაარსის ცნობის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენის ფაქტის არსებობა.

სააპელაციო პალატამ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციების მიუხედავად ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ისეთი გარემოებების გამოკვლევა, რაც განმცხადებლის მიერ უნდა იქნეს წარდგენილი კომპენსაციის მიღების შესახებ განცხადებასთან ერთად. კერძოდ სააპელაციო პალატამ მიიჩნია რა შ. ს-ე სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირად, კომპენსაციის გაანგარიშების მიზნით, (რაც ამ შემთხვევაში მხარეთა შორის სადავო არ ყოფილა) ნამსახურებისა და წოდების, ასევე ხელფასის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და შეფასების გარეშე, შეუძლებლად მიიჩნია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის სა-

ფუძველზე ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე შ. ს-ის განცხადებასთან დაკავშირებით.

ამასთან სააპელაციო სასამართლომ მიღებულ გადაწყვეტილებაში სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მხოლოდ ნორმის განმარტების საჭიროებაზე მიუთითა, რაც გამორიცხავს საკითხის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების შესაძლებლობას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც დავის სწორად გადაწყვეტისათვის სასამართლო მიიჩნევს ნორმის განმარტების საჭიროებას, იქმნება სასამართლოს მიერ დავის არსებითად გადაწყვეტის საფუძველი, ხოლო თუ დავის გადაწყვეტისას სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას ან დადგენას, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული საპროცესო კომპეტენციით გამოყენებით აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს მტკიცებულებები.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატის მიერ გაკეთებული სამართლებრივი შეფასებები და დასკვნები წინააღმდეგობრივია, ამასთან, დაუსაბუთებელია რატომ იყო შეზღუდული თავად გამოკვლია ის გარემოებები, რაზედაც მიუთითა ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისად, გაუგებარია, სააპელაციო პალატის პოზიცია, იმ შემთხვევაში თუ სწორი სამართლებრივი შეფასებები იქნა საქმეზე გაკეთებული, რამ განაპირობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე საქმის დაბრუნების აუცილებლობა, იმ პირობებში როდესაც სადავო არ არის კომპენსაციის ოდენობა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რაიმე ფაქტობრივი გარემოება და სასამართლო წარმოების ფარგლებში ვერ ხერხდება სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან მისი დადგენა მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, ხოლო ამის შემდგომ მათი სწორი სამართლებრივი შეფასება და გასაჩივრებუ-

ლი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერების შემოწმება, რისი უფლებამოსილებაც უპირობოდ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

იქიდან გამომდინარე, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამოიკვილოს ახალი მტკიცებულებები და დაადგინოს მითითებული სადავო გარემოებები, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, თავის მხრივ, საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახევის რაიონული განყოფილების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.